# საარბიელო

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 7 მარტი 2000 №41 (1063) | ფასი 50 თეთრი


4

## გიორგი ქინქლაძე: მალე ძველებურად ავთამაშდები

პრემიერლიგაში დაბრუნებულმა „დერბის“ ქართველმა ნახევარმცველმა პირველი გოლი გაიტანა




4

## 29 მარტი. ისრაელი-საქართველო

თვის ბოლოს ეროვნული ნაკრები აღთქმულ მიწას ესტუმრება

6

## მათეუსი მიდის, მიდის, მიდის...



ევროპის ეროვნებათა თასი. მესამე ტური

## ესპანეთი 36:32 საქართველო

4 მარტი. მადრიდი. 17 საათი

# მარცხი შეურცხვენელი

ესპანეთი—საქართველოს მატჩის დასრულების მერე ჩვენი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს შეხვედრის არბიტრ კლაუდიო ჯაკომელისთვის სუვენირი მიურთმევია, ოღონდ ესეც უთქვამს: „გისურვებთ, მალე მსაჯი გამხდარიყავით“.

ეს იტალიელი იყო, ესპანელთა გამარჯვებასა და ჩვენებურთა დამარცხებაში ლომის წილი რომ დაიდო; ორი ლელოთი გამორჩეული ლევან ცაბაძე მინდვრიდან უსამართლოდ რომ გააძევა...

ესპანელ „ლომებთან“ ხელდახელ შებმულ „ლელოებს“ მატჩის მოსაგებად ყველაფერი გაუღიათ, მაგრამ...

ამ მატჩის მხილველის, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის თქმით, იტალიელ მსაჯს სუვენირ-საჩუქრები მასპინძელი ესპანელებისგანაც ბევრი მიუღია და... 36:32 ესპანელთა სასარგებლოდ.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



მალხაზ ურჯუკაშვილი (№11) ესპანელ მეტოქეს ბოჭავს

# სდექ, დინამო!

*ცალკე „ვიტ ჯორჯია“ ჭაბუკური შემართებითა და სიმამაცით, ცალკე „ტორპედო“ ჰეთ თრიქის გამტან ჩემპიონატის ბომბარდირ ზურაბ იონანიძის კლასით, ცალკე „ბათუმი“ იტალიელი ჯანი კარნევალეს ანტიკატენაჩიოური იდეებით და იქვე „აღას და ფანების“ ფავორიტი „სიონი“. ეს ყველაფერი კარგი და, ამ უქმეებზე „დინამო“ „ტორპედოს“ უკვე 3 ქულით ჩამორჩა. ეს კი, „დინამოს“ აქამდე არნახული სისუსტის ფონზე, საკმარისი საბაბია ამის სათქმელად: ჩემპიონს მეტოქეები გაუთამამდნენ და მოურიდებლად შეჰკადრეს „სდექ, დინამო!“*



გუშინწინ ეროვნულზე: „თბილისი“ — „მერანი“ 0:1.
თბილისელი თემურ გადელია და მერანელი გიორგი კვეტენაძე

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 1 ტური

### «ა» ზონა

4 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 6 |
| იბერია | 0 |
| ტორპედო | 3 |
| კოლხეთი | 1 |
| დინამო | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| სიონი | 4 |
| დილა | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 21 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 18 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 16 |
| სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 13 |
| კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 13 |
| დილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 10 |
| იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 9 |

### «ბ» ზონა

3 მარტი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 4 |
| ხობი | 1 |

5 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| თბილისი | 0 |
| მერანი | 1 |
| თსუ | 1 |
| სამგურალი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 12 |
| თსუ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 11 |
| მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 11 |
| გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 7 |
| სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 6 |
| არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 5 |

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები



არჩილ სახვაძე ვიტელი ლევან მელქაძის და დინამოს კაპიტან გივი დიდავას დუელს შეჰყურებს

# პირველი ფურცელი

თბილისი
5 მარტი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**თბილისი 0:1 მერანი**

0:1 თოლორდავა (64პ)
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, კ. მელქაძე, პაპიძე, მაჭავარიანი, ნორაკიძე (ტყებუჩავა 59), ამაშუკელი, ბურდული, ი. შენგელია (ბარნოვი 46), გონჩაროვი, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე, კანდელაკი, ენუქიძე, კოხრეიძე, ყუფარაძე
**მერანი:** ნაჭყებია, ცქიფურიშვილი, ილურიძე, გ. კვეტენაძე, კარიაული, ბოლქვაძე (ამბიძე 69), კობესაშვილი, ხორხელი (ჯიშკარიანი 63), როსტიაშვილი, დევიძე, თოლორდავა (ივანიშვილი 88)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; პ. ლურსმანაშვილი, მელიქია, ჭინჭარაული
**გაფრთხილება:** ცქიფურიშვილი (14), ბურდული (31), ნაჭყებია (89)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ხუციშვილი, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**ხვიჩა სანიკიძე**

ფეხბურთში უმთავრესი შედეგია. საბოლოოდ ქულები წყვეტს ყველაფერს და ადვილად ივიწყებენ იმას, თუ როგორ ბრძოლაშია მოპოვებული თითოეული მათგანი. შეხვედრის ოქმში სხვა სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად მატჩის ანგარიში იწერება და სატურნირო ცხრილიც შესაბამისად იცვლება. ასე ფურცელ-ფურცელ მიედინება ქართული ფეხბურთი და მისი ჩემპიონატიც. ოქმებს უკან კი თითქმის არაფერი დგას, არაფერი საფეხბურთო და სანახაობრივი.

„თბილისისა“ და „მერანის“ ბურთის გორება რიგითი ქართული სპექტაკლი იყო, უშინაარსო სცენარით დადგმული და სუსტი შემსრულებლებით ნათამაშევი. საბედნიეროდ, ალალი — ყოველგვარი გარიგების გარეშე.

სტუმრებმა ახალი პრეზიდენტის, დავით ფურცელაძის ხელმძღვანელობით პირველი საჩემპიონატო მატჩი გამართეს, პირველი სამქულიანი ფურცლით დაიწყეს უახლესი ისტორია და შეხვედრის შემდეგ სიხარულს ვერ მალავდნენ.

„თბილისი“ დამარცხდა. თუმცა ამ მარცხში ტრაგიკული არაფერია. ფაქტობრივად დაშლილი და ხელახლა შეკოწიწებული გუნდი, ალბათ, უფრო შეთამაშდება და ისწავლის ისეთსავე მოგებას, როგორც „მერანმა“ მოახერხა.

შეგვეძლო, აქ გავჩერებულიყავით და ამით არც არაფერი დაშავდებოდა. დანარჩენს მკითხველი მიხვდებოდა და ადვილად წარმოიდგენდა, დაახლოებით როგორი ორთაბრძოლა გაჩაღდებოდა კვირას „ეროვნულზე“. როგორი და...

პირველ ტაიმში ორად ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა.

მე-3 წუთზე თბილისელი ირაკლი შენგელიას მარცხენა ფლანგზე გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება და გონჩაროვის ახლო მანძილიდან თავური მოჰყვა. ბურთი ხარიხას მოხვდა და ნაჭყებიას ნადავლი გახდა. კიდევ 20 წუთი მასპინძლები ფლობდნენ უპირატესობას. 25-ე წუთიდან „მერანი“ გამოცოცხლდა და მეტოქის ნახევარზე დასახლდა. ერთი თავდამსხმელით, თოლორდავათი მოთამაშე სტუმართაგან ნახევარმცველი კობესაშვილი სხვებზე მეტად გამოირჩეოდა.

„თბილისის“ კართან სახიფათოდ მიახლოება თოლორდავამ სწორედ მისი ზუსტი პასის შედეგად მოახერხა, მაგრამ ბათიაშვილმა ბურთი ფეხებით კუთხურზე გადააგდო. ტაიმის მიწურულს კვლავ მასპინძლები აქტიურობდნენ.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსად წარიმართა. დებიუტი „თბილისისა“ იყო. შუაწელში კი „მერანმა“ იძალა და ერთობ დუნე თამაშიც დაიძაბა. პენალტი აჰკიდაო, რომ იტყვიან, ზუსტად ასე გახლდათ. საჯარიმოში მარჯვნიდან ჯეჭრილი კობესაშვილი მცველ მელქაძეზე წამით ადრე შეეხო და მის გამოშვერილ ფეხს საჯარიმო ფუნქცია დააკისრა.

თოლორდავამ თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა — 0:1.

ამის შემდეგ მასპინძლები უკანმოუხედავად წავიდნენ წინ. განსაკუთრებით მაჭავარიანის მარცხენა ფლანგი აქტიურობდა კაპიტან ბურდულთან ერთად. „მერანის“ თავკაცობამ თბილისელთა შეტევების მოგერიებისთვის სათადარიგო ფეხბურთელებს უხმო მოედანზე. სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება.

სულ ეს იყო. დავით ფურცელაძის იღბლიან ფურცელზე ზემოთ გითხარით და კიდევ ერთი — „მერანმა“ გამოხუნებული შავ-წითელი ფორმა, როგორც იქნა, გაიხადა და „თბილისთან“ „პუმას“ ახალი ტრუს-მაისურით ითამაშა. მართალია, ავჭალელები ძველ ფერებს ვერ შეელივნენ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ახალი ყველაფერი კარგია, ღვინის გარდაო.



თბილისელი გიორგი ნორაკიძე და მერანელი ოთარ როსტიაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

## 1 ტური

# ჯერჯერობით უპასუხოდ

თბილისი
4 მარტი
15 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 0:0 ვიტ ჯორჯია**

**დინამო:** გრიშიკაშვილი, დიდავა, ა. სახვაძე, ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, გუჩუა (გ. შენგელია 81), სიჭინავა, დათუაძე, შაშიაშვილი (ხუციშვილი 58), ანჩაბაძე, წიტაიშვილი
*სათადარიგონი:* ჩხეიძე; რუხაძე, ო. გველესიანი
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, საჯაია, თოდუა, ლ. ნოზაძე, ზ. გვაზავა, ი. ხაჭაპურიძე (კობიაშვილი 72), ყიფიანი, ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი 86), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; დილმელაშვილი, დ. დოლიძე, რ. გოცირიძე, მორჩილაძე
**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (71)
**მსაჯები:** ი. კახიანი, ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**მამუკა კვანტალიანი**

შაბათს „ეროვნულზე“ გამართულმა დუელმა მხოლოდ ერთ კითხვას მოჰფინა ნათელი — „დინამო“ არცთუ ძლიერია. დღეს ჩემპიონებთან ბრძოლა ისე ადვილია, როგორც არასდროს. „დინამომ“ ვეტერინართა წინააღმდეგობა ვერ დაძლია, მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ის კი არა, „ვიტ ჯორჯიას“ ცოტა ბედიც რომ ჰქონოდა, ეგებ მოეგო კიდეც.

პასუხგაუცემელი კითხვები კი, იცოცხლეთ, ბლომად დაგროვდა. კერძოდ, ჯერაც ვერ დადგინდა, კვიპროსი სჯობს ანთალიას თუ პირიქით. რატომ თამაშობს „დინამო“ მხოლოდ ერთი თავდამსხმელით, რატომ ირჯება არადამაჯერებლად ჩემპიონთა მეკარე, ანაც რატომ იყო ვეტერინართა შუა ხაზი შეტევაში პასიური.

კიდევ არაერთი ხარვეზის ჩამოთვლა შეიძლებოდა, რამაც თამაშს თავისი დაღი დაამჩნია, მაგრამ მოდით, ცოტა საფიქრალი შაბათის მატჩის მეტოქეთა თავკაცებსაც დავუტოვოთ. ჩვენ კი ერთიც ვთქვათ, ორთაბრძოლამ გულშემატკივართა იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა. ქომაგები გაცილებით ქუიან, აზარტულ ბურთაობას ელოდნენ. მაყურებელმა შემტევი, გააზრებული თამაშის ნაცვლად მძიმე, ხისტი ბურთაობა იხილეს.

ერთი თავდამსხმელის ამარა მყოფ „დინამოს“ თითქოს კონტრშეტევები უნდა ერჩია, მაგრამ ჩემპიონები, თავიდანვე რომ დაეუფლნენ ინიციატივას, უტევდნენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ თავდაჯერებით მოთამაშე სტუმართა მეკარეს ვერაფერი დააკლეს.

ჭურაძე აუღელვებლად დაუხვდა დინამოელთა ყველა გამოხდომას, გამოსვლებზეც საიმედოდ ითამაშა და ორჯერაც საკმაოდ რთული ბურთი აიღო. პირველად ანჩაბაძის თავურის შემდეგ გააშეშა ბურთი, ხოლო სიჭინავას დარტყმულის მოსაგერიებლად განმეორებითი ნახტომი დასჭირდა.

„დინამოს“ აშკარად აკლდა შემტევი პოტენციალი. წიტაიშვილი ძალიან ეულად გამოიყურებოდა, ფაქტობრივად არ ჩანდა დათუაძე, ხოლო სახვაძემ ფლანგზე ჩვეულად ვერ ინავარდა.

პირველ ნახევარში აქტიურობდა ჯინჭარაძე, მაგრამ მის ფლანგურ გარღვევებს სახიფათო არაფერი მოჰყოლია. „ვიტ ჯორჯიას“ კი ვერაფერი დააკლო გიორგი ანჩაბაძის მცდელობებმა. მას მთელი ორი ტაიმი აჩრდილივით დასდევდა გვაზავა. ამ ორი მოთამაშის დუელში უპირატესობა დინამოელს კი ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონები მანაც ვერ აზეირა.

საერთოდ, ვეტერინართა დაცვის გარჯას შეიძლება საიმედოც ვუწოდოთ. მათ რამდენჯერმე ერთი შეხედვით უპატიებელი შეცდომა დაუშვეს, თუმცა ჭანკოტაძის გონივრული და საჯაიას თავდაუზოგავი თამაში ხარვეზებს აბათილებდა.

თავის მხრივ, ვეტერინართა თავკაცებმა მინდორზე შემტევი შემადგენლობა გაიყვანეს, მაგრამ თამაშის უმეტესი დროის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ ხუთი შუახაზელიდან ოთხი უფრო დამცველთა დახმარებით იყო დაკავებული. ამიტომ შეტევაში გამწესებულ მელქაძესა და ქორიძეს ბურთის მიღება ხშირად მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომებს, ანაც მცველებთან ორთაბრძოლაში უწევდათ, რაც მათ წინსვლას აბრკოლებდა.

სტუმართა საყრდენები — გვაზავა და ნოზაძე ანჩაბაძეს მეურვეობდნენ, იმავდროულად ნოზაძეს ფლანგიც უნდა გადაეკეტა და ამიტომ, ბუნებრივია, შეტევაში წასვლას აგვიანებდნენ. რაც შეეხებათ ფრთის მოთამაშეებს თოდუასა და ხაჭაპურიძეს, მათ გარჯას იდეალურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. სევასტიმ ხარვეზები მატჩის მიწურულს ოდნავ კი გამოასწორა, ხოლო ირაკლი კოტრიკაძემ დროულად შეცვალა.

და მაინც, სტუმრებმა „დინამოს“ კართან მეტი საგოლე მომენტი შექმნეს. გატანა შეეძლოთ მელქაძეს, ქორიძეს, ორჯერაც ყიფიანს, მაგრამ ვერ ივარგეს.

სულ ბოლოს კი, მასპინძელთა მცველისა და მეკარის შეუთანხმებელმა ქმედებამ სტუმრებს კინაღამ ავტოგოლით მოაგებინა, თუმც „დინამოს“ საბედნიეროდ, არ დაიბნა გუნდის კაპიტანი დიდავა, რომელმაც ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

ეპილოგად ამას ვიტყოდით — „დინამომ“ ნანატრი ორი ქულა დაკარგა, უფრო სწორად, „ვიტ ჯორჯიამ“ დააკარგვინა. თავად ვეტერიანებმა ერთი შეიმატეს და „ეროვნულიდან“ მთლად გულდაწყვეტილებიც არ წავიდნენ.

# ტორპედო და იონა: ორივე თავში

ქუთაისი
4 მარტი
15 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:1 კოლხეთი**

1:0, 2:0, 3:0 იონანიძე (7, 59, 67პ), 3:1 ქობულაძე (80)
მეგრელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (7)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, შეყრილაძე, მახვილაძე, ამისულაშვილი, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (მაღლაკელიძე 86), დ. ჯანაშია (ასათიანი 77), მეგრელაძე (იმედაძე 46), იონანიძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თურმანიძე, ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია (გ. ჩიტაია 71), ტორჩინავა, დავითნიძე (ე. გვასალია 46), კედელაშვილი, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა (შავგულიძე 66), ფანჩულიძე, ღალანიძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ანჯაფარიძე, დ. კვირკველია
გაფრთხილება: დავითნიძე (29), ამისულაშვილი (87)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

კუთხური ფოთელთა კართან: ტორპედოელ ზურაბ იონანიძეს (შუაში) თავურით გოლი გააქვს

წინა თვის ბოლოს სუპერფინალში „დინამოსთან" ქუთაისელთა მარცხმა, უფრო ზუსტად, საოცრად უნიათო თამაშმა, „ტორპედოს" ყველაზე ოპტიმისტი ქომაგიც კი ლამის დაამუნჯა. არ ვაჭარბებთ, ასე იყო. წყენა წყენად და ამათ საყვარელ გუნდზე აუგს, ძალიანაც რომ გინდოდეთ, ვერ ათქმევინებთ, ამიტომაცაა რომ არ იტეხენ იხტიბარს. კი, ბატონო, სუპერთასი დავთმეთ, მაგრამ ეგ რა დიდი ბედენაა, სამაგიეროდ ჩემპიონატში არავის გავახარებთ, პირველები ჩვენ ვიქნებითო, ჰოდა...

„ტორპედოს" შაბათს მიეცა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციის შანსი. მეორე ეტაპის სასტარტო შეხვედრაში ქუთაისელებს მათზე ოდნავ ნაკლებამბიციური გუნდი ჰყავდა მეტოქედ. „კოლხეთი" მეთერთმეტე ეროვნულში ჩემპიონობას თუ არა, საპრიზო სამეულში მოხვედრას ტრადიციულად იჩემებს. „ტორპედო" — „კოლხეთს" უამისოდაც ახლდა ინტრიგა. მოგეხსენებათ, ორივე გუნდმა სამეორეეტაპო სამზადისი, ფაქტობრივაო, უცხოეთში გაიარა, ვარჯიში და საკონტროლო თამაშები არც ერთს დაჰკლებია და არც მეორეს. რამდენად ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგა მზადება, რაღა თქმა უნდა, შინაური ჩემპიონატის პირველ მატჩშიც უნდა გამოჩენილიყო.

საწყის წუთებშივე ნათელი შეიქნა, მეტოქეები ჩვეული ტაქტიკური სქემით აპირებდნენ თამაშს. ფონს ის გავიდოდა, ვინც მინდვრის შუაგულში დაეუფლებოდა უპირატესობას. ნახევარდაცვაში სტუმარ-მასპინძელმა ხუთხუთი მოთამაშე გაამწესეს, ამათ უშუალო ფუნქციის გარდა წინა და უკანახაზელთა დახმარებაც ევალებოდათ.

„ტორპედომ" მალევე შეძლო დაწინაურება. ჯანაშიამ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი და სწრაფად დაიძრა სტუმართა ნახევარზე, ოციოდე მეტრი გაირბინა და გამოზომილი პასით იონანიძე გაიყვანა გარღვევაზე. ამანაც ივარგა. საჯარიმოში მცველს დაუსხლტდა და დასარტყმელადაც მზად იყო, როცა სხვა საშველი რომ აღარ ჰქონდა, კარიდან წინ გამოსულმა ქვაჩახიამ ტორპედოელი ძირს დასცა. არბიტრმა უყოყმანოდ მიუთითა 11-მეტრიანზე. მეგრელაძემ მარჯვენა კუთხეში დაურტყა ფოთელთა გოლკიპერს. ქვაჩახიამ ბურთი მოიგერია, მეგრელაძე გადმოვარდნილზე დამატებას ეცადა, მაგრამ ფეხი აუცდა, თუმც პარტნიორის შეცდომა იონანიძემ გამოასწორა, მცველებს დაასწრო და ახლოდან არ ააცილა.

დაწინაურებულებს ათ წუთში მეორის გატანაც შეეძლოთ. ჯანაშიას მიერ მარჯვნიდან ჩაწოდებულს მეგრელაძემ თაური კარგად კი შეაგება, მაგრამ სუსტი გამოუვიდა და შანსიც დაიკარგა. თუმც იშვიათად, ფოთელები მეტწილად გრძელი ფლანგური გადაცემებით ცდილობდნენ მასპინძელთა კართან მიახლოებას. 26-ე წუთზე სწორედ მარჯვნიდან ჩაწოდებულს დაუხვდა მოპირდაპირე მხარეს, საჯარიმოს კუთხესთან ფანჩულიძე და ძლიერადაც დაარტყა კარში. მასპინძლები ამ ეპიზოდში მეკარემ იხსნა. ჭანტურია ნახტომში შეწვდა ცხრიანში მიმავალ ბურთს. ტაიმის დასრულებამდე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ რეალურად კოლხთა კარს ბოლოსწინა წუთზე დაემუქრნენ. ჯანაშიამ მარჯვენა ფლანგზე კიკლიაშვილი ჩამოიტოვა და კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, სამეკარეოს წინ მეგრელაძემ მცველებს დაასწრო და ძლიერი თავური შეაგება. ყველაფერი სწრაფად და ლამაზად გაკეთდა, ეგ იყო გიორგის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. შესვენებამდე კიდევ ის მოხდა, რომ არბიტრმა აშკარად დაინდო კოლხი დავითნიძე. სტუმართა მცველმა უხეშობისათვის ჯერ კიდევ 29-ე წუთზე დაიმსახურა „ყვითელი", მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ამ სანქციამ არ დააცხრო. ამის შემდეგაც თავის „სტიქიაში" იყო და ჯერ იონანიძე გაშხლართა მინდორზე, მერე ჯანაშიასაც ისეთი უთავაზა ფეხებში, თუ წამოდგებოდა, ვერ იფიქრებდით. მერე რა? მეშკოვმა პირველ ეპიზოდშიც წაუყრუა და მეორეშიც.

სამაგიეროდ კოლხთა [illegible] ბუჩავა მიხვდა, რომ [illegible] მოედანზე ყოფნა გუნდს კარგს არაფერს არგებდა და მეორე ტაიმისთვის დავითნიძე ელდარ გვასალიათი შეცვალა. სტუმრებმაც აქტიურად განაახლეს თამაში. 54-ე წუთზე „კოლხეთმა" ანგარიშის გათანაბრების, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. გოროზიამ გრძელი გადაცემით „ტორპედოს" საჯარიმოში სრულიად უმეთვალყუროდ დატოვებული ფანჩულიძე მოძებნა, კოლხს ხელს არავინ უშლიდა, ათიოდე მეტრიდან, ოდნავ მახვილი კუთხიდან ურტყამდა კარში, მაგრამ საერთოდ ვერ მოახვედრა მიზანში.

მერე მასპინძლებმა დაიბრუნეს სათამაშო უპირატესობა და რაღაც რვა წუთში იგი ორ გოლად გარდასახეს. ჯერ ჩხეტიანის კუთხურის შემდეგ იონანიძემ თაურით ახლოდან ბურთს ბადეში მიუჩინა ადგილი. ამ მატჩში თავის მესამე გოლი კი ტორპედოელმა 11-მეტრიანიდან გაიტანა. კოლხთა საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილ ახვლედიანს გვასალია გადაელობა და არბიტრმა სტუმრები მეორე პენალტითაც დასაჯა (თამაშის შემდეგ კოლხი მსაჯებთან თავს იმართლებდა, თანაც მიუღებელ ფორმაში, ტორპედოელი არ წამიქცევიაო).

3:0 — ეს უკვე დიდი ფორა იყო და მასპინძლები, ცოტა არ იყოს, მოეშვნენ. სტუმრებმა კი პირიქით, დარჩენილ დროში მოინდომეს და მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს თამაში. კოლხთა ძველგვარდიელი ღალანიძე იყო ყველაზე აქტიური. დაუფასდა კიდევაც გარჯა. მის კუთხურს ქობულაძის შორიდან დარტყმა მოჰყვა და ერთი ბურთიც გაიქვითა, ღალანიძემ ორჯერ თავადაც დაარტყა შორიდან, მაგრამ ორივე შემთხვევაში ჭანტურიამ იყოჩაღა.

ამ გამარჯვებით „ტორპედომ" სამი ქულით გაუსწრო „ვიტ ჯორჯიასთან" ფრესდაყაბულებულ „დინამოს". ქუთაისელთა გოლეადორი იონანიძეც დაწინაურდა ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში. მის ანგარიშზე უკვე 14 გოლია. მას შემდეგ, რაც იონანიძის მთავარი კონკურენტები აშვეთია და ალექსიძე ეროვნულ ჩემპიონატს ჩამოსცილდნენ, ქუთაისელს გამტანთა შორის პირველკაცობის კარგი შანსი გაუჩნდა.

# ორს მინუს ერთი უდრის სამს!

მცხეთა
5 მარტი
15 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:0 სამგურალი**

1:0 წუწუნავა (68)
თსუ: მერლანი, ბარქაია (დეკანოსიძე 55), ხართიშვილი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია, წუწუნავა (ა. ლობჟანიძე 90), მაზიაშვილი, მესხი, ერაძე, კვიციანი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ფარქოსაძე, ქადაგიძე, ბ. ნოზაძე, დ. არჩვაძე
სამგურალი: სტურუა, ზურაბიანი, ჩხაბერიძე, სადილიანი, ფუტკარაძე (ბაბუნაშვილი 33), ძაგნიძე (ვადაჭკორია 60), სუხიაშვილი, ჭყონია, ფრანგიშვილი, ზ. ქუთათელაძე (კვერნაძე 68), ღონღაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, დარსაძე, ჭელიძე
გაფრთხილება: სუხიაშვილი (35), სვანაძე (48), მაზიაშვილი (60)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**კონსტანტინე გოგიშვილი** მცხეთიდან

ორჯერ შეძლო თსუ-ელმა წუწუნავამ „სამგურალის" კარის დალაშქვრა, მაგრამ მხოლოდ ერთი (მეორე) ჩაუთვალეს მსაჯებმა, თუმც წყალტუბოელთა დასამარცხებლად ესეც ეყოთ სტუდენტებს. მცხეთურ მატჩზე ვერავინ იტყოდა, მასპინძლებს ორ და მეტბურთიანი სხვაობით გამარჯვება ხელეწიფებათო (იმდენად თანაბარი თამაში გახლდათ), მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგა, გამარჯვებას უფრო მეტად მასპინძლები იმსახურებდნენ.

რაც შეეხება არჩათვლილ გოლს, იგი პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა სტუდენტთა მეცხრე ნომერმა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა მიქელაძემ ბევრისთვის საეჭვო თამაშგარე აღნიშნა და „არმაზის" ტაბლოზე გამოსახული ვეებერთელა ნულები მეორე ტაიმის 68-ე წუთამდე უცვლელი დარჩა.

გაუქმებულ გოლს გვარიანი პროტესტი მოაყოლეს თსუ-ელებმაც და ტრიბუნებმაც. ყოველივე გვერდითი მსაჯის შეურაცხყოფაში გამოიხატა, მაგრამ ის, რაც ტრიბუნებს ეპატია, თსუ-ს გუნდის ექიმს არ შეარჩინეს და მთავარმა არბიტრმა იგი სათადარიგოთა სკამიდან გააძევა. ხელები სფფ-მაც დაიკაპიწა. მატჩის ინსპექტორმა საკმაოდ ნათლად განუმარტა უნივერსიტეტის გუნდის წარმომადგენლებს, რომ დამნაშავე ადმინისტრაციულ სასჯელსაც მიიღებს.

ახლა კი მატჩზეც. „სამგურალმა" შეგნებულად დათმო მინდვრის სამი მეოთხედი და თამაში კონტრშეტევებზე ააგო. წინ გამწესებული ქუთათელაძე მალიმალ იბრძოდა საკუთარი გუნდის ზურგიდან გადმოგდებული ბურთისთვის, მაგრამ მას, როგორც წესი, ორ ან მეტ მცველთან უწევდა ჭიდილი და ძალიან ხშირად უბურთოდ რჩებოდა. საპირისპირო სურათი გახლდათ მინდვრის მეორე მხარეს — თსუ მასიურად უტევდა, ხანდახან კარშიც ურტყამდა, მაგრამ წყალტუბოელთა დაცვას და მეკარეს ეგრეც ვერაფერი დააკლო... პირველი ტაიმის ბოლომდე.

იმ მომენტში კი მაზიაშვილის სახიფათოდ დარტყმული მეკარე სტურუამ უშუალოდ კარის სიახლოვეს მოიგერია. ბურთთან წუწუნავა გაჩნდა, ერთი მცველი დააწვინა და ბურთიც გაიტანა, მაგრამ... ამ არჩათვლილ გოლზე უკვე ვთქვით.

მეორე ნახევარი მთლად ტყუპისცალივით არა, მაგრამ დაახლოებით ნამდვილად ჰგავდა პირველს. თსუ უტევდა, „სამგურალი" კონტრშეტევებს ერთგულობდა, მზე ჩადიოდა და მცხეთის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიიდან ბოლი ამოდიოდა. აი, აქ გამოჩნდა სტადიონზე გამოძახებული სახანძრო მანქანის საჭიროება და ქართველმა მეხანძრეებმაც თავი არ შეირცხვინეს — ხანძარი ათიოდე წუთში, როგორც „აუდიენციაში" იტყოდნენ, „ლოკალიზებული იქნა".

მინდორზე კი ხანძარი არავის დაუნთია. რაც მართალია, მართალია. ინდომებდნენ ბიჭები, მაგრამ ილლებოდნენ კიდეც. დაღლა უფრო სტუმრებს დაეტყოთ. მათი თამაში როგორღაც აიშალა, ბურთის ამოტანაც ძალიან გაუჭირდათ იმერლებს და თსუ-ს უპირატესობაც თვალშისაცემი გახდა — სწორედ მეორე ნახევრის შუაგულში მოუყარეს თავი სტუდენტებმა იმ მრავალრიცხოვან მომენტებს, რომელთაც სახიფათო ნამდვილად ეთქმით, მაგრამ სტურუას კარამდე ჯიუტად ვერ აღწევდნენ.

ხელი (ფეხი) ისევ წუწუნავამ გამოილო — მისი გოლი მარჯვენა ფრთაზე მესხის სიჯიუტეს მოჰყვა, სტუდენტთა მეთერთმეტე ნომერმა ზედიზედ ორი დაბალი გადაცემა განახორციელა საჯარიმოს სიღრმეში პენალტის ნიშნულისკენ და თუ პირველი წყალტუბოელმა მცველმა უკანვე მიუბრუნა, მეორეს წუწუნავა დახვდა და მისი დარტყმული ბურთი სტურუას კარის ბადეში გაეხვია.

გოლის შემდეგ თსუ დადინჯდა, „სამგურალმა" მინდორზე სირბილს, ბრძოლას უმატა, ერთ მომენტში მათ რიგებში აშკარად საუკეთესო სუხიაშვილს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი კარს ასცდა და...

სტუდენტებმა სამი ქულა ჩაიწერეს — ამისთვის ორიდან ერთი ჩათვლილი გოლიც ეყოთ.



[illegible] ფოტო

თსუ-ელი კახა წუწუნავა წყალტუბოელების ღონღაძის, სადილიანის (№4) და ჩხაბერიძის გარემოცვაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამაშგარე ვინ იყო?

**ბათუმი**
4 მარტი
15 საათი
დინამო
3 500 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 6:0 იბერია**

1:0 მუჯირი (28), 2:0 ხომერიკი (38), 3:0 მაჭუტაძე (39), 4:0 მუჯირი (51), 5:0 ქორიძე (57), 6:0 მაჭუტაძე (80)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, ა. მუჯირი, კობიძე (ლლონტი 46), გელა ქორიძე, ხომერიკი (აფხაზავა 60), ტულუში (თარგამაძე 73), მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; ი. მახარაძე, სიხარულიძე, თედორაძე
**იბერია:** გ. დოლიძე, ჟვანია, დ. ნოზაძე, ხურციძე (ბანძელაძე 46), მიქელთაძე, ნ. გიორგაძე (ოდიკაძე 65), მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, კ. ჯანაშია (ლ. გიორგაძე 46), ივეჩიანი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; კ. ბობოხიძე, ლომინაშვილი, ადეიშვილი
**გაფრთხილება:** მუმლაძე (41), არჩვაძე (76)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

თქმა არ უნდა — „ბათუმს" სეზონის განახლება შთამბეჭდავი გამოუვიდა. კარნევალეს შეგირდებმა დაამტკიცეს, შესვენება ნაყოფიერად რომ გაუტარებიათ და იტალიურ ნორჩადან დაბრუნებულებმა ჯერ თასის მერვედფინალში რუსთავის „გორდა" დაამარცხეს, ხოლო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის პირველივე მატჩში ტრიუმფი მოიწყვეს.

ბუნებრივია, სულ სხვა განწყობაა სამტრედიელთა ბანაკში. აბა, სხვა გვარად როგორ იქნება ასეთი კატასტროფული შედეგის შემდეგ. იმედია სოსო ფრუიძე დასკვნებს დროულად გამოიტანს, თორემ ვინ იცის, ასეთი ფიასკო კიდევ ბევრჯერ შეიძლება განმეორდეს.

სანამ უშუალოდ თამაშზე მოგახსენებდეთ, ერთიც ვთქვათ. ბათუმში ყოველ თამაშზე სრული წესრიგი რომ გვხვდება თვალში, ეს უკვე კარგა ხანია ჩვეული ამბავია. სტადიონ „დინამოს" შიდა ინფრასტრუქტურა, ხომ ყოველთვის იყო გამორჩეული საქართველოს სხვა სტადიონებისაგან. ამ ადრეულ გაზაფხულზე მინდვრის საფარზეც არ ითქმის აუგი. შარშანდელმა წყალდიდობამ თავისი დაღი დაასვა მინდვრის ხარისხს. მაშინდელი სტიქიის კვალი დღესაც ატყვია ჯერ კიდევ არამდგრად გრუნტს. თანაც ამ დროისთვის ბალახიც ჯერ არ ამოსულა და თავად მიხვდებით თამაშის შემდეგ რა ძნელი მოსარჯულებელი იქნება იქაურობა.

თუმცა, სტადიონის მომსახურე პერსონალი ძალისხმევას არ იშურებს მინდორს პირვანდელი სახე დაუბრუნოს. მათ ერთიანი ძალებით მუშაობა, უკვე თამაშის დასრულებისთანავე უხდებათ და ასეთი ზრუნვა სხვა თუ არაფერი, უბრალოდ აღნიშვნის ღირსია.

კარნევალემ სათასო მატჩისგან განსხვავებით ორი ცვლილება მოახდინა — ახალგაზრდა აფხაზავას და თარგამაძის ნაცვლად, ისევ ძველ გვარდიას — მაჭუტაძეს და ტულუშს უხმო. ჰოდა, ამან შედეგიც გამოიღო, რაც ექვს გატანილ გოლში გამოიხატა კიდეც.

პირველი წუთებიდან ისეთი უშინაარსო თამაში გაჩაღდა, კაცი ვერ იფიქრებდა სამტრედიელები თუ ასე განადგურდებოდნენ. ერთი ხანი უჩვეულოდ ინერტული მასპინძლები, დიდად ვერაფრით სჯობდნენ მეტოქეს. ტოლსწორად „იბერიამ" მხოლოდ ტაიმის შუაწელამდე შეძლო თამაში. აი, ამის შემდეგ „ბათუმმა" იფეთქა და მეტოქეს ნამდვილი რბევა მოუწყო.

ყველაფერ ამას დასაბამი ამირან მუჯირმა მისცა. ტაიმის ორი მესამედი ილეოდა, როცა მან ცაციათი დაახლოებით 22 მეტრიდან ისეთი გაისროლა, გაგიხარდებოდათ — ბურთი დოლიძის კარის მარცხენა ცხრიანში შეფრინდა.

თითქოს ამას ელოდნენო, ზღვისპირელებმა გაილაღეს და ათიოდ წუთში პირველს, მეორე გოლიც მოაყოლეს. მაჭუტაძემ მარცხენა ფლანგზე იმარჯვა და გამოზომილი პასით ხომერიკი მეკარეს შეატოვა. ლევანმაც პარტნიორს გარჯა დაუფასა და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ბოლო ხუთ დღეში მესამედ იხეირა.

წუთსაც არ გაევლო, კვლავ ამ დუეტმა შეგვახსენა თავი. ოღონდ ამ ჯერზე ასისტენტობა ხომერიკმა ითავა, ხოლო გოლი მაჭუტაძემ გაიტანა.

მეორე ტაიმს ძირეულად არაფერი შეუცვლია. „იბერია" ძლივსძლივობით იცავდა თავს, კარგად მოთამაშე მასპინძლებისაგან. „ბათუმს" ყველაფერი გამოსდიოდა და შედეგად პირველ ტაიმში გატანილ სამ გოლს ერთი ამდენი დაუმატა. პირველად კი ისევ ამირან მუჯირმა იხეირა, მიიღო რა მალხაზ მახარაძის უნაკლო გადაცემა, მცველებს გაექცა და დოლიძესაც შანსი არ დაუტოვა.

ზღვისპირელთა იერიშები თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა და სტუმართ სულ უფრო უჭირდათ წინააღმდეგობის გაწევა. მალე მეოთხე გოლს მეხუთეც მოჰყვა. გელა ქორიძე ბურთიანად ლამის ცენტრიდან დაიძრა, გზად მცველებმა ოდენ ესკორტის როლი შეასრულეს და საჯარიმოში შესულ „ტუხას" დამაგვირგვინებელი დარტყმა ზუსტი გამოუვიდა.

საბოლოო შედეგი კი მაჭუტაძემ დუბლით დააფიქსირა. ეს კი თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მოხდა.

და ბოლოს, ერთი ფაქტიც უნდა ითქვას. სტუმარ მცველებს სანუგეშოდ ისღა დარჩათ რომ ერთბაშად 22-ჯერ დატოვეს მეტოქე თამაშგარეში. თუმცა, ამით რა ხეირი მერე. ისე კი, თამაშგარე მდგომარეობაში შაბათს უდავოდ მთლიანად „იბერია" დარჩა.

# დაარტყი, რამაზ!

**ბოლნისი**
4 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 14 000)

**სიონი 4:1 დილა**

1:0 შენგელია (31), 2:0 კ. გოგოლაძე (56), 3:0 ისიანი (70), 4:0 ვოლკოვი (74პ), 4:1 ხორგუაშვილი (87პ)
**სიონი:** ვოლკოვი, მ. სამხარაძე, დიმიტრიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მაზანიშვილი, მ. გოგოლაძე (დ. ჯაფარიძე 79), ისიანი (ფ. არჩვაძე 84), მოსეშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე (ჩაგელიშვილი 76)
*სათადარიგოები:* დალაქიშვილი; თ. სამხარაძე, ა. ბოკერია
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, კარელიძე, ლომიძე, მარჯხაშვილი, ციცქიშვილი, ოლგესაშვილი (სულთანიშვილი 46), ხორგუაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 46)
*სათადარიგონი:* მდივანი; ვ. სამხარაძე, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი
**გაფრთხილება:** ისიანი (21)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ვ. ჩოჩიშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

ძალიან ჩვეულებრივად, ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე განახლდა სეზონი ბოლნისში. „სიონმა" „დილას" ყველასთვის მოულოდნელად, იოლად სძლია. ბოლნისელები შინაურ კედლებში, სტაბილურად რომ თამაშობენ, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ შიდაქართლელებს ასეთი დიდი ანგარიშით თუ მოუგებდნენ, არავის ეგონა. რატომ? თავად განსაჯეთ. საშუასეზონო შესვენებისას გუნდმა დაკარგა დავით დათუაძე, „ბათუმს" მიაშურა კახა სიდამონიძემ, თავდასხმის ხაზმა დავით გოდერძიშვილი მოისაკლისა, ტრავმების გამო სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ ვასილ მაისურაძე და გუნდის დაცვის ბურჯი არჩილ შაკიაშვილი, „დილა" კი თასის მერვედფინალში „ზოოვეტის" დამარცხების შემდეგ ამაღლებული განწყობით ეწვია ბოლნისს. ჰოდა, იმიტომაც იყო, რომ დანა პირს არ უხსნიდა „სიონის" მთავარ მწვრთნელ, სპარტაკ არჩვაძეს. მან მხოლოდ ნამატჩევს გამოიდარა. გაიხარა ბოლნისელმა ქომაგმაც. „სიონმა" ძალიან ძლიერად, ალმავლობით ჩაატარა მატჩი და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. მასპინძელთა გამარჯვებაში კი ლომის წილი დაიდეს ახალწვეულებმა — შენგელია-ისიანი-გოგოლაძის ტრიო სამომავლოდაც დიდ პრობლემებს შეუქმნიან მეტოქე გუნდების მცველებს. კარგად ითამაშა გიორგი მაზანიშვილმაც. მან მშვენივრად გაართვა თავი გამთამაშებლის მოვალეობას. კახა გოდერძიშვილის და ნუკრი მინდიაშვილის შეხმატკბილებულმა თამაშმა კი „დილას" შეტევის ხაზში ფაქტობრივად შანსი არ დაუტოვა...

მე-10 წუთი იწურებოდა, როცა ბესო შენგელიამ ხაჭაპურიძის შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა მოწინააღმდეგის კარში, თუმც რამაზ სოლოლაშვილი ადგილზე დაუხვდა ბურთს. მეოცე წუთისთვის ბოლნისელები სრულ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და ბურთმაც „დილას" ნახევარზე გადაინაცვლა, მაგრამ შეტევით გართულ მასპინძლებს მეტოქის კონტრიერიში გამოეპარათ. სტუმართაგან ყველაზე აქტიურ ხორგუაშვილს ვოლკოვმა აუღო ძნელი ბურთი. კუთხურიდან ჩამოწოდებულზე კი ერთხელაც „აიჭრნენ" სიონელები, მაგრამ არუთინიანმა საჯარიმოში არეულობით ვერ ისარგებლა — ახლო მანძილიდან თავით ოდნავ ააცილა კარს ბურთი. ამ მომენტმა „სიონი" საბოლოოდ გამოაფხიზლა და ერთ წუთში ანგარიშიც გაიხსნა — მაზანიშვილმა მოხდენილი პასით კახა გოგოლაძე გაიყვანა კარგ პოზიციაზე, თუმც მისი დარტყმული ხაჭაპურიძეს მოხვდა ზურგში, გადმოვარდნილ ბურთს კი შენგელიამ მიუჩინა ადგილი მეკარისგან მარჯვენა კუთხეში — 1:0.

მეორე ნახევარში „დილა" საბოლოოდ გატყდა, ძნელი სათქმელია, სტუმართა ასეთი სუსტი თამაში რამ განაპირობა. არადა, ასეთ „დილას" ძნელად თუ ნახავ კაცი ჩვენს ჩემპიონატში — ბრძოლის ჟინი ჰქონდათ დაკარგული გორელებს. მეორე გოლამდე „სიონს" სამჯერ შეექმნა კარის აღების რეალური შანსი, თუმც ჯერ მოსეშვილმა და გოგოლაძემ ვერ ივარგეს, შემდეგ კი მეკარესთან პირისპირ გასულმა შენგელიამ ბურთი სოლოლაშვილს გაარტყა. 56-ე წუთზე მინდიაშვილის მორიგ სახიფათო კუთხურს ლამაზი გოლი მოჰყვა — გოგოლაძემ საჯარიმოს კიდიდან მაღალ ნახტომში თავით შორეულ კუთხეში გაუტანა სოლოლაშვილს — 2:0. იშვიათი სილამაზის იყო მესამე გოლი. 30 მეტრიდან ჯარიმიდან ისიანმა საბოლოოდ წაახდინა გორელთა კარის დარაჯი... შემდეგ კი მატჩის ყველაზე საინტერესო მომენტის დროც დადგა. 73-ე წუთზე მაზანიშვილმა მორიგი გამოზომილი პასით გოგოლაძე გაიყვანა საჯარიმოში, კახას ბურთი კუთხურის ხაზისკენ გაექცა, იქ კი სრულიად უწყინარ სიტუაციაში თავდამსხმელს მეკარემ უბიძგა. ავთო შალამბერიძემ უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. სოლოლაშვილის დასჯა ვოლკოვმა ითავა. ბოლნისელთა კარის დარაჯმა აუღელვებლად შეაგორა ბურთი ბადეში — 4:0.

მატჩის მიწურულს შალამბერიძემ კიდევ ერთხელ მიუთითა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ. „სიონის" საჯარიმოში სამ მცველს შორის ბოლომდე იბრძოლა ხორგუაშვილმა... პენალტი აშკარა იყო და აიშალა სტადიონი, ყველა სოლოლაშვილს სთხოვდა, პენალტი დაერტყა. „დაარტყი, რამაზ!" — ლოჟაში „დილას" ხელმძღვანელთა შეძახილიც გაისმა. მოედნის ცენტრში სოლოლაშვილს თავი ჩაეღუნა და მუხლებს დაჰყრდნობოდა. თერთმეტმეტრიან ნიშნულთან ბურთიანად ზურაბ ხორგუაშვილი მივიდა...

# გიორგი ქინქლაძე: მალე ძველებურად ავთამაშდები

*პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ გიორგი ქინქლაძემ პირველად გაიტანა. შაბათს „დერბიმ" „უიმბლდონს" უმასპინძლა და 4:0 გაანადგურა. ანგარიში მეორე ტაიმში სწორედ ჩვენებურმა გახსნა, მანამდე ულამაზეს-უძლიერესად დარტყმულით კი მეტოქეთა კარის ხარიხა შეაზანზარა. მერე „დერბიმ" მეორეც გაიტანა და მწვრთნელ სმიტს გამარჯვებაში ეჭვი რომ აღარ ეპარებოდა, ჩვენებური გამოცვალა. თუმცა იქამდე გიო ფეხის ტკივილმა შეაწუხა, მოედანი კოჭლობით დატოვა. გუშინ ვარჯიშიდან შინ ახალდაბრუნებულ გიოს დერბიში შევეხმიანეთ და პირველად სწორედ ტრავმის თაობაზე ვკითხეთ...*



გიოს პირველი დერბული სიხარული

— სერიოზული არაფერია, თამაშის გაგრძელებაც შემეძლო, მაგრამ მწვრთნელმა თავი დაიზღვია, მომავალ ტურში „მანჩესტერს" ვხვდებით და სჯობს ახლა დაისვენო, მაინც მოგებული გვაქვსო, მითხრა, როცა ექიმები დახმარებას მიწევდნენ. დღეს მთელი დატვირთვით ვივარჯიშე, ყველაფერი კარგადაა.

**— შენი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?**

— სასურველ ფორმამდე ცოტა კიდევ მიკლია, ვგრძნობ ამას. ადრეც ხომ გეუბნებოდით, ორი-სამი თვე გამიჭირდება-მეთქი. „უიმბლდონთან" მატჩმა კი დამარწმუნა, რომ მალე ძველებურად ავთამაშდები. მწვრთნელიც მანუგეშებს, პრემიერლიგაში ადგილი თუ შევინარჩუნეთ, შენი დამსახურება იქნებაო.

**— წინა ტურში, „სანდერლენდთან" მარცხენა ფლანგზე რატომ ითამაშე? „აიაქსის" მწვრთნელთან ხომ სწორედ ამ ამპლუის გამო მოგივიდა უთანხმოება?**

— პირველ ტაიმში სხვანაირი ტაქტიკა გვქონდა. მეტოქე სამი მცველით თამაშობდა და მათგან ერთ-ერთი რომ წინ არ წასულიყო, სმიტმა სამი თავდამსხმელით ამჯობინა მატჩის დაწყება. მეც მარცხნიდან შეტევა მთხოვა, მეორე ტაიმში კი შუაში შევიწიე.

**— მართალია, თითქოს ვიზასთან დაკავშირებული პრობლემები შეგქმნია?**

— ინგლისში კიდევ სამ თვეს მუშაობის უფლება მაქვს — მერე ხელახლა უნდა მივიღო. ყველა საჭირო საბუთი შრომის დეპარტამენტში უკვე ჩაბარებულია, პასუხს თვენახევარში შეგატყობინებთო, უთხრეს „დერბის" ხელმძღვანელობას. მას შემდეგ ორი კვირა გავიდა. პრობლემა ისაა, რომ თუ ამის უფლება არ მომცეს, „დერბიმ" ახალი კონტრაქტიც რომ გამიფორმოს, ვერ ვითამაშებ. შესაბამისად, „აიაქსიც" კაპიკს ვერ მიიღებს. ჰოდა, ჯერ გაურკვეველი სიტუაციაა. ინგლისში ასეთი წესია — სამუშაო ვიზა ყოველწლიურად გრძელდება. ადრე, როცა ორსამ წელიწადს აქ უწყვეტად ვთამაშობდი, პრობლემა არ მქონდა, ახლა კი, რაკი „დერბის" სეზონის დაწყების შემდეგ შევუერთდი, გამორიცხული არაა, თამაშების საჭირო რაოდენობა ვერ დავაგროვო. მაგრამ იმედი მაქვს, ვითამაშებ და ყველაფერი კარგად დამთავრდება.

კობა ინასარიძე

# 29 მარტი. ისრაელი-საქართველო

**29 მარტს** საქართველოს ნაკრები ისრაელს ესტუმრება და თელ ავივში მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

ამის თაობაზე შაბათის „სარბიელშიც" ვწერდით, მაგრამ ებრაელებთან თამაში მაშინ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ გახლდათ. გუშინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ისრაელიდან კიდევ ერთი ფაქსი მიიღო — ყველაფერი მოგვარებულია, 29 მარტს, უეფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის დადგენილ დღეს, ჩვენებურები ისრაელში ითამაშებენ. სხვა დეტალებზე ორ-სამ დღეში გაცნობებთ.

ისე, საქართველოს ნაკრებმა ისრაელთან 1994 წელსაც ითამაშა აშდოდში. ჩვენებურები ექვსი წლის წინ 0:2 დამარცხდნენ.

კობა ინასარიძე

# კარი ხომ გაიჯახუნეს

**საქართველოს** მინი-ფეხბურთის ნაკრებმა წაუგებლად დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ხორვატიაში. ბოლოს დარბაზიც გამარჯვებულმა დატოვა, მაგრამ სამშობლოში მაინც დამარცხებული დაბრუნდა, რადგან პირველ და ბოლო მატჩებს შორის ორ შეხვედრაში ნაკრები ორჯერვე დამარცხდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩენილიყვნენ.

როგორც იცით, პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანელებთან ფრეს (6:6) ჩვენებურებმა ხორვატებთან დამარცხება მიაყოლეს (0:4), ტურნირის ბოლო ორ დღეს კი მოვლენები ასე განვითარდა: 3 მარტს ქართველებს მეტოქედ ჩეხები ჰყავდნენ. ნაკრები, რომელიც მასპინძლებთან ერთად ფავორიტად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ჩვენებურები მინი-ფეხბურთისთვისაც დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 3:10. ბოლო მატჩში კი ბერძნების წინააღმდეგ ლევან ყიფიანის დამოძღვრილებმა როგორც იქნა, გაიმარჯვეს და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს — 9:2.

საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები თბილისში ზეგ დაბრუნდება.

პაატა კვანტალიანი

# ინგლისი

## XXVII ტური

### ასტონ ვილა 1:1 არსენალი

1:0 უოლკერი (62), 1:1 დიქსონი (84)
ასტონ ვილა: ენკელმანი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, დილანი, ტეილორი, სტოუნი, მერსონი, ა. რაიტი, ჯოუჩიმი, რ.უოკერი (ჰენდრი 81)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, გრიმანდი (ლუჟნი 50), სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი (უინტერბერნი 73), ანრი, კანუ, ბერხკამპი (ოვერმარსი 45)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: პეტი
მსაჯი: პოლი
36 930 მაყურებელი

### ლიდსი 3:0 ქოვენთრი

1:0 კიუელი (5), 2:0 ბრიჯისი (42), 3:0 უილკოქსი (85)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რადებე, ვუდგეიტი (ჰაალანდი 46), ჰარტი, ბოიერი (ჯონსი 89), ბაკე, მაკფეილი, უილკოქსი, ბრიჯისი (ჰაკერბი 80), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ქოვენთრი: ჰედმანი, ა. ქუინი (შოუ 46), ბრინი, ჰენდრი, ბორროუზი, ჩიპო, ოსტიჩი, მაკალისტერი, ველანი, რუსელი, ზუნიგა (ნორმანი 60)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მსაჯი: უინტერი
38 710 მაყურებელი

### ლესტერი 5:2 სანდერლენდი

1:0 კოლიმორი (17), 2:0 ჰესკი (34), 2:1 ფილიპსი (53), 3:1 კოლიმორი (60), 3:2 ქუინი (75), 4:2 კოლიმორი (87), 5:2 ოუქსი (90)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი, გაპი, სევიჯი, ელიოტი, იზეტი, ლენონი, ედი (ოუქსი 56), კოლიმორი, ჰესკი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
სანდერლენდი: სორენსენი, ჰოლოვეი (სამერბი 45), მაკინი, ბატლერი, კრადოკი, რაე, რუა (ოსტერი 71), შვარცი, კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ლენონი, ჰესკი, ქუინი, კილბეინი
მსაჯი: ბერი
20 432 მაყურებელი

### მანჩესტერი 1:1 ლივერპული

0:1 ბერგერი (27), 1:1 სოლსკიაერი (45)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, ბექემი, როი კინი, ბათი, გიგზი, იორკი (შერინგემი 85), სოლსკიაერი (ე. კოული 80)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლივერპული: ვესტერველდი, ჰეგემი (სონგი 18), ენჩოსი, ჰიიპია (მერფი 46), მატეო, შმიცერი, ჰამანი, კარაგერი, ბერგერი, მეიერი, კამარა (ოუენი 77)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: კინი, იორკი, მეიერი
მსაჯი: გალაჰერი
61 592 მაყურებელი

### დერბი 4:0 უიმბლდონი

1:0 ქინქლაძე (65), 2:0 კრისტი (71), 3:0 ბარტონი (90), 4:0 სტარიჯი (90)
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, ელიოტი, დელაპი, ერანიო, ბოჰინენი (შნური 33), პაუელი, ჯონსონი, ქინქლაძე (დ. ბარტონი 72), კრისტი (სტარიჯი 88)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, კიმბლი, ერდლი (ბადირი 72), იუელი, ვილმოტი, ლუნდი, კორტი, გეილი
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
გაფრთხილება: იუელი
მსაჯი: დურსო
28 384 მაყურებელი

### ევერტონი 1:1 შეფილდ უენსდი

1:0 ვეირი (33), 1:1 ქუინი (49)
ევერტონი: მირე, ბოლი, ანსუორთი, ვეირი, შავიერი, უორდი (დანი 76), პემბრიჯი, ბარმბი, კოლინზი, მური, ჯ. კემპბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ჰინჩკლიფი, უოლკერი, აზერტონი, ნოლანი (ბრისკო 46), მ. ქუინი, ჰასლამი, სონერი, ალექსანდერსონი, სიბონი, დე ბილდე
მწვრთნელი: დენი უილსონი
გაფრთხილება: სიბონი
მსაჯი: ბარბერი
32 020 მაყურებელი

### ნიუკასლი 0:1 ჩელსი

0:1 პოიეტი (22)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, პაუი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, დომი (სოლანო 46), დაიერი, ლი (ქეცბაია 75), სპიდი, შირერი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლებეფი, ტომე, ბაბაიარო, მორისი, დი მატეო (პეტრესკუ 48), პოიეტი, უაიზი, სატონი (ფლო 72), ძოლა
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
მსაჯი: რილი
36 448 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 1:1 მიდლსბრო

0:1 რიკარდი (44პ), 1:1 პახარსი (45)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, ბენალი, ბრიჯი, ოუკლი, მარსდენი, ტესემი, კაჩლული (ბოა მორტე 75), პახარსი, დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, კუპერი, პალისტერი, ვიკერსი, სამერბელი, ჟუნინიო (მასტო 84), მედისონი, ციგე (გორდონი 17), დინი, რიკარდი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: ციგე, კუპერი, სამერბელი, დინი
მსაჯი: დანი
15 223 მაყურებელი

### ტოტენჰემი 1:1 ბრედფორდი

1:0 ივერსენი (14), 1:1 ლოურენსი (42)
ტოტენჰემი: ი.უოკერი, კარი, სოლ კემპბელი, პერი, ტარიკო (იანგი 77), ლეონარდსენი (ლ. ფერდინანდი 73), ფროინდი, ანდერტონი, ჟინოლა, კ. არმსტრონგი, ივერსენი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ბრედფორდი: დევისონი, ჰალე, ობრაიენი, ვეზეროლი, ჯაკობსი, ლოურენსი, უოლი (დრაიერი 77), მაკკოლი, ბიგრი, სონდერსი (კადეტე 80), უინდასი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ჰალე, ჯაკობსი
მსაჯი: ჯონსი
35 472 მაყურებელი

### უოტფორდი 1:2 ვესტ ჰემი

0:1 ლომასი (3), 0:2 ვანჩოპე (35), 1:2 ჰელგუსონი (61)
უოტფორდი: ჩემბერლენი, უილიამსი (რობინსონი 46), პეიჯი, პალმერი, გიბსი (კოქსი 46), კენედი, ბონოტი (ჯონსონი 46), ჰიდი, ვუტერი, ჰელგუსონი, სმარტი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ვესტ ჰემი: ფორესტი, რ. ფერდინანდი, პირსი, შტიმაცი, ლომასი, მონკუ, ლამპარდი, ფოე, მინტო, ტ. სინკლერი, ვანჩოპე
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ჰელგუსონი, კენედი, პეიჯი, მონკუ
მსაჯი: რიდი
18 619 მაყურებელი

# ქინქის პირველი

ინგლისის ყველაზე სახელოვანი გუნდი „ლივერპული" ძველ სახელს იბრუნებს. უფრო სწორად, როგორც იქნა, „ლივერპული" გამოჩნდა და გამაგრდა პრემიერლიგის პირველ ხუთეულში. ლამის მთელი სეზონის განმავლობაში ადევნებულმა ტრავმებმა, „ლივერპულს" ეგრემც არ მისცა სრულფასოვანი თავდასხმის ხაზის ჩამოყალიბების საშუალება. ფაულერის და ოუენის ხშირმა არყოფნამ მთელი დაწოლა წინა ხაზზე ეულად დარჩენილ კამარასა და ჩეხ ნახევარმცველებზე გადავიდა. თითქოს აქედან იშვა თავდაცვითი „ლივერპულიც", გუნდი, რომელსაც ყველაზე ცოტა გაუშვია წლევანდელ სეზონში.

„ლივერპულის" სტუმრობა „ოლდ ტრეფორდზე" და ლიდერ „მანჩესტერთან" ჭიდილი ერთგვარად ჰგავდა კიდეც მერსისაიდელთა ორიკვირისწინანდელ შეხვედრას „არსენალთან" ლონდონში. ისევე როგორც მეთოფენი, მანჩესტერელებიც შეასკდნენ საკუთარ ნახევარზე [illegible]უცხოოდ მოთამაშე „ლივერპულს" და ძალიანაც გაუჭირდათ. 27-ე წუთზე კი იაპ სტამი კარიდან გვარიანად შორს [illegible]ლადიმირ შმიცერს დაებღაუჭა. მან[illegible]ლი 30 მეტრი იყო, კედელში ოთხი მოთამაშე იდგა. პატრიკ ბერგერმა გააქანა და ვიწრო კედელს შიგნიდან შემოატარა ბურთი. ვან დერ გოუმ ველარ მოასწრო და ისევე როგორც მაშინ ლონდონში, ახლაც მანჩესტერში „ლივერპული" დაწინაურდა. მანჩესტერელთა შეტევის ახლებურმა წყვილმა სოლსკიაერ-იორკმა ბექემისა და გიგზის ნაწვალები ვერა და ვერ აქციეს საქმედ. მანჩესტერელთა ილბალი იყო თუ რა, პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი სტუმრებმა ათი კაცით ითამაშეს — დაცვის ბურჯი სემი ჰიიპია დაშავდა, მისი შეცვლა კი ჟერარ ულიემ არ იჩქარა. ჰიიპია მეორე ტაიმის დაწყების წინ მაინც შეცვალეს, მაგრამ ამ დროს ანგარიშში უკვე 1:1 იყო, სოლსკიაერს უკვე გაეტანა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა, „ლივერპულის" ნახევარდაცვა „მანჩესტერისას" სჯაბნიდა, თუმც კი კონტრშეტევის იმედად უფრო იყო. სათამაშო სურათი მაშინ გამძაფრდა, როცა ულიემ მოედანზე ექვსი კვირის უთამაშებელი მაიკლ ოუენი შეუშვა. ამ უკანასკნელის პირველივე შეხება ბურთთან ლამის გოლით დასრულდა. მანჩესტერელთა შორის კი გამოჩნდა ტედი შერინგემი, რომელიც უკვე მერამდენედ აპირებდა თამაშის ბედის ბოლო წამს შემოტრიალებას. მიკაელ სილვესტრის საფლანგო გარღვევას პენალტის ნიშნულის შორიახლოს მარტოდ შთენილი „შერი" შეეგება და ბურთი სტუმართა კარისკენ გაგზავნა. ლივერპულელი მცველები კარში იდგნენ და ბურთს გადაელობნენ... თამაში ასე დასრულდა. „ლივერპულმა" კი მესამე ადგილი „ჩელსის" დაუთმო, რომელმაც ნიუკასლში გუსტავო პოიეტის კენტი გოლით სძლია მასპინძლებს, რომლებსაც ბობი რობსონის მოსვლის შემდეგ შინ არ წაეგოთ. თავის მხრივ, ვიალის გუნდსაც არ წაუგია 4 დეკემბრის შემდეგ, სამეულს კი ხუთთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. „არსენალმა" ქულა წაილო ბირმინგემიდან და გვარიანადაც გადარჩა. ჯულიან ჯოუჩიმმა იმდენი ააცილა, რომ სამ თამაშს ეყოფოდა. მანამდე კი პოლ მერსონის ჩაკიდულს რიჩარდ უოკერმა შეაგება თავი. „ვილას" ორ ქულად დაუჯდა მცირედი მოდუნება — შეხვედრის დასასრულამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა, როცა ლი დიქსონმა მასპინძელთა მცველებს ჩაუქროლა და ბურთი კარში გაიტანა.

„ლიდსი" კი კვლავ მეორეა, „მანჩესტერს" ოთხი ქულითღა ჩამორჩება. ლიდსელებმა კომფორტულად სძლიეს „ქოვენთრის", რაც ჰარი კიუელის საუცხოო თამაშის შედეგი იყო. თამაშის პირველი გოლი მან საჯარიმო დარტყმით გაიტანა, შემდეგ კი, ფიანდაზით მიართვა საგოლე პასი მაიკლ ბრიჯისს. მესამე კი ჯეისონ უილკოქსმა შეაგდო შეხვედრის მიწურულს.

ლაღი ინგლისური ბურთაობა გახურდა ლესტერის „ფილბერტ სტრიტზე", სადაც მასპინძლებმა დიდი დაბომბვა მოუწყვეს გზასაცდენილ „სანდერლენდს". კევინ ფილიპსის მორიგ და ნეილ ქუინის ბრწყინვალე გოლები, აშკარად გადაფარეს ემილ ჰესკისა და ედამ ოუქსის ზუსტმა დარტყმებმა. „ლესტერის" ახალწვეულის სტენ კოლიმორის ჰეთ-თრიქმა კი ვინ იცის, რარიგ ჩააფიქრა „ასტონ ვილას" მენეჯერი ჯონ გრეგორი, ვინაც გულცივად გადაულოცა დეპრესიით ტანჯული სტენი მარტინ ონილს. კოლიმორს დეპრესია დაუძლევია, ეს აშკარაა. 5:2 კი საუცხოო შედეგია ლესტერელთათვის.

„საუთჰემპტონმა" და „მიდლსბრომ", ისევე როგორც „ევერტონმა" და „შეფილდმა" და „ტოტენჰემმა" და „ბრედფორდმა", თითო გოლი გაუცვალეს ერთმანეთს და ქულებიც გაიყვეს.

„ბრედფორდის" ფრემ ამოასუნთქა მისი უშუალო მოცილე პრემიერლიგაში დარჩენის საკითხში „დერბი ქაუნთი". „დერბიმ" 4:0 მოუგო უფსკრულისკენ დაძრულ „უიმბლდონს". გიორგი ქინქლაძემ ანგარიში გახსნა და თავისი პირველი დერბიული გოლი გაიტანა. საერთოდ კი, ნაღდი ფეხბურთელი „დერბის" სამი ჰყავს, ქინქლაძე, მალკოლმ კრისტი და რორი დელაპი. ამ სამი მოთამაშის მოქმედებათა წყალობითაა, რომ „დერბის" თამაში გამოსდის. სამწუხაროდ, ქინქლაძე მალე დაშავდა და ბარტონით შეცვალეს. თავის პირველ გოლამდე ქინქლაძეს გატანის შანსი ჰქონდა: მან ორი მცველი მოატყუა და სალივანის კარი ძელმა იხსნა. კრისტიმ ქინქლაძის გასვლისთანავე შეაგდო მეორე. სულ ბოლო წუთს კი „დერბიმ" შეცვლაზე შემოსულთა წყვილი გოლით, საბოლოოდ დახვრიტა ეგილ ოლსენის გუნდი.

**ირაკლი გამყრელიძე**

REUTERS მანჩესტერიდან



მანჩესტერი — ლივერპული 1:1. მანჩესტერელი დევიდ ბექემი და ლივერპულელი ტიტი კამარა (მარჯვნივ)

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 27 | 17 | 7 | 3 | 60:34 | 26 | 58 | 14 | 10 | 4 | 0 | 39:11 | 28 | 34 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:23 | -2 | 24 |
| 2 | ლიდსი | 27 | 17 | 3 | 7 | 42:29 | 13 | 54 | 14 | 10 | 1 | 3 | 21:10 | 11 | 31 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:19 | 2 | 23 |
| 3 | ჩელსი | 27 | 14 | 7 | 6 | 38:24 | 14 | 49 | 13 | 9 | 2 | 2 | 24:8 | 16 | 29 | 14 | 5 | 5 | 4 | 14:16 | -2 | 20 |
| 4 | არსენალი | 27 | 14 | 6 | 7 | 47:28 | 19 | 48 | 14 | 10 | 2 | 2 | 30:11 | 19 | 32 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:17 | 0 | 16 |
| 5 | ლივერპული | 26 | 14 | 6 | 6 | 39:22 | 17 | 48 | 13 | 9 | 1 | 3 | 23:9 | 14 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 20 |
| 6 | ევერტონი | 27 | 10 | 10 | 7 | 47:36 | 11 | 40 | 13 | 5 | 8 | 0 | 28:14 | 14 | 23 | 14 | 5 | 2 | 7 | 19:22 | -3 | 17 |
| 7 | სანდერლენდი | 27 | 11 | 7 | 9 | 44:42 | 2 | 40 | 14 | 7 | 5 | 2 | 22:13 | 9 | 26 | 13 | 4 | 2 | 7 | 22:29 | -7 | 14 |
| 8 | ასტონვილა | 27 | 10 | 9 | 8 | 32:25 | 7 | 39 | 13 | 5 | 6 | 2 | 16:8 | 8 | 21 | 14 | 5 | 3 | 6 | 16:17 | -1 | 18 |
| 9 | ტოტენჰემი | 27 | 11 | 6 | 10 | 36:30 | 6 | 39 | 13 | 7 | 2 | 4 | 23:15 | 8 | 23 | 14 | 4 | 4 | 6 | 13:15 | -2 | 16 |
| 10 | ლესტერი | 26 | 11 | 5 | 10 | 40:38 | 2 | 38 | 14 | 8 | 2 | 4 | 25:19 | 6 | 26 | 12 | 3 | 3 | 6 | 15:19 | -4 | 12 |
| 11 | ვესტ ჰემი | 26 | 10 | 8 | 8 | 36:36 | 0 | 38 | 12 | 7 | 3 | 2 | 21:20 | 1 | 24 | 14 | 3 | 5 | 6 | 15:16 | -1 | 14 |
| 12 | ნიუკასლი | 27 | 9 | 7 | 11 | 46:42 | 4 | 34 | 13 | 6 | 4 | 3 | 31:14 | 17 | 22 | 14 | 3 | 3 | 8 | 15:28 | -13 | 12 |
| 13 | მიდლსბრო | 27 | 9 | 6 | 12 | 28:38 | -10 | 33 | 14 | 6 | 3 | 5 | 14:18 | -4 | 21 | 13 | 3 | 3 | 7 | 14:20 | -6 | 12 |
| 14 | ქოვენთრი | 27 | 8 | 8 | 11 | 35:35 | 0 | 32 | 14 | 8 | 1 | 5 | 27:17 | 10 | 25 | 13 | 0 | 7 | 6 | 8:18 | -10 | 7 |
| 15 | საუთჰემპტონი | 26 | 8 | 6 | 12 | 31:42 | -11 | 30 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 2 | 19 | 13 | 3 | 2 | 8 | 14:27 | -13 | 11 |
| 16 | უიმბლდონი | 27 | 6 | 11 | 10 | 37:49 | -12 | 29 | 14 | 5 | 6 | 3 | 24:18 | 6 | 21 | 13 | 1 | 5 | 7 | 13:31 | -18 | 8 |
| 17 | დერბი | 27 | 7 | 7 | 13 | 32:39 | -7 | 28 | 14 | 4 | 2 | 8 | 16:21 | -5 | 14 | 13 | 3 | 5 | 5 | 16:18 | -2 | 14 |
| 18 | ბრედფორდი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:43 | -16 | 26 | 13 | 4 | 7 | 2 | 16:17 | -1 | 19 | 14 | 2 | 1 | 11 | 11:26 | -15 | 7 |
| 19 | უენსდი | 27 | 4 | 6 | 17 | 24:54 | -30 | 18 | 13 | 3 | 3 | 7 | 13:16 | -3 | 12 | 14 | 1 | 3 | 10 | 11:38 | -27 | 6 |
| 20 | უოტფორდი | 27 | 4 | 3 | 20 | 24:59 | -35 | 15 | 13 | 3 | 2 | 8 | 17:24 | -7 | 11 | 14 | 1 | 1 | 12 | 7:35 | -28 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 23 |
| შირერი (ნიუკასლი) | 17 |
| კოული (მანჩესტერი) | 17 |

8 მარტი
გადადებული მატჩი
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი

XXVIII ტური

11 მარტი
ასტონ ვილა — ქოვენთრი
ჩელსი — ევერტონი
ლივერპული — სანდერლენდი
მანჩესტერი — დერბი
ნიუკასლი — უოტფორდი
შეფილდი — ვესტ ჰემი
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი
უიმბლდონი — ლესტერი

12 მარტი
ბრედფორდი — ლიდსი
მიდლსბრო — არსენალი

## პირველი დივიზიონი

### XXXIV ტური

**შეფილდ იუნ. 1:1 ქუინზ პარკი**
0:1 ბეკი (25), 1:1 ნოტმანი (54)

**ვესტ ბრომვიჩი 0:3 ბირმინგემი**
0:1, 0:2 ადებოლა (6, 8), 0:3 მარსელო (86)

**ბოლტონი 0:2 ჩარლტონი**
0:1 პრინგლი (80), 0:2 ჰანტი (81)

**ქრიუ 1:0 ნორვიჩი**
1:0 სორველი (5)

**კრ. პალასი 1:1 მანჩესტერ სიტი**
0:1 ტეილორი (8), 1:1 მორისონი (27)

**ფულემი 3:1 პორტვეილი**
1:0 კლარკი (18), 2:0 მელვილი (29), 3:0 კლარკი (52), 3:1 ჰელი (74)

**ჰადერსფილდი 2:0 ვულვზი**
1:0, 2:0 სმიტი (20, 34)

**იფსვიჩი 0:1 პორტსმუთი**
0:1 კლარიჯი (26)

**ნოტინგემი 3:1 სუინდონი**
1:0 როჯერსი (32), 2:0 ბარტ-უილიამსი (36პ), 3:0 ფრიდმანი (42), 3:1 ჰეი (52პ)

**ტრანმერი 2:1 ბლექბერნი**
1:0 მაჰოუნი (47პ), 2:0 ალისონი (90), 2:1 დეილი (90)

**უოლსოლი 1:0 გრიმსბი**
1:0 რობინსი (39)

**სტოკპორტი 1:3 ბარნსლი**
0:1 ხრისტოვი (8), 1:1 ლაუსონი (17), 1:2 ხრისტოვი (30), 1:3 შიპერლი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 33 | 23 | 5 | 5 | 61:29 | 74 |
| სიტი | 33 | 19 | 7 | 7 | 53:27 | 64 |
| იფსვიჩი | 34 | 18 | 10 | 6 | 55:33 | 64 |
| ბარნსლი | 33 | 17 | 7 | 9 | 63:48 | 58 |
| ბირმინგემი | 34 | 16 | 9 | 9 | 53:37 | 57 |
| ჰადერსფილდი | 34 | 16 | 8 | 10 | 52:36 | 56 |
| ვულვზი | 34 | 14 | 10 | 10 | 47:38 | 52 |
| ფულემი | 34 | 13 | 13 | 8 | 32:27 | 52 |
| ბლექბერნი | 34 | 12 | 12 | 10 | 41:38 | 48 |
| ბოლტონი | 33 | 12 | 10 | 11 | 44:37 | 46 |
| ქუინზ პარკი | 34 | 10 | 15 | 9 | 42:39 | 45 |
| ნორვიჩი | 34 | 11 | 11 | 12 | 34:37 | 44 |
| სტოკპორტი | 33 | 11 | 11 | 11 | 37:44 | 44 |
| შეფილდ იუნ. | 34 | 11 | 10 | 13 | 47:48 | 43 |
| გრიმსბი | 34 | 12 | 7 | 15 | 37:53 | 43 |
| ტრანმერი | 32 | 11 | 7 | 14 | 42:48 | 40 |
| ნოტინგემი | 34 | 10 | 9 | 15 | 38:44 | 39 |
| კრ. პალასი | 34 | 9 | 11 | 14 | 45:54 | 38 |
| ქრიუ | 34 | 9 | 8 | 17 | 36:45 | 35 |
| უოლსოლი | 34 | 8 | 10 | 16 | 35:52 | 34 |
| პორტსმუთი | 33 | 8 | 9 | 16 | 36:49 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 6 | 15 | 13 | 27:45 | 33 |
| პორტვეილი | 32 | 6 | 11 | 15 | 34:45 | 29 |
| სუინდონი | 34 | 3 | 11 | 20 | 23:59 | 20 |

## მეორე დივიზიონი

34-ე ტური. კარდიფი — უიკომბი 2:2; ბლექპული — ნოტსი 2:1; ბრენტფორდი — კემბრიჯი 1:1; როვერსი — უიგანი 1:1; ბარნლი — პრესტონი 0:3; ბერი — ოლდემი 2:2; ჯილინგემი — ოქსფორდი 1:0; მილუოლი — ბრისტოლი 4:1; რედინგი — ბორნმუთი 2:0; სკანთორპი — კოლჩესტერი 0:0; სტოკი — ჩესტერფილდი 5:1; რექსჰემი — ლუთონი 1:0

## მესამე დივიზიონი

34-ე ტური. საუთენდი — მაკლსფილდი 1:0; ბარნეტი — სუონსი 0:1; ბრაიტონი — ჰალიფაქსი 2:1; დარლინგტონი — როჩდეილი 4:1; ექსეტერი — ჩესტერი 0:2; ჰარტლპული — ნორთჰემპტონი 2:1; ჰალი — ტორკი 0:0; ლეიტონი — მენსფილდი 1:3; ლინკოლნი — კარლაისლი 5:0; პიტერბრო — იორკი 2:0; როტერჰემი — პლიმუთი 1:1; შრიუსბერი — ჩელტენემი 0:2

## გერმანია

XXIII ტური

### ფრაიბურგი 1:1 არმინია

0:1 ლაბადია (18), 1:1 მიულერი (62)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, შ. მიულერი, ა. ცაიერი, ვილი, კობიაშვილი, კოლი, ვაისჰაუპტი, სელიმი, ბენ სლიმანი, იაშვილი (რამდანე 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
არმინია: მილეტიჩი, შტრატოსი, კლიცპერა, მაისნერი, განსაუგე, ჰოფშნაიდერი, პეეტერსი (რიდლევიჩი 66), ბოდე, მ. ვაისენბერგერი, ლაბადია, ვან დერ ვენი (ვიშნიარეკი 46)
მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი
გაფრთხილება: განსაუგე, კლიცპერა, მაისნერი
მსაჯი: ფლაიშერი
23 500 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 4:4 ჰამბურგი

0:1 მაჰდავიკია (9), 0:2 კარდოზო (21), 0:3 მაჰდავიკია (40), 1:3 სებესკენი (43), 1:4 კარდოზო (53), 2:4, 3:4 სებესკენი (54, 59), 4:4 რიშე (74)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ჰენგენი, გრაინერი, კრიგერი, ვაისერი (მალტრიცი 46), ნოვაკი, სებესკენი, აკონორი (დებრიტცი 90), მუნტეანუ, იუსკოვიაკი, რიშე (ფელდჰოფი 78)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფიშერი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰერჩი, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი, კარდოზო (ფ. ერნსტი 90), მაჰდავიკია, პრეგერი (დემბინსკი 70), იებოა (ჰაშემიანი 83)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: აკონორი, გრაინერი, ჰოოგმა, პრეგერი
მსაჯი: შტარკი
20 400 მაყურებელი

### ჰერტა 2:1 უნტერჰახინგი

0:1 ჰაბერი (16), 1:1 ვაიტი (79), 2:1 როი (81)
ჰერტა: ფიდლერი, რემერი, ვან ბურიკი, სვერისონი, ვაიტი, მიხალკე, კოვიჩი, როი (შმიდტი 83), ვოში (დაისლერი 46), პრეცა, დაეი (ალექს ალვეში 46)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
უნტერჰახინგი: ვიტმანი, გრასოვი, ზაიფერტი, შტრემელი, შვარცი (მარკ ციმერმანი 85), ჰაბერი, მატიას ციმერმანი, შტრაუბე, ობერლაიტნერი, ზაიცი, რაკლი (მენდესი 69)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორენც კესტნერი
გაფრთხილება: კოვიჩი, ობერლაიტნერი, ზაიცი, შტრაუბე
მსაჯი: კოოპი
35 024 მაყურებელი

### მიუნხენი 4:3 ჰანზა

0:1 არვიდსონი (27), 1:1, 2:1 მაქსი (44, 48), 2:2 არვიდსონი (52), 3:2 მაქსი (58), 4:2 ჰესლერი (63პ), 4:3 ლანცი (90)
მიუნხენი: ჰოფმანი, პასლაკი, ზელიჩი, კურცი (გრაილიხი 76), შტრანცლი, ტაისი, ჩერნი, პროსენიკი (ჩიჟეკი 58), ჰესლერი, აგოსტინო, მაქსი (შროტი 85)
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი (ელერსი 65), ვაილანდტი, ჰოლეჩეკი, ლანცი, ვიბრანი, მაიაკი (ბრანდი 66), ლანგე (ბაუმგარტი 58), ბრაიტკროიცი, არვიდსონი, აგალი
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
გაფრთხილება: ჩიჟეკი, პასლაკი, ბაუმგარტი, ლანცი, მაიაკი
მსაჯი: კემლინგი
24 900 მაყურებელი

### ლაუტერნი 1:3 ლევერკუზენი

1:0 ბასლერი (21), 1:1 ზე რობერტო (36), 1:2 კირსტენი (38), 1:3 კოვაჩი (58)
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, სფორცა, რამზი (ბუკი 46), შონბერგი, რატინიო, შტრასერი (რაიხი 67), ბასლერი, კომლიენოვიჩი, ხრისტოვი, ჯორკაეფი, პეტერსონი (მარშალი 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
ლევერკუზენი: იურიჩი, ნოვოტნი, რამელო, რ. კოვაჩი, ემერსონი, ბალაკი, ბაინლიხი, ნოივილი (ჟივკოვიჩი 60), ზე რობერტო, კირსტენი (ჰოფმანი 72), პაულო რინკი (პონტე 80)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ბასლერი, ბაინლიხი, კოვაჩი
მსაჯი: ჰაინემანი
41 500 მაყურებელი

### შტუტგარტი 2:0 ბაიერნი

1:0 ბალაკოვი (50), 2:0 ლისტეში (69)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ბორდონი, ტ. შნაიდერი, სოლდო, პინტო (კუკა 89), გერბერი, ლისტეში, ბალაკოვი (ენდრესი 90), განეა (დანდი 87)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ბაიერნი: დრეერი, სალიჰამიჯიჩი, ლინკე, მათეუსი (პ. ანდერსონი 55), ლიზარაზუ, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, სანტა კრუზი (ელბერი 67), შოლი (პაულო სერჯიო 63), იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ბერთოლდი, შნაიდერი, ტიამი, იანკერი, ლიზარაზუ, ტარნატი
მსაჯი: აუსტი
46 000 მაყურებელი

### შალკე 3:0 დუისბურგი

1:0 ცაიერი (4), 2:0, 3:0 სანდი (79, 90)
შალკე: რეკი, ვალდოხი, ჰაჯე, ტონი (მიულერი 53), კამპუისი, კმეტჩი (ჰაინალი 87), ლატალი, ნემეცი, ვილმოტსი, სანდი, ე. მპენზა (ასამოა 81)
მწვრთნელი: ჰუბ სტივენსი
დუისბურგი: მენგერი, მ. შნაიდერი, ვოლერტი, კოვაჩევიჩი, ვოსი, ვოლტერსი (ჰოერსენი 56), ბიუსკენსი, ცაიერი, ოსტჰოფი (ტოფტინგი 76), ბაიერლე, რაისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ლატალი, ტონი, ჰოერსენი
მსაჯი: ალბრეხტი
36 410 მაყურებელი

### ულმი 2:1 ვერდერი

1:0, 2:0 ვან დერ ჰაარი (15, 51), 2:1 აილტონი (68)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, შტადლერი, კინკელი (უნსოლდი 70), ოტო (როსლერი 70), შარინგერი, მაიერი, გორა, ლეანდრო (გრაუერი 89), ვან დერ ჰაარი
მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, აილტსი (ბოგდანოვიჩი 64), ფრინგსი (ფრაი 60), მაქსიმოვი (დაბროვსკი 60), ა. ჰერცოგი, პიზარო, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: შარინგერი, ფრაი, ფრინგსი, პიზარო
მსაჯი: ვაგნერი
22 500 მაყურებელი

### აინტრახტი 1:1 დორტმუნდი

0:1 ჰერლიხი (5), 1:1 ფიორტოფტი (76)
აინტრახტი: ჰაინენი, ბინდევალდი (უ. შნაიდერი 26), ხუბჩევი, კუჩერა, შური, რასიევსკი (ჰელდტი 53), სობოტჩიკი, გებჰარდტი, გუიე მიენი (ფიორტოფტი 76), სალუ, რაიხენბერგერი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
დორტმუნდი: ლემანი, ნიჯუსი, ფაიერზინგერი, კოლერი, სტევიჩი, ვიორნსი, კაპეტანოვიჩი, ბუგრი (ვ. ბუტი 65), რიკენი, ჟ. რეინა (ბობიჩი 78), ჰერლიხი
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გაფრთხილება: ბინდევალდი, რაიხენბერგერი, შური, შნაიდერი, ფაიერზინგერი, რეინა
მსაჯი: ფანდელი
41 400 მაყურებელი

# მშვიდობით, ლოთარ!



REUTERS შტუტგარტიდან

ლოთარ მათეუსი ნიუ იორკის „მეტროსტარზში" პირნათელი მიდის

შარშანდელი 27 ნოემბრის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნმა" პირველად წააგო. მაშინ, მე-13 ტურში, ბავარიელთა დამარცხება თანაქალაქელმა და თანასტადიონელმა „მიუნხენ 1860"-მა შეძლო. ახლა ეს რალფ რანგნიკის „შტუტგარტმა" მოახერხა. მიმდინარე სეზონში მეოთხე მარცხს „ბაიერნის" თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი დიდად არ გაუნაწყენებია. „დღეს სუსტად ვითამაშეთ. ბევრი შეცდომებიც დავუშვით, რაც მეტოქემ კარგად გამოიყენა. „შტუტგარტმა" გვაჯობა. თუმცა ჩემპიონთა ლიგის თამაშის შემდეგ ეს მოსალოდნელიც იყო" — თქვა მან.

შაბათს შტუტგარტში მიუნხენელთა მარცხზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და გულდასაწყვეტი ფაქტი მოხდა. ბუნდესლიგიდან უბერებელი ლოთარ მათეუსი წავიდა. „მშვიდობით, ლოთარ!" — ასეთი ტრანსპარანტები გადმოეფინათ ქომაგებს. შაბათს მათეუსმა „ბაიერნში" ბოლოსწინა მატჩი ჩაატარა. ამ გუნდის მაისურას ბოლოს იგი ხვალ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მადრიდის „რეალთან" მოირგებს.

„ეს წუთები ჩემთვის უძნელესია. მიჭირს ბუნდესლიგასთან განშორება. რას იზამ? ასეთი მომენტი ყველა ფეხბურთელის კარიერაში დგება" — განუცხადა მატჩის შემდეგ თვალცრემლიანმა მათეუსმა ტელეკომპანია „პრემიერს". ვინ იცის, იქნებ ამერიკულ „მეტროსტარზში" გადაბარგებული ფეხბურთელი გერმანიის ჩემპიონატს კვლავ დაუბრუნდეს.

თავად მატჩმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა. „შტუტგარტმა" დამსახურებულად მოიგო. სამშაბათს „რეალთან" შეხვედრაში გადაღლილი მიუნხენელები ძალიან პასიურობდნენ, „შტუტგარტი" კი პირიქით. მეორე წრის პირველ ოთხ შეხვედრაში რანგნიკის შეგირდები ზედიზედ დამარცხდნენ. ნავსი წინა ტურში „დუისბურგთან" გატეხეს, როცა სტუმრად 3:1 იმარჯვეს. ახლა კი...

„ბაიერნს" ხელსაყრელი მომენტი პირველ ტაიმში მიეცა, თუმც სალიჰამიჯის დარტყმული ბალაკოვმა კარის ხაზიდან გამოიტანა. მეორე ნახევრის შემდეგ ბალაკოვმა შეტევაშიც გამოიჩინა თავი. 50-ე წუთზე ბულგარელმა ჯარიმა ჩინებულად შეასრულა. 39 წლის მათეუსი, რომელიც ანდერსონმა შეცვალა, 46 ათასმა ქომაგმა ოვაციით გააცილა ბუნდესლიგიდან. თამაშს კი წერტილი უნგრელმა ლისტეშმა დაუსვა, მან დაახლოებით ოცი მეტრიდან გაიტანა.

„ფრაიბურგმა" თუ ასე განაგრძო, თამამად შეიძლება ითქვას, მომავალ სეზონს მეორე ბუნდესლიგაში შეხვდება. პარასკევს ფრაიბურგელებმა საკუთარ მინდორზე აუტსაიდერი „არმინია" ვერ დაამარცხეს და მეთოთხმეტე ადგილამდე დაქვეითდნენ. ისე, მოგებას ვინ ჩივის, კინაღამ წააგეს. ქულა მასპინძლებმა 62-ე წუთზე იხსნეს — კობიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს მიულერის ზუსტი თავური მოჰყვა. ანგარიში კი პირველივე ტაიმში ბრუნო ლაბადიამ გახსნა. იაშვილმა მხოლოდ პირველ ნახევარში ითამაშა, მაშინაც, ერთი რეალური მომენტის გაფუჭებით გამოიჩინა თავი და ფინკემაც რამდენეთი შეცვალა. მატჩის შედეგი — 1:1 ლოგიკური გახლდათ.

თამაშის შემდეგ ფინკეს კომენტარმა ქომაგთა გულისწყრომა გამოიწვია: „მიხარია, რომ ჩემმა გუნდმა მეორე ტაიმში კარგად ითამაშა, მოგებაც შევძელით, მაგრამ რაკი პირველ ნახევარში ცუდად გამოვიყურებოდით, შედეგს დამაკმაყოფილებლად ვთვლი".

„ლევერკუზენმა" სტუმრად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონატს ინტრიგა შეჰმატა, რადგან „ბაიერნთან" ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა. ლევერკუზენელები, მთავარი კონკურენტებისგან განსხვავებით, ამ სეზონში სულ ორჯერ დამარცხდნენ, თუმცა რვაჯერ ფრედ ითამაშეს და მეორეზეც ამიტომ იმყოფებიან.

„კაიზერსლაუტერნთან" მატჩში ბევრი, „ლევერკუზენის" შესაძლო მარცხს ელოდა, მაგრამ მომლოდინენი [illegible] ნაცარში ჩაუვარდათ. სტუმრებმა ძალიან კარგად ითამაშეს და სამი ქულაც შესძინეს აქტივს. არადა, თავიდან ყველაფერი „კაიზერსლაუტერნისთვის" სასურველი სცენარით დაიწყო. მასპინძლები 21-ე წუთზე დაწინაურდნენ — მარიო ბასლერმა ჯარიმიდან ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა. სტუმრებმა 15 წუთში გაათანაბრეს — ბურთი ზე რობერტომ შეაგდო. ორ წუთში კირსტენმაც გაიტანა. მეორე ნახევარში ოტო რეჰაგელმა ოლაფ მარშალიც გამოიყვანა მინდორზე, მაგრამ მასპინძლებს ამანაც ვერ უშველათ. პირიქით, რობერტ კოვაჩმა მესამედაც დაამწუხრა გოსპოდარეკი. თამაშიც ასე დასრულდა.

ნამატჩევს „ლევერკუზენის" მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ფეხბურთელებს მადლობა საჯაროდ გადაუხადა, თან დაამატა, რა კარგი გუნდი მყოლიაო.

„ჰამბურგი" „ვოლფსბურგს" სტუმრად ჯერ 3:0-ს უგებდა, მერე 4:1-ს, თუმცა უდიდესი უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. შეხვედრის გმირი ზოლტან სებესკენი გახდა, რომელმაც სტუმართა „პენალტის მეფე" მეკარე ბუტს სამჯერ გაუტანა. „ჰამბურგის" მწვრთნელმა ფრანკ პაგელსდორფმა კი ბრძანა, ქომაგებს დიდი მატჩი ვაჩუქეთო.

ჰეთ თრიქი „მიუნხენ 1860"-ის თავდამსხმელმა მარტინ მაქსმაც შეასრულა. შედეგად მიუნხენელებმა „ჰანზა" 4:3 დაამარცხეს და მეოთხე ადგილზე აინაცვლეს. მოიგო ბერლინის „ჰერტამაც", რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ჩეხურ „სპარტასთან" 1:1-ის შემდეგ „უნტერჰახინგი" დაამარცხა — 2:1.

მეშვიდედ უხელმძღვანელა „დორტმუნდს" ბერნდ კრაუსმა, თუმცა მოგებას კვლავ ვერ ეღირსა. სტუმრად ალმავლობის გზაზე მყოფ ფრანკფურტის „აინტრახტთან" დორტმუნდელები მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. ბოლო 14 წუთი კიდევ რომ გაეძლოთ, სულაც სამს აიღებდნენ, მაგრამ ნორვეგიელი იან ინგე ფიორტოფტის დარტყმული ლემანმა ვერ მოიგერია და ჰერლიხის მე-5 წუთზე გატანილი გოლიც მხოლოდ ფრეს ეყო.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 23 | 15 | 4 | 4 | 47:18 | 29 | 49 | 11 | 8 | 2 | 1 | 32:10 | 22 | 26 | 12 | 7 | 2 | 3 | 15:8 | 7 | 23 |
| 2 | ლევერკუზენი | 23 | 13 | 8 | 2 | 41:25 | 16 | 47 | 12 | 9 | 3 | 0 | 28:12 | 16 | 30 | 11 | 4 | 5 | 2 | 13:13 | 0 | 17 |
| 3 | ჰამბურგი | 23 | 11 | 9 | 3 | 52:28 | 24 | 42 | 11 | 8 | 3 | 0 | 30:7 | 23 | 27 | 12 | 3 | 6 | 3 | 22:21 | 1 | 15 |
| 4 | მიუნხენი | 23 | 10 | 6 | 7 | 38:34 | 4 | 36 | 12 | 8 | 2 | 2 | 27:15 | 12 | 26 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:19 | -8 | 10 |
| 5 | ჰერტა | 23 | 9 | 7 | 7 | 31:37 | -6 | 34 | 11 | 6 | 4 | 1 | 19:9 | 10 | 22 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:28 | -16 | 12 |
| 6 | ვერდერი | 23 | 9 | 6 | 8 | 47:37 | 10 | 33 | 12 | 6 | 3 | 3 | 25:17 | 8 | 21 | 11 | 3 | 3 | 5 | 22:20 | 2 | 12 |
| 7 | შტუტგარტი | 23 | 10 | 3 | 10 | 28:28 | 0 | 33 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:16 | -2 | 13 | 12 | 6 | 2 | 4 | 14:12 | 2 | 20 |
| 8 | ვოლფსბურგი | 23 | 8 | 9 | 6 | 34:38 | -4 | 33 | 12 | 7 | 1 | 4 | 21:20 | 1 | 22 | 11 | 1 | 8 | 2 | 13:18 | -5 | 11 |
| 9 | ლაუტერნი | 23 | 10 | 3 | 10 | 32:41 | -9 | 33 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:19 | -1 | 17 | 12 | 5 | 1 | 6 | 14:22 | -8 | 16 |
| 10 | დორტმუნდი | 23 | 7 | 11 | 5 | 28:19 | 9 | 32 | 12 | 4 | 6 | 2 | 18:12 | 6 | 18 | 11 | 3 | 5 | 3 | 10:7 | 3 | 14 |
| 11 | შალკე | 23 | 7 | 10 | 6 | 32:29 | 3 | 31 | 11 | 3 | 7 | 1 | 15:11 | 4 | 16 | 12 | 4 | 3 | 5 | 17:18 | -1 | 15 |
| 12 | უნტერჰახინგი | 23 | 8 | 5 | 10 | 25:27 | -2 | 29 | 11 | 7 | 3 | 1 | 15:6 | 9 | 24 | 12 | 1 | 2 | 9 | 10:21 | -11 | 5 |
| 13 | ულმი | 23 | 7 | 6 | 10 | 27:34 | -7 | 27 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:9 | 9 | 21 | 11 | 1 | 3 | 7 | 9:25 | -16 | 6 |
| 14 | ფრაიბურგი | 23 | 6 | 8 | 9 | 30:31 | -1 | 26 | 12 | 5 | 4 | 3 | 20:10 | 10 | 19 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:21 | -11 | 7 |
| 15 | ჰანზა | 23 | 5 | 9 | 9 | 31:45 | -14 | 24 | 12 | 5 | 5 | 2 | 18:15 | 3 | 20 | 11 | 0 | 4 | 7 | 13:30 | -17 | 4 |
| 16 | აინტრახტი | 23 | 6 | 3 | 14 | 27:36 | -9 | 21 | 11 | 4 | 2 | 5 | 17:12 | 5 | 14 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:24 | -14 | 7 |
| 17 | დუისბურგი | 23 | 3 | 7 | 13 | 24:46 | -22 | 16 | 11 | 2 | 5 | 4 | 14:14 | 0 | 11 | 12 | 1 | 2 | 9 | 10:32 | -22 | 5 |
| 18 | არმინია | 23 | 3 | 6 | 14 | 20:41 | -21 | 15 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:17 | -3 | 10 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:24 | -18 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე 04) | 12 |
| მაქსი (მიუნხენი) | 12 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 10 |
| აილტონი (ვერდერი) | 10 |

### XXIV ტური

10 მარტი
უნტერჰახინგი - ლაუტერნი
შტუტგარტი - აინტრახტი

11 მარტი
ჰამბურგი - ულმი
დუისბურგი - ჰერტა
არმინია - მიუნხენი
ლევერკუზენი - ვოლფსბურგი
ბაიერნი - შალკე

12 მარტი
ჰანზა - დორტმუნდი
ვერდერი - ფრაიბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

XXI ტური

### ქემნიცი 2:1 ფორტუნა

0:1 დრაგონერი (28), 1:1 დიტგენი (53), 2:1 ულმანი (68)

### კიოლნი 3:0 ბოხუმი

1:0 ტიმი (36), 2:0 შპრინგერი (64), 3:0 დონკოვი (77)

### ალემანია 1:1 მიონხენგლადბახი

1:0 დიანე (17), 1:1 ვეტელაერი (83)

### კოტბუსი 4:2 ფიურტი

1:0 ლაბაკი (14), 1:1 კლეე (17), 1:2 ფელგენჰაუერი (27), 2:2 ვავრჟიჩეკი (53), 3:2, 4:2 ლაბაკი (63, 72)

### ნიურნბერგი 2:0 მაინცი

1:0 კრჟინოვეკი (37), 2:0 დრილერი (90)

### ზანქტ პაული 1:1 ბერლინი

0:1 უაკილი (18), 1:1 კლასნიჩი (51პ)

### ობერჰაუზენი 2:2 კიკერსი

1:0 ობადი (65), 1:1 პფუდერერი (72), 2:1 ლუგინგერი (82), 2:2 კევრიჩი (88)

### ჰანოვერი 1:1 ოფენბახი

1:0 შტენდელი (24), 1:1 ვლადოიუ (39)

### კარლსრუე — ვალდჰოფი

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 21 | 14 | 5 | 2 | 46:16 | 47 |
| ბოხუმი | 21 | 11 | 3 | 7 | 35:30 | 36 |
| კოტბუსი | 21 | 11 | 1 | 9 | 41:27 | 34 |
| ნიურნბერგი | 21 | 9 | 5 | 7 | 32:35 | 32 |
| გლადბახი | 21 | 8 | 7 | 6 | 32:25 | 31 |
| ბერლინი | 21 | 7 | 10 | 4 | 28:23 | 31 |
| ალემანია | 21 | 8 | 7 | 6 | 31:35 | 31 |
| ქემნიცი | 21 | 7 | 7 | 7 | 29:26 | 28 |
| ვალდჰოფი | 20 | 7 | 7 | 6 | 29:28 | 28 |
| მაინცი | 21 | 6 | 9 | 6 | 23:25 | 27 |
| ობერჰაუზენი | 21 | 6 | 9 | 6 | 20:22 | 27 |
| ფიურტი | 21 | 5 | 10 | 6 | 16:22 | 25 |
| ჰანოვერი | 21 | 6 | 6 | 9 | 30:31 | 24 |
| ზტ. პაული | 21 | 5 | 9 | 7 | 22:27 | 24 |
| კიკერსი | 21 | 5 | 6 | 10 | 31:40 | 21 |
| ოფენბახი | 21 | 4 | 9 | 8 | 21:32 | 21 |
| ფორტუნა | 21 | 4 | 8 | 9 | 19:31 | 20 |
| კარლსრუე | 20 | 2 | 8 | 10 | 23:33 | 14 |

## იტალია

XXIV ტური

### მილანი 1:2 ინტერი

0:1 სამორანო (43), 0:2 დი ბიაჯო (64), 1:2 შევჩენკო (90პ)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა (სალა 25), მალდინი, გატუზო, დე აშენტისი (ალბერტინი 67), ამბროზინი, სერჟინიო, ბობანი, ბირჰოფი (ხოსე მარი 74), შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, კორდობა, სიმიჩი, კოე, დი ბიაჯო, ხ. ძანეტი, ზეედორფი (სერენა 92), სამორანო (რ. ბაჯო 83), რეკობა (მუტუ 79)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, გატუზო, კოე, ზეედორფი, ბობანი
მსაჯი: ტრენტალანჯე
85 000 მაყურებელი

### პარმა 3:0 რეჯინა

1:0 ფუზერი (3), 2:0, 3:0 კრესპო (35, 45პ)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, პაულო სოუზა (დაბო 62), დ. ბაჯო (ბრედა 79), ვანოლი, ორტეგა, კრესპო, სტანიჩი (დი ვაიო 46)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
რეჯინა: ტაიბი (ბელარდი 46), ჩირილო, სტოვინი, ჯიაკეტა, ფოლიო (რეჯი 74), ბრევი (ვარგასი 67), ბარონიო, მორაბიტო, პირლო, კალონი, პოსანცინი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
მსაჯი: პაპარესტა
18 000 მაყურებელი

### ლეჩე 0:1 ლაციო

0:1 ნედვედი (37)
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, პივოტო, ბალერი, ლიმა, პიანჯერელი, ბონომი (კონტიკიო 75), სავინო (კოლონელო 62), მარინო (ბილოტი 61), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდო კოუტუ, პანკარო, სერჟიო კონსეისაო (დ. სტანკოვიჩი 88), სენსინი, ვერონი, ნედვედი, სალასი (სიმეონე 86), რავანელი (ს. ინძაგი 68)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ბალერი, ბონომი, კოლონელო, ლუკარელი
გაძევება: კავასინი (78), კოლონელო (90)
მსაჯი: მესინა
16 642 მაყურებელი

### იუვენტუსი 2:0 ბარი

1:0 კონტე (43), 2:0 დელ პიერო (54პ)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო (მირკოვიჩი 88), ძამბროტა, კონტე, დავიდსი, პესოტო (ოლისე 62), ზიდანი, ფ. ინძაგი, დელ პიერო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბარი: ფ. მანჩინი, ფერარი, ნექროიზი, ინოჩენტი, ბელავისტა (მარკიჩი 74), დელ გროსო (კასანო 46), პეროტა, მ. მარკოლინი, დ. ანდერსონი, კოლაუტო, ოსმანოვსკი (სპინეზი 46)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
გაფრთხილება: პეროტა, ფერარი, ინოჩენტი, დავიდსი, ზიდანი
მსაჯი: ბონფრისკო
40 000 მაყურებელი

### უდინეზე 5:2 კალიარი

1:0 მარჯიოტა (27), 2:0 იორგენსენი (45), 2:1 ოლივეირა (48), 2:2 მაჩელარი (68), 3:2 ფიორე (75პ), 4:2 მუცი (76), 5:2 ფიორე (82)
უდინეზე: ტურჩი, გარგო (სოსა 71), სოტილი, ბერტოტო, იორგენსენი, ჯანიკედა, აპია, ფიორე, ლოკატელი (ვარლეი 79), მარჯიოტა (მანფრედინი 59), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
კალიარი: სკარპი, დილიზო, ვილა, ძებინა (მოდესტო 25), ამეტრანო (მაიელე 46), ბერეტა, ონილი, დე პატრე, მაჩელარი, მბომა (კორადი 57), ოლივეირა
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: ჯანიკედა, ბერეტა, ოლივეირა, ონილი, მაჩელარი, მაიელე, დილიზო
გაძევება: მაიელე (88)
მსაჯი: როსეტი
18 000 მაყურებელი

### რომა 1:0 ტორინო

1:0 დელვეკიო (66)
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, ტომაზი (რინალდი 35), ნაკატა, დი ფრანჩესკო, კანდელა, ტოტი, დელვეკიო, მონტელა (ფაბიო ჟუნიორი 67)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ტორინო: ბუჩი, იურჩიჩი, გრანდონი, გალანტე, მალტალიატი, კოკო (სომეზე 68), ტრიკარიკო, პეკია (სკარლატო 76), ლენტინი (ესკალონა 76), სილენცი, ფერანტე
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ტრიკარიკო, ესკალონა, მანგონე
მსაჯი: ტომბოლინი
53 430 მაყურებელი

### ვერონა 0:0 ბოლონია

ვერონა: ფრეი, დიანა, ლაურსენი, აპოლონი, ფალსინი, ბროკი, მარასკო, კოლუჩი, მელისი (სალვეტი 59), მორფეო, ადაილტონი (კამარატა 59)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ბოლონია: ორლანდონი, პარამატი, ბია, პაგანინი, დალ კანტო, ნერვო (პიაჩენტინი 85), ინგესონი, მაროკი, ტონეტო, კოლივანოვი (კ. ანდერსონი 76), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ბია, კოლივანოვი, მარასკო, ბროკი, სინიორი
მსაჯი: დე სანტისი
14 559 მაყურებელი

### ფიორენტინა 2:1 პიაჩენცა

1:0 ბალბო (58), 2:0 რუი კოშტა (81), 2:1 დი ნაპოლი (89)
ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, ადანი, პიერინი, დი ლივიო (ოკონი 71), როსიტო, კ. ამორუზო (ბალბო 57), ჰაინრიხი, რუი კოშტა, ბატისტუტა (რეპკა 64), მიატოვიჩი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
პიაჩენცა: რომა, ვერხოვოდი, ა. ლუკარელი, პოლონია, გაუტიერი, ტალიაფერი, კრისტალინი, მორონე (სტატუტო 85), ლამაკი (პიოვანი 77), რიციტელი (ჯილარდინო 19), დი ნაპოლი
მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი
გაფრთხილება: კრისტალინი, ტაროცი, პიერინი
მსაჯი: ბერტინი
30 000 მაყურებელი

### ვენეცია 1:2 პერუჯა

0:1 ამორუზო (32), 1:1 მანიერო (58), 1:2 კაპიოლი (73)
ვენეცია: კასაცა, ბრიოსკი (ბერგი 84), ნგოტი, ლუპი, ბეტარინი, ორლანდინი, ვოლპი, იაკინი, ვალტოლინა, განცი (ბუდანი 76), მანიერო
მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, კალორი, რიპა, ილარიო, ესპოზიტო, ოლივე, ტედესკო, კაპიოლი (მონაკო 76), ალენიჩევი (ბიზოლი 59), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: რივალტა
მსაჯი: როდომონტი
8 248 მაყურებელი

# მილანმა თქვა, ვინ რას დამაკლებდა ინტერი რომ...


REUTERS რომიდან

რომა — ტორინო 1:0. ტურინელმა ფაბიო ტრიკარიკომ (მარჯვნივ) რომაელ ჰიდეტოში ნაკატას დარტყმაში ხელი ვერ შეუშალა

„ბარის" კარში ანტონიო კონტესა და ალესანდრო დელ პიეროს გატანილი ორი უპასუხო გოლის წყალობით „იუვენტუსი" დღეს სერია A-ს ცხრილს ოთხქულიანი სხვაობით ლიდერობს, ხოლო მილანურ დერბიში „ინტერმა" „მილანს" 2:1 მოუგო და მესამე ადგილზე გადავიდა.

„მილანმა" რიხით დაიწყო, მაგრამ 25-ე წუთზე ალესანდრო კოსტაკურტა დაუშავდა და იგი ლუიჯი სალამ შეცვალა. კოსტაკურტას გასვლამ ძაკერონის გუნდზე საშინლად იმოქმედა და შედეგად, შესვენებამდე ორი წუთით ადრე „ინტერი" დაწინაურდა. ეს ასე მოხდა: ალვარო რეკობამ ივან სამორანოს დაბალი პასი გადააწოდა და ჩილელმა ფორვარდმა ახლოდან დალაშქრა შავ-წითელთა კარი.

რეკობა იმ დღეს დაშავებული კრისტიან ვიერის ნაცვლად თამაშობდა და საუცხოოდაც — 54-ე წუთზე მარცხენა ფეხით მან ძელს გაარტყა ბურთი.

მოკლედ, „ინტერი" ფორმიდან ამოვარდნილ „მილანთან" შედარებით გაცილებით აგრესიული და თავმობმული ჩანდა და, შედეგად, ანგარიში რომ გაზარდა, არავის გაკვირვებია — 64-ე წუთზე კლარენს ზეედორფმა და ზემოხსენებულმა სამორანომ ხერხიანი კომბინაცია წამოიწყეს, რაც ლუიჯი დი ბიაჯოს ზუსტი დარტყმით დასრულდა.

„ინტერს" მესამე გოლის გატანაც შეეძლო — შეცვლაზე შესულმა ადრიან მუტუმ მარცხენა ფრთაზე პაოლო მალდინი მოატყუა და რობერტო ბაჯოს ჩააწოდა, მაგრამ 1993 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელმა პირდაპირ მეკარე კრისტიან აბიატის დაუმიზნა ბურთი.

ბოლო წუთზე „მილანმა" ერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო — მსაჯმა მასიმო ამბროზინისა და დარიო სიმიჩის ორთაბრძოლა პენალტით შეაფასა და ანდრეი შევჩენკომ დარტყმა ზუსტად შეასრულა.

...„რომამ" მარკო დელვეკიოს ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა შეხვედრაში აჯობა „ტორინოს". ლეჩეში „ლაციომაც" იმავე ანგარიშით მოიგო. აქ გოლი, ჩეხმა პაველ ნედვედმა შეაგდო...

ლიდერმა, „იუვენტუსმა" „ბარისთან" შეხვედრაში ჩვეული დისციპლინითა და ორგანიზებულობით 2:0 გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, „ბებერმა ქალბატონმა" 43-ე წუთამდე ვერ გახსნა ანგარიში. ეს მას მერე მოხდა, რაც ალესანდრო დელ პიერომ ანტონიო კონტეს ასისტენტობა გაუწია და მანაც მეკარე ფრანჩესკო მანჩინის უდრტვინველად აჯობა.

შესვენებიდან ცხრა წუთის შემდეგ „იუვენტუსმა" ანგარიში გაზარდა. დელ პიერომ ფილიპო ინძაგის საჯარიმოში გადააწოდა ბურთი, ხოლო ინძაგი მატეო ფერარიმ წააქცია. პენალტი, ბუნებრივია, დელ პიერომ დაარტყა და სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა ექვსამდე გაზარდა. ექვსივე გოლი „იუვეს" ვარსკვლავს თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან აქვს გატანილი.

„რომას" ქომაგებს უკვე ეგონათ, რომ ისევე, როგორც უეფას თასზე, „ლიდს იუნაიტედთან" „ტორინოსთან" თამაშიც 0:0 დასრულდებოდა, მაგრამ 66-ე წუთზე დელვეკიომ მარცხენა ფეხით, როგორც იქნა, გატეხა ნავსი — ბურთი ძელს მოხვდა და ბადეში შევარდა.

„ლაციო" „ლეჩესთან" შეხვედრის დასაწყისშიც იყო მიზანთან ახლოს. მეექვსე წუთზე ხუან ვერონმა 30 მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი, მაგრამ 37-ე წუთზე პაველ ნედვედმა ძალიან ლამაზი დარტყმით 20 მეტრიდან მიაღწია მიზანს.

მეორე ტაიმის შუაში ვერონმა ერთხელაც გაარტყა ბურთი ძელს, მაგრამ, საბოლოოდ რომაელები ერთ გოლს დასჯერდნენ.

„პარმამ" ცხრა თამაშში პირველად გაიმარჯვა. დიეგო ფუზერისა და ერნან კრესპოს ორი გოლის წყალობით პარმელებმა „რეჯინას" სძლიეს 3:0.

**პაპუნა ძიძია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 24 | 15 | 8 | 1 | 35:11 | 24 | 53 | 13 | 11 | 2 | 0 | 23:5 | 18 | 35 | 11 | 4 | 6 | 1 | 12:6 | 6 | 18 |
| 2 | ლაციო | 24 | 14 | 7 | 3 | 44:22 | 22 | 49 | 12 | 9 | 3 | 0 | 29:10 | 19 | 30 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 19 |
| 3 | ინტერი | 24 | 14 | 4 | 6 | 46:21 | 25 | 46 | 12 | 9 | 2 | 1 | 34:8 | 26 | 29 | 12 | 5 | 2 | 5 | 12:13 | -1 | 17 |
| 4 | რომა | 24 | 13 | 6 | 5 | 50:25 | 25 | 45 | 12 | 9 | 2 | 1 | 30:10 | 20 | 29 | 12 | 4 | 4 | 4 | 20:15 | 5 | 16 |
| 5 | მილანი | 24 | 12 | 9 | 3 | 49:30 | 19 | 45 | 12 | 7 | 4 | 1 | 29:14 | 15 | 25 | 12 | 5 | 5 | 2 | 20:16 | 4 | 20 |
| 6 | პარმა | 24 | 10 | 7 | 7 | 37:30 | 7 | 37 | 12 | 6 | 3 | 3 | 22:14 | 8 | 21 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 16 |
| 7 | უდინეზე | 24 | 10 | 6 | 8 | 44:34 | 10 | 36 | 13 | 6 | 3 | 4 | 29:21 | 8 | 21 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 2 | 15 |
| 8 | ფიორენტინა | 24 | 8 | 9 | 7 | 28:29 | -1 | 33 | 12 | 7 | 3 | 2 | 17:12 | 5 | 24 | 12 | 1 | 6 | 5 | 11:17 | -6 | 9 |
| 9 | ბოლონია | 24 | 7 | 8 | 9 | 19:23 | -4 | 29 | 12 | 6 | 4 | 2 | 11:4 | 7 | 22 | 12 | 1 | 4 | 7 | 8:19 | -11 | 7 |
| 10 | პერუჯა | 24 | 8 | 5 | 11 | 24:41 | -17 | 29 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:19 | -5 | 15 | 13 | 4 | 2 | 7 | 10:22 | -12 | 14 |
| 11 | ბარი | 24 | 7 | 7 | 10 | 27:37 | -10 | 28 | 11 | 4 | 7 | 0 | 15:9 | 6 | 19 | 13 | 3 | 0 | 10 | 12:28 | -16 | 9 |
| 12 | ლეჩე | 24 | 7 | 7 | 10 | 23:33 | -10 | 28 | 13 | 6 | 4 | 3 | 13:9 | 4 | 22 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:24 | -14 | 6 |
| 13 | რეჯინა | 24 | 5 | 10 | 9 | 22:33 | -11 | 25 | 12 | 4 | 5 | 3 | 12:15 | -3 | 17 | 12 | 1 | 5 | 6 | 10:18 | -8 | 8 |
| 14 | ტორინო | 24 | 5 | 9 | 10 | 23:32 | -9 | 24 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 12 | 13 | 2 | 6 | 5 | 11:18 | -7 | 12 |
| 15 | ვერონა | 24 | 5 | 8 | 11 | 22:35 | -13 | 23 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:10 | 5 | 19 | 12 | 0 | 4 | 8 | 7:25 | -18 | 4 |
| 16 | ვენეცია | 24 | 5 | 4 | 15 | 21:44 | -23 | 19 | 13 | 5 | 3 | 5 | 15:16 | -1 | 18 | 11 | 0 | 1 | 10 | 6:28 | -22 | 1 |
| 17 | კალიარი | 24 | 2 | 11 | 11 | 22:39 | -17 | 17 | 11 | 2 | 6 | 3 | 10:11 | -1 | 12 | 13 | 0 | 5 | 8 | 12:28 | -16 | 5 |
| 18 | პიაჩენცა | 24 | 3 | 7 | 14 | 13:30 | -17 | 16 | 12 | 2 | 5 | 5 | 7:11 | -4 | 11 | 12 | 1 | 2 | 9 | 6:19 | -13 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 17 |
| კრესპო (პარმა) | 16 |
| მონტელა (რომა) | 15 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 13 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 13 |
| ვიერი (ინტერი) | 13 |

### XXV ტური

11 მარტი
ბოლონია — ვენეცია
ლაციო — ინტერი
12 მარტი
ტორინო — ფიორენტინა
პიაჩენცა — იუვენტუსი
პერუჯა — ლეჩე
ბარი — პარმა
კალიარი — რომა
რეჯინა — უდინეზე
მილანი — ვერონა

## სერია B

XXV ტური

### ტრევიზო 3:2 ფერმანა

1:0 დი ფაბიო (29ს.კ.), 1:1 რაკინი (45), 2:1 ბეგეტო (50), 3:1 ტონი (54), 3:2 ჩიტერიო (59)

### ტერნანა 0:1 სამპდორია

0:1 დიონიჯი (56)

### რავენა 2:0 მონცა

1:0, 2:0 გრაბი (7, 75პ)

### პესკარა 0:1 ატალანტა

0:1 ძენონი (36)

### ნაპოლი 3:1 სალერნიტანა

0:1 მ. როსი (7), 1:1 სტელონე (21), 2:1, 3:1 ლუჩენტი (24, 39)

### ჯენოა 2:0 კიევო

1:0, 2:0 ფრანკიოზო (14, 77)

### ემპოლი 2:1 ვიჩენცა

1:0, 2:0 საუდატი (4, 25), 2:1 ფუსკო (77ს.კ.)

### კოზენცა 1:0 სავოია

1:0 კ. სილვესტრი (42)

### ალძანო 0:0 ჩეზენა

### პისტოიეზე — ბრეშა

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 25 | 13 | 6 | 6 | 46:27 | 45 |
| სამპდორია | 25 | 12 | 9 | 4 | 26:16 | 45 |
| ატალანტა | 25 | 12 | 5 | 8 | 32:23 | 41 |
| ბრეშა | 24 | 10 | 9 | 5 | 31:20 | 39 |
| ნაპოლი | 25 | 10 | 9 | 6 | 33:28 | 39 |
| ტრევიზო | 25 | 10 | 5 | 10 | 33:30 | 35 |
| სალერნიტანა | 25 | 9 | 8 | 8 | 34:33 | 35 |
| კიევო | 25 | 9 | 7 | 9 | 29:30 | 34 |
| ჩეზენა | 25 | 7 | 12 | 6 | 33:29 | 33 |
| რავენა | 25 | 8 | 9 | 8 | 25:24 | 33 |
| კოზენცა | 25 | 7 | 12 | 6 | 21:21 | 33 |
| ალძანო | 25 | 8 | 8 | 9 | 22:29 | 32 |
| პესკარა | 25 | 6 | 13 | 6 | 34:28 | 31 |
| ემპოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 21:32 | 31 |
| ჯენოა | 25 | 8 | 6 | 11 | 30:29 | 30 |
| ტერნანა | 25 | 6 | 11 | 8 | 25:32 | 29 |
| მონცა | 25 | 4 | 15 | 6 | 24:28 | 27 |
| პისტოიეზე | 24 | 7 | 7 | 10 | 18:25 | 24 |
| ფერმანა | 25 | 4 | 8 | 13 | 23:39 | 20 |
| სავოია | 25 | 4 | 8 | 13 | 20:37 | 20 |

## სერია C1/A

25-ე ტური. ალბინოლეფე — ლეკო 2:1; ბრეშელო — პიზა 1:0; კარარეზე — რეჯანა 1:1; ჩიტადელა — სიენა 0:0; კომო — ლუკეზე 0:0; ლივორნო — ვარეზე 0:0; ლუმეცანე — სპალ 3:1; მოდენა — კრემონეზე 1:1; მონტევარკი — სანდონა 0:1

## სერია C1/B

25-ე ტური. ანკონა — გუალდო 2:0; ასკოლი — ვიტერბეზე 1:1; ბენევენტო — სტაბია 2:2; კატანია — აველინო 2:1; ჯულიანოვა — ფ. ანდრია 0:2; ლოდიჯანი — დი სანგრო 2:2; ნოჩერინა — ატლეტიკო 2:1; პალერმო — მარსალა 3:1

## ესპანეთი

XXVII ტური

**ბარსელონა 4:0 ნუმანსია**

1:0 გაბრი (28), 2:0, 3:0 დანი (62, 76), 4:0 ფიგუ (85)
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი, ბოგარდი, ფ. დე ბური, რაიციგერი, რ. დე ბური, გვარდიოლა (ხავი 86), კოკუ, გაბრი, ფიგუ, დანი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ნუმანსია: ნუნიესი, ხაუმე, რაულ მუნიოსი, სორია, ბელსუე (ბარბუ 67), ოქტავიო, ნაგორე, კასტანიო, რივერა, რუბენ ნავარო (ინიაკი 79), ოხედა
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: ოქტავიო, კასტანიო, გაბრი
მსაჯი: ესკინას ტორესი
60 000 მაყურებელი

**სოსიედადი 1:0 ესპანიოლი**

1:0 იანკაუსკასი (22)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ფუენტესი, გურუჩაგა, ლორენი, არამბურუ, დე პედრო (გომესი 85), ხოხლოვი, იანკაუსკასი (იდიაკესი 70), დე პაულა (ალდეონდო 75)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, ნანდო, კრისტობალი, მაურო ნავასი, არტეაგა (როხერი 75), სერხიო (დე ლუკასი 80), გალკა, ველამასანი, ტამუდო, მარტინ პოსე (სერანო 73)
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
გაფრთხილება: პოჩეტინიო, ფუენტესი, დე პაულა, კრისტობალი
გაძევება: ლოპეს რეკარტე (86)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
30 000 მაყურებელი

**სელტა 2:0 რასინგი**

1:0 ბენი მაკკარტი (36), 2:0 მოსტოვოი (63)
სელტა: პინტო, სერხიო, ხუანფრანი, კასერესი, ჯოვანელა, სელადესი, კარპინი, მაკელელე, მოსტოვოი (ტომასი 66), გუსტავო ლოპესი (ვივასი 83), ბენი მაკკარტი (ჰუგენდორპი 73)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
რასინგი: სებალიოსი, ტაისი (ბესჩასტნიხი 76), სიეტესი, არსენო, მელბერგი, კოლსა, ვივარ დორადო, ესპინია, ამავისკა, სალვა, მანხარინი (რუშფელტი 45)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: კასერესი, ტაისი, მაკელელე, კარპინი, სელადესი, სერხიო
მსაჯი: პერეს ლასა
24 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 სარაგოსა**

1:0 კარლოსი (18), 1:1 გარიტანო (47)
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, მიგელ სოლერი (იბაგასა 64), სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა (ეტოო 66), ი. სტანკოვიჩი, ენგონგა, ჩიჩი სოლერი, დიეგო ტრისტანი, კარლოსი
მწვრთნელი: მარიო გომესი
სარაგოსა: ხუანმი, სოლანა, აგუადო, სუნდგრენი, ლანა, აკუნია, არაგონი (ელგერა 69), გარიტანო, მარკოს ვალესი (ლაინესი 6), ველისკა, მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხოსე ფრანსისკო როხო
გაფრთხილება: ნადალი, აგუადო
გაძევება: ხუანმი (5), აგუადო (55), ენგონგა (89)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
18 000 მაყურებელი

**ოვიედო 1:1 რეალი**

0:1 რაული (75), 1:1 გონსალესი (83)
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, რაბარივონი (გონსალესი 66), დანჟუ, ონოპკო, პომპეი, რუბენი (ესკურსა 57), ივან იგლესიასი (ივან ანია 81), პაულო ბენტუ, დელი ვალდესი, ლოსადა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რეალი: კასილიასი, ივან კამპო, იერო, რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო, ჯერემი (მაკმანამანი 68), ივან ელგერა, რედონდო, მორიენტესი (მეკა 72), რაული, ანელკა (ზარატე 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ივან ანია, მიჩელ სალგადო, რაული, დანჟუ, ლოსადა, მეკა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
15 024 მაყურებელი

# რა? ალავესი?!

## ვიტორიელების ლიდერთა მარაქაში გაერივნენ


REUTERS მალიორკიდან

მალიორკა — სარაგოსა 1:1. სარაგოსელმა სანტიაგო არაგონმა მალიორკელი დიეგო ტრისტანი (№19) მოატყუა

**ატლეტიკო 0:0 ბეტისი**

ატლეტიკო: მოლინა, კაპდევილა, გამარა, აგილერა, სანტი, ბარახა (ლარდინი 65), ვალერონი, ბეიბლი, პაუნოვიჩი, ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ბეტისი: ტონი პრატსი, ვიდაკოვიჩი, ლუის ფერნანდესი, მერინო, ალექსისი (იტო 85), კროსა, ფილიპესკუ, რომერო (კანიასი 90), კუელიარი, დენილსონი (გალვესი 81), ალფონსო
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: კაპდევილა, მოლინა, ვალერონი, ბეიბლი, მერინო, ლუის ფერნანდესი, გალვესი, ჰასელბაინკი
მსაჯი: ბუენო ხრიმალი
40 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 ბილბაო**

1:0 ოსკარი (83), 2:0 კლაუდიო ლოპესი (86)
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, ჯუკიჩი, პელეგრინო (ბიორკლუნდი 46), ანგლომა, ხერარდი, მენდიეტა, კილი გონსალესი, ფარინოსი (ოსკარი 75), კლაუდიო ლოპესი, ილიე (ხუან სანჩესი 88)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ბილბაო: ლაფუენტე, კარლოს გარსია, პაჩი ფერეირა, ლარასაბალი, ფელიპე, ტიკო, ლაკრუსი, ხოსე მარი (სივორი 76), ალკისა, ხ. ეჩებერია (ედუ ალონსო 55), ესკერო (ურსაისი 46)
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ტიკო, პელეგრინო, ლაკრუსი, კილი გონსალესი, ჯუკიჩი
გაძევება: ტიკო (45), კარლოს გარსია (88)
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი
42 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:1 ალავესი**

0:1 ტელიესი (70)
რაიო ვალეკანო: კელერი, ჰელდერი, ფერონი (დრეიპერი 81), ერნანდესი, ალკასარი, ამაია, კოტა, ლუის სემბრანოსი (ლორენსი 63), პოშნერი (მიჩელ II 71), მიჩელ I, კანაბალი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ალავესი: ერერა, კარმონა, ტელიესი, კონტრა, ტორეს მესტრე, პაბლო (ხავი მორენო 63), ასკოიტია (მორალესი 67), დესიო, იბონ ბეგონია, კოდრო (მაგნო 74), ასტუდილიო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ
8 000 მაყურებელი

**მალაგა 1:0 დეპორტივო**

1:0 დარიო სილვა (5)
მალაგა: კონტრერასი, ფერნანდო სანსი, ვალკარსე, როხასი, ლარაინსარი, ბრავო (როტეტა 16), სანდრო, აგოსტინო (ისნატა 12), მოვილია, დარიო სილვა, ედგარი (კიკი მუსამპა 42)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
დეპორტივო: სონგო, შურერი, ნაიბეტი (ტურუ ფლორესი 64), რომერო, მანუელ პაბლო, ფრანი, მაურო სილვა, ფლავიო კონსეისაო (პაულეტა 57), ჯალმინია, მაკაი (ხაიმე 83), ვიქტორ სანჩესი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ისნატა, მაურო სილვა, სანდრო, ნაიბეტი, დარიო სილვა
გაძევება: მაურო სილვა (82)
მსაჯი: ბრიტო არსეო
25 000 მაყურებელი

**სევილია 0:1 ვალიადოლიდი**

0:1 მარკესი (57)
სევილია: ოლსენი, ჰიბიჩი, პრიეტო (ლორენი 80), მარჩენა, ცარტასი, ანხელი, კევედო, ვიქტორი (მოია 60), ზალაიეტა (ხუან კარლოსი 74), ოლივეირა, ხესული
მწვრთნელი: მარკოს ალონსო
ვალიადოლიდი: სესარი, სანტამარია, ტორეს გომესი, პენია, მარკოსი, ჰაინცე, აროლდ ლოზანო (კამინერო 25), ხავი ხიმენესი, შოჯი ჯო (მარკესი 46), ვიქტორი (ტურიელი 79), როდრიგო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ჰიბიჩი, ჰაინცე, ვიქტორი, სანტამარია, ზალაიეტა, პენია, კამინერო, სესარი, პრიეტო
გაძევება: ჰაინცე (37)
მსაჯი: კარმონა მენდესი
40 000 მაყურებელი

მერამდენედ ვიმეორებ, მიმდინარე სეზონში ესპანეთის ჩემპიონატისა ვერაფერი გავიგე. აბა, „ალავესი“ რომ მეორე ადგილზე იქნება და გრანდები მის ქვემოთ განლაგდებიან, უცნაური არ არის?

კვირას ბასკები მადრიდს ეწვივნენ და „რაიო ვალეკანოს“ გაეჯიბრნენ. გეხსომებათ, დედაქალაქელებმა ჩემპიონატი ჩინებულად დაიწყეს, მაგრამ ახლა არცთუ სახარბიელოდ თამაშობენ და მე-12 ადგილზე იმყოფებიან. თუმცა ამ შეხვედრაში „რაიო“ სამ ქულას გეგმავდა და მატჩიც მისი უპირატესობით დაიწყო. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი ლუის სემბრანოსი ორჯერ იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ბურთმა სტუმართა კარის ხაზი ვერა და ვერ გადაკვეთა. მასპინძელთა უშედეგო შეტევებს ის მოჰყვა, რომ „ალავესმა“ ძალა მოიკრიბა და გოლიც გაიტანა. 70-ე წუთზე „რაიოს“ კართან კუთხური დაინიშნა. საჯარიმოში ჩაწოდებულიც ბურთს სტუმართა მცველი ოსკარ ტელიესი შეხვდა და კეისი კელერის კარში შეაგდო. ეს გოლი გამარჯვებისა აღმოჩნდა და პატარა ბასკური ქალაქის, ვიტორიას მოკრძალებული გუნდი, ალბათ, თავისდა გასაკვირადაც მეორე ადგილზე ალზევდა. თუმცა, „რაიოსი“ არ იყოს, საეჭვოა, ალავესელებმა პოზიციის შენარჩუნება შეძლონ — მათ რამდენიმე გუნდი მისდევს, არათუ მეორეს, პირველ ადგილს რომ უმიზნებენ. ასეთები კი უპირველესად „რეალი“ და „ბარსელონა“ არიან.

„ბარსელონა“ შინ „ნუმანსიას“ შეხვდა. კატალონიელებს ჩვეული სასტარტო შემადგენლობის ლამის ნახევარი აკლდათ. ადრევე გაუწყეთ, რომ ლუის ენრიკე და ბუდევინ ზენდენი „პორტუსთან“ მატჩში დაშავდნენ და ფეხბურთს სავარაუდოდ ერთი თვით ჩამოშორდნენ. პატრიკ კლუივერტმა ყვითელი ბარათების ლიმიტი ამოწურა და იძულებით დასვენება მოუხდა. ბრაზილიელი რივალდოც ფეხის ტკივილს შეუწუხებია და მეუღლესთან ერთად ტრიბუნაზე მოკალათებულიყო. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, მასპინძლებს მოგება არ გასჭირვებიათ.

28-ე წუთზე რონალდ დე ბურის წამოწყებული შეტევა გაბრიმ დაასრულა. მან საჯარიმოს კუთხიდან ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახსნა. მეორე გოლის გატანამდე კი კატალონიელებს კარგა ხანს მოუხდათ ცდა და მისი ავტორი, ისევე, როგორც მესამე გოლისა, დანი გარსია შეიქნა. გასულ ზაფხულს „მალიორკადან“ 15,5 მილიონ დოლარად შეძენილ ფეხბურთელს ლუის ვან გაალი იშვიათად ათამაშებს. მაგრამ როდესაც დანი მინდორზეა, თითქმის ყოველთვის გააქვს. მან „ბარსას“ რიგებში თავისი მე-12 გამოჩენა მეცხრე და მეათე გოლებით ალნიშნა. 62-ე წუთზე რონალდ დე ბურმა მარცხენა ფლანგიდან შეუტია და საჯარიმოში ლუიშ ფიგუს ჩააწოდა. პორტუგალიელმა უკან დანი გარსია მოძებნა და ამ უკანასკნელმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მესამე გოლის გატანაში კი დანის ხოსეპ გვარდიოლა და ფილიპ კოკუ დაეხმარნენ. „ნუმანსიას“ განადგურება 85-ე წუთზე ლუიშ ფიგუმ დაასრულა და ახლა „ბარსელონა“ 44 ქულით გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზეა.

ამდენივე ქულა დაუგროვდა მადრიდის „რეალსაც“, თუმცა დედაქალაქელები „ბარსელონას“ ბურთების სხვაობით საგრძნობლად ჩამორჩებიან. წინა ტურში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ დელ ბოსკეს შეგირდები კვლავ უოლიმპიადოდ თამაშობენ და მე-19 ადგილზე მყოფ „ოვიედოსთან“ მხოლოდ ფრეს დასჯერდებიან. 75-ე წუთზე სტივ მაკმანამანის პასით რაულმა ანგარიში გახსნა. მატჩისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა და რეალელებს რომ ეგონათ, თავი ქუდში გვაქვსო, საპასუხო სწორედ მაშინ გაუშვეს. 83-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სტუმართა მცველებმა უხერხულად მოიგერიეს და იქვე საჯარიმოში ხუან გონსალესს „ჩააბარეს“. ამანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და „რეალი“ დაამწუხრა.

ფრის მიუხედავად, „რეალი“ „დეპორტივოს“ კიდევ ერთი ქულით მიუახლოვდა, რადგან გალისიელებმა თავის მხრივ „მალაგასთან“ მინიმალური ანგარიშით წააგეს.

ბოლოს ალვნიშნოთ, რომ „ატლეტიკოს“ უსუსურმა თამაშმა მისი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი შეიწირა. თუმცა უიღბლო იტალიელსა და მადრიდულ კლუბზე ხვალ ვისაუბროთ.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

XXIX ტური

**ბადახოსი 0:0 უელვა**

**ეიბარი 0:1 ტენერიფე**

0:1 პინილია (5)

**ელჩე 1:1 ლევანტე**

1:0 ზარატე (33), 1:1 ეტიენე (87)

**ხეტაფე 1:0 სპორტინგი**

1:0 უგო (83)

**ლას პალმასი 0:2 ოსასუნა**

0:1 ივან როსადო (64), 0:2 კუკო სიგანდა (92)

**კორდობა 1:0 კომპოსტელა**

1:0 ირაზუსტა (54)

**ლოგრონიესი 0:1 ლეგანესი**

0:1 პაჩონი (46)

**ლეიდა 3:0 ატლეტიკო B**

1:0, 2:0 ხავი პენია (65, 68), 3:0 დავიდი (75)

**სალამანკა 0:0 მერიდა**

**ალბასეტე 2:1 ტოლედო**

1:0 ხელი (42), 1:1 ლუის გარსია (68), 2:1 ნავარო (79)

**ესტრემადურა 4:1 ვილიარეალი**

1:0 მანუელი (15), 2:0 პოლი (25), 3:0 ფრედი (39), 3:1 ალფარო (50), 4:1 დურე (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 29 | 14 | 8 | 7 | 42:30 | 50 |
| ესტრემადურა | 29 | 13 | 8 | 8 | 34:29 | 47 |
| ლევანტე | 29 | 12 | 10 | 7 | 42:37 | 46 |
| ლას პალმასი | 29 | 12 | 9 | 8 | 39:30 | 45 |
| სპორტინგი | 29 | 13 | 5 | 11 | 38:34 | 44 |
| ლეიდა | 29 | 12 | 7 | 10 | 48:38 | 43 |
| ვილიარეალი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:34 | 43 |
| ტენერიფე | 29 | 12 | 7 | 10 | 40:35 | 43 |
| ოსასუნა | 29 | 13 | 4 | 12 | 29:27 | 43 |
| კორდობა | 29 | 11 | 9 | 9 | 35:30 | 42 |
| ბადახოსი | 29 | 8 | 17 | 4 | 26:21 | 41 |
| ეიბარი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:39 | 39 |
| მერიდა | 29 | 9 | 10 | 10 | 27:30 | 37 |
| ალბასეტე | 29 | 9 | 10 | 10 | 34:40 | 37 |
| ლეგანესი | 29 | 10 | 9 | 10 | 33:36 | 36 |
| კომპოსტელა | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 |
| ელჩე | 29 | 7 | 13 | 9 | 32:38 | 34 |
| ატლეტიკო B | 29 | 9 | 7 | 13 | 32:40 | 34 |
| ხეტაფე | 29 | 9 | 6 | 14 | 25:34 | 33 |
| ლოგრონიესი | 29 | 8 | 8 | 13 | 39:42 | 32 |
| უელვა | 29 | 8 | 7 | 14 | 29:38 | 31 |
| ტოლედო | 29 | 6 | 7 | 16 | 22:39 | 25 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 27 | 15 | 4 | 8 | 46:33 | 13 | 49 | 13 | 11 | 0 | 2 | 32:15 | 17 | 33 | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | -4 | 16 |
| 2 | ალავესი | 27 | 13 | 6 | 8 | 32:27 | 5 | 45 | 14 | 8 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 26 | 13 | 5 | 4 | 4 | 14:14 | 0 | 19 |
| 3 | ბარსელონა | 27 | 13 | 5 | 9 | 52:34 | 18 | 44 | 13 | 10 | 1 | 2 | 33:10 | 23 | 31 | 14 | 3 | 4 | 7 | 19:24 | -5 | 13 |
| 4 | სარაგოსა | 27 | 11 | 11 | 5 | 45:29 | 16 | 44 | 14 | 9 | 5 | 0 | 31:13 | 18 | 32 | 13 | 2 | 6 | 5 | 14:16 | -2 | 12 |
| 5 | რეალი | 27 | 11 | 11 | 5 | 45:39 | 6 | 44 | 13 | 7 | 3 | 3 | 25:20 | 5 | 24 | 14 | 4 | 8 | 2 | 20:19 | 1 | 20 |
| 6 | ვალენსია | 27 | 11 | 8 | 8 | 37:27 | 10 | 41 | 13 | 7 | 3 | 3 | 23:11 | 12 | 24 | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | -2 | 17 |
| 7 | სელტა | 27 | 13 | 2 | 12 | 38:33 | 5 | 41 | 14 | 9 | 1 | 4 | 27:17 | 10 | 28 | 13 | 4 | 1 | 8 | 11:16 | -5 | 13 |
| 8 | მალიორკა | 27 | 10 | 7 | 10 | 35:35 | 0 | 37 | 14 | 9 | 4 | 1 | 24:13 | 11 | 31 | 13 | 1 | 3 | 9 | 11:22 | -11 | 6 |
| 9 | ბილბაო | 27 | 9 | 10 | 8 | 37:41 | -4 | 37 | 13 | 6 | 6 | 1 | 22:16 | 6 | 24 | 14 | 3 | 4 | 7 | 15:25 | -10 | 13 |
| 10 | მალაგა | 27 | 9 | 9 | 9 | 39:36 | 3 | 36 | 13 | 5 | 5 | 3 | 19:11 | 8 | 20 | 14 | 4 | 4 | 6 | 20:25 | -5 | 16 |
| 11 | ვალიადოლიდი | 27 | 9 | 8 | 10 | 25:31 | -6 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 19:14 | 5 | 23 | 14 | 2 | 6 | 6 | 6:17 | -11 | 12 |
| 12 | რაიო | 27 | 10 | 4 | 13 | 35:41 | -6 | 34 | 14 | 6 | 2 | 6 | 20:18 | 2 | 20 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:23 | -8 | 14 |
| 13 | ნუმანსია | 27 | 9 | 7 | 11 | 35:45 | -10 | 34 | 13 | 7 | 5 | 1 | 21:11 | 10 | 26 | 14 | 2 | 2 | 10 | 14:34 | -20 | 8 |
| 14 | რასინგი | 27 | 8 | 9 | 10 | 39:38 | 1 | 33 | 14 | 3 | 9 | 2 | 22:18 | 4 | 18 | 13 | 5 | 0 | 8 | 17:20 | -3 | 15 |
| 15 | ბეტისი | 27 | 9 | 6 | 12 | 25:40 | -15 | 33 | 14 | 8 | 3 | 3 | 16:12 | 4 | 27 | 13 | 1 | 3 | 9 | 9:28 | -19 | 6 |
| 16 | ესპანიოლი | 27 | 8 | 8 | 11 | 40:39 | 1 | 32 | 14 | 5 | 6 | 3 | 24:18 | 6 | 21 | 13 | 3 | 2 | 8 | 16:21 | -5 | 11 |
| 17 | სოსიედადი | 27 | 7 | 11 | 9 | 29:34 | -5 | 32 | 14 | 7 | 4 | 3 | 20:15 | 5 | 25 | 13 | 0 | 7 | 6 | 9:19 | -10 | 7 |
| 18 | ატლეტიკო | 27 | 8 | 7 | 12 | 38:42 | -4 | 31 | 14 | 5 | 5 | 4 | 21:16 | 5 | 20 | 13 | 3 | 2 | 8 | 17:26 | -9 | 11 |
| 19 | ოვიედო | 27 | 7 | 8 | 12 | 27:42 | -15 | 29 | 13 | 7 | 4 | 2 | 15:8 | 7 | 25 | 14 | 0 | 4 | 10 | 12:34 | -22 | 4 |
| 20 | სევილია | 27 | 4 | 11 | 12 | 29:42 | -13 | 23 | 13 | 4 | 6 | 3 | 15:12 | 3 | 18 | 14 | 0 | 5 | 9 | 14:30 | -16 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |
| კატანია (მალაგა) | 16 |

**XXVIII ტური**

11 მარტი
ბეტისი — რაიო
12 მარტი
რასინგი — სარაგოსა
ესპანიოლი — სელტა
ალავესი — სოსიედადი
ვალიადოლიდი — ატლეტიკო
რეალი — სევილია
ნუმანსია — ოვიედო
ბილბაო — ბარსელონა
დეპორტივო — ვალენსია
მალაგა — მალიორკა

## ბელგია

XXV ტური

**ლომელი 1:3 გენტი**
0:1, 0:2 აარსტი (22, 49), 1:2 სიმონსი (80პ), 1:3 აარსტი (90)

**ლიერსი 5:0 გენკი**
1:0 კავენსი (17), 2:0 სნოექსი (37), 3:0 ვან მეირი (44), 4:0 სომერსი (45), 5:0 სპიტერი (78)

**ბევერენი 0:2 სტანდარდი**
0:1 ლიკუნკუ (70), 0:2 დიასი (89)

**მუსკრონი 2:1 შარლერუა**
1:0 სეინშევი (58), 1:1 რაბახი (75), 2:1 ტანგე (82)

**გეელი 1:2 აალსტი**
1:0 დაელემანსი (57), 1:1 დიმბალა (68), 1:2 ჯ. არტსი (79)

**ლოკერენი 2:0 ჰარელბეკე**
1:0 იანსენსი (64), 2:0 იულა (90)

**სენტ ტრუიდენი 3:1 მეხელენი**
1:0 ვან ოკელენი (24), 2:0 ბურგი (47), 2:1 ტ. პეეტერსი (56), 3:1 ფიერსი (65)

**ბრიუგე 2:0 ვესტერლო**
1:0 იანსენი (7), 2:0 ვერმანტი (37)

**ბეერსხოტი 1:3 ანდერლეხტი**
0:1 კოლერი (11), 1:1 სონკი (72), 1:2 ეკაკია (80), 1:3 კოლერი (83)

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ერთპიროვნულმა ლიდერმა „ანდერლეხტმა“ სტუმრად „ბეერსხოტის“ დამარცხების შემდეგ 10-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. ჩემპიონატის დასრულებამდე 9 ტური დარჩა. თუ სასწაული არ მოხდა, „ანდერლეხტი“ ალბათ, ჩემპიონი გახდება.

ბელგიის ჩემპიონატში ქართველ გულშემატკივართათვის მეტ-ნაკლებად საინტერესო ორი გუნდი ასპარეზობს — „ლიერსი“, სადაც გელა შეყილაძე თამაშობს და ქვეყნის ჩემპიონი „გენკი“, რომელსაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი თავკაცობს. გასულ უქმეებზე სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, შედეგიც საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ, „ლიერსმა“ 5:0 გაიმარჯვა და მყვირალა ჰოლანდიელს საქმეები ერთობ გაურთულა.

„გენკის“ განადგურებას მე-17 წუთზე იურგენ კავენსმა ჩაუყარა საფუძველი, როდესაც ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა და მასპინძლები დააწინაურა. 37-ე წუთზე კარელ სნოექსმა მეორე გოლიც გაიტანა. პირველი ტაიმის ბოლოს „გენკის“ დაცვა საბოლოოდ აირია და ორ წუთში კიდევ ორი გოლი გაუშვა. მეორე ნახევარი აშკარა ფორმალობად იქცა. ცხადი იყო, რომ სტუმრები ოთხი გოლის გატანას და ანგარიშის გათანაბრებას ველარ მოახერხებდნენ. 78-ე წუთზე მათ კიდევ ერთი ბურთი გაუშვეს და საბოლოოდ შერცხვნენ. ბოსკამპის ხელმძღვანელობით კი „გენკმა“ მეორე მატჩი წააგო გამანადგურებელი ანგარიშით.

ბოლო ხანს აშკარად ძლიერად ასპარეზობს „სტანდარდი“. გუნდი გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა. მორიგ ტურში ლიეჟელები „ბევერენს“ ესტუმრნენ და 2:0 დაამარცხეს. ალი ლიკუნკუმ და პასკალ დიასმა ორჯერ გამოიჩინეს თავი და „სტანდარდს“ მორიგი გამარჯვება მოუპოვეს. გუნდმა ცხრილის მეორე პოზიციაზე უკვე საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი და მესამეადგილოსან „ბრიუგეს“, რომელმაც მორიგ ტურში შინ „ვესტერლო“ დაამარცხა 2:0, ოთხი ქულით უსწრებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 25 | 18 | 6 | 1 | 67:24 | 60 |
| სტანდარდი | 25 | 16 | 2 | 7 | 57:36 | 50 |
| ბრიუგე | 25 | 14 | 4 | 7 | 54:25 | 46 |
| გენტი | 25 | 15 | 1 | 9 | 61:45 | 46 |
| ლიერსი | 25 | 13 | 5 | 7 | 53:31 | 44 |
| მუსკრონი | 25 | 13 | 4 | 8 | 53:37 | 43 |
| გენკი | 25 | 12 | 6 | 7 | 51:42 | 42 |
| ბეერსხოტი | 25 | 12 | 6 | 7 | 43:36 | 42 |
| ვესტერლო | 25 | 10 | 6 | 9 | 45:55 | 36 |
| ლოკერენი | 25 | 9 | 6 | 10 | 44:50 | 33 |
| მეხელენი | 25 | 10 | 3 | 12 | 40:56 | 33 |
| აალსტი | 25 | 10 | 2 | 13 | 45:51 | 32 |
| ჰარელბეკე | 25 | 8 | 4 | 13 | 48:50 | 28 |
| სტ. ტრუიდენი | 25 | 6 | 4 | 15 | 27:53 | 22 |
| ბევერენი | 25 | 5 | 6 | 14 | 33:54 | 21 |
| შარლერუა | 25 | 5 | 6 | 14 | 29:50 | 21 |
| გეელი | 25 | 3 | 9 | 13 | 20:45 | 18 |
| ლომელი | 25 | 1 | 10 | 14 | 23:53 | 13 |

## ჰოლანდია

XXIV ტური

**ალკმარი 2:2 ტილბურგი**
1:0 ჰიუბერტსი (36), 1:1 შუკოვი (38), 2:1 ბოსმანი (48), 2:2 რამზი (80)

**ვიტესი 2:0 როდა**
1:0 კრეეკი (75), 2:0 ვ. სიკორა (87)

**გრააფსხაპი 3:0 დენ ბოსხი**
1:0 ფუქსი (21), 2:0 ვისკაალი (57), 3:0 ფუქსი (76)

**ნაიმეგენი 0:1 უტრეხტი**
0:1 კუიტი (53)

**სპარტა 3:1 ვალვაიკი**
1:0 ვან დერ მეერი (11), 2:0 ელ ხატაბი (54), 2:1 ვან დერ ლეგტი (55), 3:1 მარბუსი (59)

**ტვენტე 0:0 აიაქსი**

**ჰერენვენი 3:0 ფეიენოორდი**
1:0 ჰანსმა (35), 2:0 ლურლინგი (56), 3:0 ნურმელა (90)

**კამბური 2:2 მაასტრიხტი**
0:1 გუდიონსონი (31), 1:1 ნელისე (52), 1:2 გუდიონსონი (63), 2:2 ლუნტიენსი (89)

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ლიგაში „ლაციოს“ მძლეველ „ფეიენოორდს“ ეროვნულ ჩემპიონატში, ეტყობა, ძალები აღარ ეყო და სტუმრად „ჰერენვენთან“ 0:3 დამარცხდა. როტერდამელებს მარტში საკმაოდ რთული და დაძაბული კალენდარი ელით — მომდევნო სამი კვირა ჩემპიონთა ლიგის მატჩები უნდა ჩაატარონ, მოდუნების უფლება არც ეროვნულ ჩემპიონატში აქვთ და თითქმის ყველა შეხვედრაში ბრძოლა უწევთ.




ჰერენვენი — ფეიენოორდი 3:0. როტერდამელი ბონავენტურე კალუ და მისი მეტოქე ენტონი ლურლინგი ბურთისთვის იბრძვიან

„ჰერენვენი“ 35-ე წუთზე დაწინაურდა. მიკა ნურმელას ჩაწოდებული კუთხური ჰარის ჰუიზინგმა თავით ჰანსმას გადასცა, რომელმაც ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა მეტოქე აშკარად დაჯაბნეს და რომ არა როტერდამელთა იღბ[illegible] და მეკარე ირჟი დუდეკის ვაჟკაცობა, ანგარიში ალბათ გამანადგურებელიც გახდებოდა.

„ფეიენოორდმა“ მხოლოდ რამდენჯერმე შეუტია, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. სამაგიეროდ, 56-ე წუთზე საკუთარ კარში კიდევ ერთი ბურთი მიიღო. ჯეფრი ტალანის ძლიერი დარტყმული დუდეკმა მოიგერია, ენტონი ლურლინგმა დამატებაზე ზუსტად ითამაშა და ბურთი კარში შეაგორა.

გოლი როტერდამელებმაც გაიტანეს. ხულიო კრუზმა თავური დარტყმით მასპინძლების კარი დალაშქრა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. შეხვედრის უკანასკნელ წუთზე კი „ჰერენვენმა“ მესამეც გაიტანა. ამ მოგების შემდეგ მან ცხრილში წინ წაიწია და „ფეიენოორდის“ შემდეგ მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა.

ჰოლანდიური ფეხბურთის კიდევ ერთმა გრანდმა „აიაქსმა“ სტუმრად „ტვენტეს“ ვერაფერი მოუხერხა და შეხვედრა ფრედ — 0:0 დაასრულა. მატჩი საკმაოდ საინტერესოდ, ორმხრივ იერიშებში წარიმართა. გამარჯვებას ორივე გუნდი ცდილობდა, მაგრამ...

შეხვედრაში იყო ერთი მეტად სადაო ეპიზოდი. ნიკოს მახლასი „ტვენტეს“ საჯარიმოში საეჭვო წაქცევა [illegible] მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ამან გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია და ტრიბუნებზე მცირე ინციდენტი მოხდა, თუმცა ამას გართულება არ მოჰყოლია და სულ მალე ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა.

უეფას თასის საგზურის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა „ვიტესმა“ „როდას“ უმასპინძლა და მიშელ კრეეკისა და ვიქტორ სიკორას გოლების წყალობით 2:0 დაამარცხა. არნემულ გუნდს წამყვანი თავდამსხმელი პიერ ვან ჰოიდონკი აკლდა, რომელმაც მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, მაგრამ „ვიტესს“ ეს არ დასტყობია, მატჩი მოიგო და სატურნირო მდგომარეობაც საგრძნობლად გაიუმჯობესა.

ლიდერ პსვ-ს გასულ უქმეებზე არ უთამაშია, თუმცა ჩემპიონატს მაინც ერთპიროვნულად ლიდერობს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 18 | 2 | 4 | 73:20 | 56 |
| აიაქსი | 23 | 14 | 5 | 4 | 56:32 | 47 |
| ტვენტე | 24 | 12 | 10 | 2 | 40:21 | 46 |
| ფეიენოორდი | 24 | 13 | 7 | 4 | 46:29 | 46 |
| ჰერენვენი | 24 | 14 | 3 | 7 | 44:27 | 45 |
| ვიტესი | 25 | 12 | 8 | 5 | 48:36 | 44 |
| ალკმარი | 25 | 13 | 4 | 8 | 52:41 | 43 |
| ტილბურგი | 24 | 11 | 5 | 8 | 39:43 | 38 |
| როდა | 24 | 11 | 4 | 9 | 39:34 | 37 |
| უტრეხტი | 24 | 10 | 3 | 11 | 40:44 | 33 |
| ვალვაიკი | 24 | 10 | 3 | 11 | 34:46 | 33 |
| სპარტა | 24 | 9 | 3 | 12 | 35:47 | 30 |
| გრააფსხაპი | 24 | 5 | 8 | 11 | 30:38 | 23 |
| სიტარდი | 23 | 4 | 7 | 12 | 29:38 | 19 |
| ნაიმეგენი | 24 | 5 | 4 | 15 | 28:46 | 19 |
| მაასტრიხტი | 24 | 4 | 6 | 14 | 31:52 | 18 |
| კამბური | 24 | 2 | 6 | 16 | 20:51 | 12 |
| დენ ბოსხი | 24 | 2 | 6 | 16 | 22:61 | 12 |

## შოტლანდია

XXV ტური

**დანდი იუნ. 0:1 ჰართსი**
0:1 კ. კამერონი (54პ)

**კილმარნოკი 2:2 დანდი**
1:0 დარანტი (12), 2:0 დინდელოქსი (56), 2:1 ანანდი (80), 2:2 გრედი (82)

**მოზერუელი 1:0 აბერდინი**
1:0 გუდმენი (53)

**რეინჯერსი 0:0 სენტ ჯონსტონი**

**ჰიბერნიანი 2:1 სელტიკი**
1:0 მაკგინლი (22), 2:0 მილერი (63), 2:1 ვიდუკა (73)

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ჩემპიონმა და გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „რეინჯერსმა“ შაბათს „სენტ ჯონსტონს“ უმასპინძლა. გლაზგოური კლუბი უეჭველ ფავორიტად ითვლებოდა და არცთუ მრისხანე „სენტ ჯონსტონის“ დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ იმ საღამოს „აიბროქსის“ სტადიონზე გამართული შეხვედრა საკმაოდ მოულოდნელი შედეგით — 0:0 დასრულდა.

„რეინჯერსი“ მთელი შეხვედრის განმავლობაში უდავო უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით მოახერხა „სენტ ჯონსტონის“ მეკარე ალან ფერგიუსონი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ტრავმირებული ალან მეინი შეცვალა, ბრწყინვალედ იცავდა საკუთარ კარს. თუმცა ფერგიუსონს აშკარად არ გაუმართლა, გლაზგოელ ამორუზოსთან ორთაბრძოლისას დაშავდა და მოედანი ნაადრევად დატოვა. მის ნაცვლად მინდორზე გუნდის მეორე სარეზერვო მეკარე, 23 წლის სტეფან რობერტსონი შევიდა, რომელმაც რამდენჯერმე აშკარად იხსნა „სენტ ჯონსტონი“, როდესაც როდ უოლესის, როზენტალისა და არტურ ნუმანის რთული დარტყმები მოიგერია.

„რეინჯერსის“ რუსი ლეგიონერი ანდრეი კანჩელსკისიც, სხვა თანაგუნდელთა მსგავსად, ბევრს ეცადა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

მატჩის შემდეგ გლაზგოელთა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა განაცხადა: „ნამდვილად საოცარი შედეგი იყო. მიკვირს, გოლი როგორ ვერ გავიტანეთ, თუმც „სენტ ჯონსტონი“ თავს კარგად იცავდა და მართლაც ძლიერად გამოიყურებოდა. ეს უთუოდ უნდა აღინიშნოს“.

სტუმართა თავკაცი სანდი კლერკი ამბობს: „ჩემი ბიჭების თამაში დღეს ნამდვილად მომეწონა, მათ ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებული ქულაც მოიპოვეს. სამწუხაროა, რომ მეკარე დაგვემტვრა და მეორე სარეზერვო გოლკიპერის გამოყვანა მოგვიხდა, თუმცა მან დღეს თავისი მოვალეობა ჩინებულად შეასრულა“.

„რეინჯერსის დაუძინებელმა მტერმა „სელტიკმა“, რომელმაც „ჰიბერნიანთან“ საგარეო შეხვედრა კვირას ჩაატარა, ლიდერის შედეგი რა თქმა უნდა წინასწარ იცოდა. მას ისიც კარგად ესმოდა, რომ მოგების შემთხვევაში „რეინჯერსთან“ ქულათა სხვაობას 6-მდე ამცირებდა, ამიტომ გამარჯვების დამატებითი სტიმული ჰქონდა. სტიმული სტიმულად, მაგრამ „სელტიკმა“ ეს საქმედ ვერ აქცია და საკმაოდ მოულოდნელად 1:2 წააგო.

შეხვედრის 22-ე და 63-ე წუთებზე მაკგინლისა და მილერის ორ გოლს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მარკ ვიდუკამ მხოლოდ ერთხელ, 73-ე წუთზე უპასუხა, მაგრამ წარმატების მისაღწევად „სელტიკს“ ეს არ ეყო და საბოლოოდ დამარცხდა. „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის სხვაობა კვლავ 9 ქულა დარჩა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 23 | 17 | 5 | 1 | 64:18 | 56 |
| სელტიკი | 23 | 15 | 2 | 6 | 66:24 | 47 |
| მოზერუელი | 24 | 9 | 8 | 7 | 33:41 | 35 |
| ჰართსი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:30 | 33 |
| დანდი იუნ. | 23 | 9 | 4 | 10 | 25:36 | 31 |
| ჰიბერნიანი | 25 | 7 | 9 | 9 | 36:43 | 30 |
| სტ. ჯონსტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 24:27 | 29 |
| დანდი | 25 | 7 | 3 | 15 | 30:51 | 24 |
| აბერდინი | 24 | 6 | 4 | 14 | 30:64 | 22 |
| კილმარნოკი | 24 | 3 | 11 | 10 | 25:33 | 20 |



„ჰიბერნიანი“ „სელტიკზე“ გამარჯვებას ხარობს

## პორტუგალია

XXIV ტური

**მარიტიმუ 1:1 ბოავიშტა**
0:1 რუი ბენტუ (44), 1:1 იოკანოვიჩი (45პ)

**ბენფიკა 3:0 ჟილ ვისენტე**
1:0 ნუნუ გომეში (13), 2:0 კარლოს კოელიო (18ს.კ.), 3:0 ნუნუ გომეში (89)

**სალგეირუში 1:1 ამადორა**
0:1 გაუჩო გომეში (71), 1:1 პანდურუ (81პ)

**გიმარაეში 1:0 ბრაგა**
1:0 ბრანდაო (76)

**სეტუბალი 2:0 რიუ ავე**
1:0, 2:0 კონდე (20, 34)

**სპორტინგი 1:1 ალვერკა**
1:0 ედმილსონი (40), 1:1 კოშტა (57)

**ლეირია 0:1 პორტუ**
0:1 დომინგუში (60)

**სანტა კლარა 1:2 ფარენსე**
0:1 პაულო ფერეირა (12), 0:2 ჰასანი (26), 1:2 პროკოპენკო (63)

**ბელენენსეში — კამპომაიორენსე**
წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 16 | 6 | 2 | 47:13 | 54 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 7 | 2 | 40:19 | 52 |
| ბენფიკა | 24 | 15 | 5 | 4 | 38:19 | 50 |
| გიმარაეში | 24 | 13 | 4 | 7 | 37:24 | 43 |
| მარიტიმუ | 24 | 9 | 8 | 7 | 27:24 | 35 |
| ბოავიშტა | 24 | 10 | 5 | 9 | 23:21 | 35 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 9 | 7 | 8 | 31:27 | 34 |
| ამადორა | 24 | 7 | 11 | 6 | 27:24 | 32 |
| ალვერკა | 24 | 8 | 6 | 10 | 26:33 | 30 |
| ბელენენსეში | 23 | 6 | 11 | 6 | 25:23 | 29 |
| ბრაგა | 24 | 8 | 3 | 13 | 29:33 | 27 |
| ლეირია | 24 | 6 | 8 | 10 | 23:26 | 26 |
| სალგეირუში | 24 | 7 | 5 | 12 | 20:30 | 26 |
| რიუ ავე | 24 | 6 | 7 | 11 | 25:35 | 25 |
| კამპომაიორ. | 23 | 6 | 6 | 11 | 19:31 | 24 |
| სანტა კლარა | 24 | 5 | 8 | 11 | 24:33 | 23 |
| ფარენსე | 24 | 5 | 8 | 11 | 22:47 | 23 |
| სეტუბალი | 24 | 4 | 5 | 15 | 17:38 | 17 |

## საფრანგეთი

თასის მერვედფინალი

*რენი* 3:2 ლორიანი; *კალაისი* 1:1 დ.დ. (0:0) (4:1 პენ.) კანი; *ნანტი* 0:0 (5:3 პენ.) გენიონი; *ბორდო* 1:0 მეცი; *ნიმი* 2:0 ამიენი; რედ სტარი 1:2 *ლიონი*; პონტივი 0:4 *მონაკო*; *სტრასბური* 1:0 პსჟ

### მეოთხედფინალის წილისყრა

კალაისი (IV) — სტრასბური; ბორდო — ნიმი (II); ნანტი — რენი; ლიონი — მონაკო

*მატჩები გაიმართება 18-19 მარტს*

## თურქეთი

23-ე ტური. ანთალია — გალათასარაი 1:3; სამსუნი — ვანი 5:1; გიოზთეფე — ანკარაგიუჯიუ 2:0; ბურსა — ადანა 3:1; ერზურუმი — გაზიანთეფი 1:1; გენჩლერბირლიგი — ისთანბული 1:1; ქოჯაელი — დენიზლი 1:0; ფენერბაჰჩე — ტრაბზონი 2:1; ბეშიქთაში — ალთაი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 23 | 19 | 3 | 1 | 51:16 | 60 |
| ბეშიქთაში | 23 | 15 | 4 | 4 | 45:14 | 49 |
| ფენერბაჰჩე | 23 | 11 | 9 | 3 | 39:28 | 42 |
| გაზიანთეფი | 23 | 10 | 9 | 4 | 32:17 | 39 |
| ტრაბზონი | 23 | 9 | 7 | 7 | 31:25 | 34 |
| გენჩლერბირ. | 23 | 9 | 7 | 7 | 31:31 | 34 |
| სამსუნი | 23 | 10 | 3 | 10 | 35:31 | 33 |
| დენიზლი | 23 | 9 | 6 | 8 | 37:40 | 33 |
| ანთალია | 23 | 8 | 6 | 9 | 27:37 | 30 |
| ალთაი | 23 | 8 | 5 | 10 | 27:29 | 29 |
| ერზურუმი | 23 | 7 | 7 | 9 | 26:36 | 28 |
| ანკარაგიუჯიუ | 23 | 7 | 6 | 10 | 30:38 | 27 |
| ბურსა | 23 | 7 | 5 | 11 | 31:34 | 26 |
| ადანა | 23 | 7 | 5 | 11 | 27:35 | 26 |
| ისთანბული | 23 | 5 | 10 | 8 | 24:28 | 25 |
| ქოჯაელი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:40 | 23 |
| გიოზთეფე | 23 | 5 | 5 | 13 | 17:32 | 20 |
| ვანი | 23 | 3 | 4 | 16 | 25:50 | 13 |

## საბერძნეთი

22-ე ტური. კალამატა — პანათინაიკოსი 0:0; პანაჰაიკი — კალამატა 1:2; პანათინაიკოსი — ეთნიკოსი 4:0; ქსანთი — პრუდეფტიკი 2:1; პაოკ — ირაკლისი 4:0; ოფი — პანიონიოსი 0:2; აეკ — პანილიაკოსი 1:0; არისი — აპოლონი 2:1; ტრიკალა — ოლიმპიაკოსი 0:2; იონიკოსი — კავალა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 20 | 0 | 2 | 62:14 | 60 |
| პანათინაიკოსი | 22 | 18 | 3 | 1 | 56:14 | 57 |
| ოფი | 22 | 13 | 6 | 3 | 37:25 | 45 |
| არისი | 22 | 11 | 5 | 6 | 33:24 | 38 |
| აეკ | 22 | 11 | 4 | 7 | 38:27 | 37 |
| ირაკლისი | 22 | 11 | 3 | 8 | 39:35 | 36 |
| პაოკ | 22 | 8 | 8 | 6 | 36:28 | 32 |
| ქსანთი | 22 | 8 | 8 | 6 | 24:24 | 32 |
| პანიონიოსი | 22 | 10 | 1 | 11 | 33:42 | 31 |
| პანილიაკოსი | 22 | 8 | 4 | 10 | 28:26 | 28 |
| იონიკოსი | 22 | 6 | 10 | 6 | 24:25 | 28 |
| ეთნიკოსი | 22 | 7 | 3 | 12 | 19:33 | 24 |
| პანაჰაიკი | 22 | 4 | 7 | 11 | 21:32 | 19 |
| კავალა | 22 | 5 | 4 | 13 | 21:41 | 19 |
| კალამატა | 22 | 4 | 7 | 11 | 21:41 | 19 |
| ტრიკალა | 22 | 4 | 4 | 14 | 19:42 | 16 |
| პრუდეფტიკი | 22 | 3 | 6 | 13 | 14:33 | 15 |
| აპოლონი | 22 | 3 | 5 | 14 | 15:34 | 14 |

## პოლონეთი

მე-16 ტური. რუხი — პლოცკი 3:1; ლკს — ლეგია 1:1; სტომილი — რაძიონკოვი 1:0; ვისლა — ოდრა 3:1; გურნიკი — ამიცა 1:3; ლეხი — ზაგლებე 2:0; პოლონია — ვიძევი 1:0; პოგონი — გროცლინი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 16 | 9 | 6 | 1 | 31:13 | 33 |
| პოლონია | 16 | 9 | 4 | 3 | 24:17 | 31 |
| ვისლა | 16 | 8 | 5 | 3 | 29:18 | 29 |
| ლეგია | 16 | 6 | 9 | 1 | 31:18 | 27 |
| პოგონი | 16 | 7 | 6 | 3 | 24:19 | 27 |
| ამიცა | 16 | 6 | 7 | 3 | 27:20 | 25 |
| სტომილი | 16 | 6 | 6 | 4 | 18:22 | 24 |
| ზაგლებე | 16 | 6 | 5 | 5 | 14:16 | 23 |
| გურნიკი | 16 | 4 | 7 | 5 | 27:22 | 19 |
| პლოცკი | 16 | 5 | 4 | 7 | 19:24 | 19 |
| რაძიონკოვი | 16 | 5 | 3 | 8 | 15:25 | 18 |
| ლკს | 16 | 3 | 7 | 6 | 14:16 | 16 |
| ოდრა | 16 | 4 | 4 | 8 | 18:23 | 16 |
| ვიძევი | 16 | 3 | 6 | 7 | 21:27 | 15 |
| ლეხი | 16 | 3 | 5 | 8 | 20:28 | 14 |
| გროცლინი | 16 | 1 | 2 | 13 | 9:31 | 5 |

## ჩეხეთი

მე-19 ტური. ჰ. კრალოვე — სიგმა 0:0; ბლშანი — დუკლა 2:1; ბრნო — ოპავა 1:0; ბუდეიოვიცე — იაბლონეცი 2:0; სპარტა — ტეპლიცე 3:2; ბანიკი — დრნოვიცე 3:1; ლიბერეცი — სლავია 0:1; ბოჰემიანსი — ვიკტორია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 19 | 15 | 4 | 0 | 33:8 | 49 |
| სპარტა | 19 | 13 | 4 | 2 | 48:17 | 43 |
| დრნოვიცე | 19 | 10 | 3 | 6 | 27:19 | 33 |
| ბოჰემიანსი | 19 | 7 | 7 | 5 | 18:17 | 28 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 8 | 3 | 8 | 25:25 | 27 |
| ბლშანი | 19 | 7 | 4 | 8 | 20:31 | 25 |
| ბანიკი | 19 | 6 | 6 | 7 | 27:27 | 24 |
| ტეპლიცე | 19 | 6 | 6 | 7 | 25:29 | 24 |
| დუკლა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:24 | 24 |
| ბრნო | 19 | 6 | 4 | 9 | 21:23 | 22 |
| სიგმა | 19 | 4 | 10 | 5 | 23:26 | 22 |
| ლიბერეცი | 19 | 5 | 7 | 7 | 12:15 | 22 |
| ოპავა | 19 | 5 | 5 | 9 | 24:26 | 20 |
| ვიკტორია | 19 | 4 | 6 | 9 | 25:35 | 18 |
| ჰ. კრალოვე | 19 | 3 | 7 | 9 | 17:27 | 16 |
| იაბლონეცი | 19 | 4 | 4 | 11 | 15:31 | 16 |

# მაესტრო ტრაპის მეათასე დღე

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. IV ტური


REUTERS ბორდოდან

დევიდ ბექემი ბორდოს აეროპორტში

### A ჯგუფი

### სპარტა — ჰერტა

როგორც პრაღელებს, ასევე ბერლინელებს მეოთხედფინალში გასვლის შანსის შესანარჩუნებლად გამარჯვება სჭირდებათ. მას მერე, რაც წინა კვირაში, გერმანიაში 1:1 ითამაშეს, ორივე შეჯიბრებისგან გავარდნის საშიშროების წინაშე დგას. მეორე ჯგუფურ ეტაპზე, სამი ტურის შემდეგ, „ჰერტა“ ოთხი, „სპარტა“ კი ხუთი ქულით ჩამორჩება ჯგუფში, „ბარსელონას“ მერე, მეორე ადგილზე მყოფ „პორტუს“. რაც შეეხება გოლებს: „ჰერტას“ სულ ორი აქვს გატანილი, „სპარტას“ კი ერთი.

პრაღელთა მწვრთნელი ივან ჰაშეკი დარწმუნებულია, რომ ბერლინის გუნდი უდიდეს წინააღმდეგობას გაუწევს, მაგრამ ყველაფერი დაკარგული სულაც არ არის.

„გუნდი, რომელიც პრაღულ შეხვედრაში გაიმარჯვებს, კვლავ რეალისტიურად დაითვლის ქულებს და მომავალზე იფიქრებს. თამაში ძალიან ძნელი გველის, ჯერ კიდევ პირველ შეხვედრაში ვიგრძენი, რომ „ჰერტა“ ის გუნდია, რომელიც პროგრესირებს, მაგრამ, მწამს, ჩემი ბიჭები სიძნელეებს თავს გაართმევენ“ — თქვა მან.

„სპარტამ“ ჩეხეთის პირველობის ბოლო ტურში ცხრილის შუაში მყოფ „ტეპლიცეს“ 3:2 მოუგო, რის შედეგადაც ჩემპიონატი მისი და „სლავიას“ დოლად გადაიქცა. გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი კი დაშავებულია და მოსალოდნელია, რომ ლევერკუზენის „ბაიერში“ ნათამაშევი პაველ ჰაპალით შეიცვლება.

ნახევარმცველი მარტინ ჰაშეკი დისკვალიფიცირებული გახლდათ, ახლა კი თამაშის ნება აქვს. მაგრამ მისი მოგვარე მწვრთნელი ათამაშებს თუ არა ჯერჯერობით უცნობია. საქმე ის გახლავთ, რომ მარტინ ჰაშეკი უფრო დაცვაზეა ორიენტირებული, ხოლო ივან ჰაშეკმა, არაა გამორიცხული, შემტევი ირჟი იაროშიკი დასაქმოს.

თავდამსხმელი ჰორსტ ზიგლი, რომელმაც წინა ტურში, ბერლინში, პრაღელთა ერთადერთი გოლი შეაგდო, ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დაიწყებს.

რაც შეეხება „ჰერტას“, მან ბუნდესლიგის ბოლო ტურში „უნტერჰახინგს“ თამაშის მიწურულს გაუტანა გოლები და 2:1 მოუგო, მაგრამ ქომაგთაგან დიდი ყიჟინა დაიმსახურა.

„დღეისათვის კარგად ვერ ვთამაშობთ, მაგრამ ვიბრძვით და „სპარტასთანაც“ ზუსტად ასევე მოვიქცევით, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, მეოთხედფინალში გასვლის დიდი შანსი არ გვაქვს“ — განაცხადა ბერლინელთა ჰოლანდიელთა მცველმა დიკ ვან ბურიკმა.

გაფრთხილებულნი

სპარტა: ბარანეკი (2), ფუკალი (2), ლაბანტი (2), როსიცკი (2), ბოლფი, ნოვოტნი, იაროშიკი

ჰერტა: ჰარტმანი (2), კონსტანტინიდისი (2), ნოიენდორფი (2), სვერისონი (2), ვოში (2), დაეი, დარდაი, ჰელმერი, ჰერცოგი, მიხალკე, რეკდალი, ვან ბურიკი, ვაიტი

დისკვალიფიცირებულნი

სპარტა: არავინ

ჰერტა: დაისლერი (1 მატჩი)

### პორტუ — ბარსელონა

პორტუგალიელთა მწვრთნელს, ფერნანდო სანტოსს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გამოჯანმრთელების იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ მერე „ბარსელონას“ არ შეეპუება.

წინა ტურში, ამ გუნდების ბარსელონურ შეხვედრაში, „პორტუმ“ ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ 2:4 წააგო. მათ კარში ორი გოლი მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, რივალდომ გაიტანა და ესპანელები ჯგუფის სათავეში მოექცნენ.

პორტუგალიის ჩემპიონმა, შემდეგ, ეროვნულ პირველობაზე „ლეირიას“ 1:0 მოუგო, მაგრამ ამით გუნება ვერ გამოიკეთა.

„მთავარია გონებიდან ამოვიგდოთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებით. ვგრძნობ, რომ გაცილებით უკეთ შეგვიძლია ასპარეზობა“ — ამბობს გუნდის ნახევარმცველი ემილიო პეიშე.

კუნთების ტკივილი დაუამდა ბრაზილიელ თავდამსხმელს რუბენს ჟუნიორს და, სავარაუდოდ, თანაგუნდელ მარიო ჟარდელთან ერთად თავიდანვე ითამაშებს. მოსალოდნელია, რომ ნახევარდაცვაში იტრიალებს გამოცდილი რუი ბარუში, რომელიც „ლეირიასთან“ თამაშის დროს ტრიბუნაზე იჯდა და ისვენებდა. სხვათა შორის იგი ხუთი თვის განმავლობაში მკურნალობდა და ტრავმამოშუშებულმა პირველად სწორედ ბარსელონაში ითამაშა.

„ისე ვთამაშობთ, რომ უეჭველად ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტებად ვითვლებით და, ვფიქრობ, ხალხიც ჩვენგან მხოლოდ მოგებას ელის“ — განაცხადა „ბარსელონას“ ჰოლანდიელმა მცველმა ფრანკ დე ბურმა.

კატალონიელთა გუნდის ერთ-ერთი დიდი პლუსი სწორედ ძმებ დე ბურების, ფრანკისა და რონალდის გამოჯანმრთელება გახლავთ. მოსალოდნელია, რომ „პორტუს“ წინააღმდეგ ორივენი სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან.

დე ბურების თანამემამულე თავდამსხმელი, პატრიკ კლუივერტი ლუის ვან გაალმა ასევე შეიყვანა პორტუგალიაში წასაყვანთა სიაში, რომელიც ორშაბათს გამოაცხადა. კლუივერტმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა „ნუმანსიას“ წინააღმდეგ გამოტოვა.

გაფრთხილებულნი

პორტუ: ალოიზიო (2), დეკო სოუზა (2), პეიშე (2), არჯელი, დრულოვიჩი, ილარიო, სეკრეტარიუ

ბარსელონა: აბელარდო (2), არნაუ, ბოგარდი, დანი, ფ. დე ბური, ფიგუ

დისკვალიფიცირებულნი

პორტუ: ჟორჟე კოშტა (1 მატჩი)

ბარსელონა: არავინ

### B ჯგუფი

### ბორდო — მანჩესტერი

საფრანგეთის ჩემპიონი, „ბორდო“, წინა ტურში, მანჩესტერში, 0:2 დამარცხდა, მაგრამ საშინაო მატჩის წინ მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„მანჩესტერელთა დიდებულმა თამაშმა ჩვენზეც დადებითად იმოქმედა — თქვა ბორდოელთა მცველმა, ფრანს გრენემ „პარკ ლესკიურზე“ შეხვედრის წინ — ეს ბიჭები ნამდვილი ვარსკვლავები არიან, ისინი დიდ გასამრჯელოებსაც იღებენ, მაგრამ ყოველ მატჩში ბოლომდეც იხარჯებიან. მანჩესტერელები სამაგალითონი არიან, მაგრამ დაუმარცხებელი არავინ გახლავთ. გამარჯვება მატჩისადმი დამოკიდებულებაზე ჰკიდია. ჩვენ იმ შემთხვევაში მოვიგებთ, თუ გულშემატკივართათვის 100 პროცენტს გავილებთ.“

მანჩესტერში კი ამ დროს ალექს ფერგიუსონი სხვა პრობლემებს არის შეჭიდებული. მწვრთნელმა „ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „დევიდ ბექემმა კარგად იცის, რას ვითხოვთ მისგან და პირობა მოგვცა, რომ ზუსტად ისევე განაგრძობს მუშაობას, როგორც იმ წლებში, ჩინებულად რომ თამაშობდა.“

გავიხსენოთ: ბექემსა და ფერგიუსონს ერთი ხნის წინ უსიამოვნება ჰქონდათ. ფეხბურთელმა ვარჯიში გააცდინა (მერე განმარტა, ავადმყოფ შვილს ვუვლიდიო), მწვრთნელმა კი იგი დაითხოვა და დააჯარიმა.

„იუნაიტედი“ რომ დავამარცხოთ, 45 წუთი უნდა დავიცადოთ და ამ ხნის განმავლობაში მათ გოლი არ გავატანინოთ — გაიხუმრა ბორდოელთა მწვრთნელმა ელი ბოპმა, მერე კი სერიოზულად დასძინა — მათ მოსაგებად სიგიჟის საღამო გვჭირდება“.

გაფრთხილებულნი

ბორდო: ბატლე (2), მიკუ (2), აფანუ, ლასლანდი, მარტენსი, რამე, საველიჩი, ვილტორდი, ზიანი

მანჩესტერი: ფ. ნევილი (2), ბექემი, გიგზი, ირვინი, კინი, სქოულზი, უილსონი, იორკი

დისკვალიფიცირებულნი

ბორდო: ალიკარტე (1 მატჩი)

მანჩესტერი: არავინ

### ვალენსია — ფიორენტინა

„ვალენსია“ წინა კვირაში დამარცხებისთვის შურისძიებას აპირებს. შეგახსენებთ: ფლორენციაში პრედრაგ მიატოვიჩის პენალტით „ფიორენტინამ“ მოიგო.

„იქნებ ფლორენციელები თვითკმაყოფილებასაც არიან მიცემული, მაგრამ ჩვენი გულშემატკივრის თვალწინ ჩვენ გავიმარჯვებთ. „ვალენსია“ იტალიაშიც იმსახურებდა სამ ქულას. ერთადერთი, რაც ვერ შევძელით, გოლის გატანა იყო“ — განაცხადა ესპანური გუნდის ნახევარმცველმა გაისკა მენდიეტამ.

აღსანიშნავია, რომ თუ არა გამარჯვება, ვალენსიელებს მეოთხედფინალში გასვლის შანსი აღარ ექნებათ. მათი მწვრთნელი ექტორ კუპერი ფლორენციულ შეხვედრასთან შედარებით ერთადერთ ცვლილებას აპირებს — მოედანს დაუბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი მენდიეტა, რომელიც ესპანეთის ნაკრების წევრს, მუხლნატკენ მიიას შეცვლის.

„ფიორენტინას“ მწვრთნელისთვის, ჯოვანი ტრაპატონისთვის კი „ვალენსიასთან“ თამაში ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში სამახსოვრო იქნება, რადგან დღეს ბებერი დონ ტრაპი იტალიურ გუნდს (ნამუშევარი კი ბევრ კლუბში აქვს) მეათასედ გაიყვანს მოედანზე.

გაფრთხილებულნი

ვალენსია: ჯუკიჩი (2), კლაუდიო ლოპესი (2), ხუან სანჩესი (2), კარბონი, ფარინოსი, კილი გონსალესი, პალოპი, პელეგრინო, სორია

ფიორენტინა: ადანი (2), დი ლივიო (2), პადალინო (2), რუი კოშტა (2), ბატისტუტა, ბრესანი, კოისი, ფირიკანო, მიატოვიჩი, პიერინი, როსიტო, ტორიჩელი

დისკვალიფიცირებულნი

ვალენსია: არავინ

ფიორენტინა: ტოლდო (1 მატჩი)



ვიტორიო ჩეკი გორის ლაპარაკი აუკრძალეს

# გადაიხადეთ და აგინეთ

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სალარო რამდენიმე ათასი დოლარით შეივსო. ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა საფეხბურთო მოღვაწეთა გამონათქვამებს ცენზორის თვალით გადახედა და აღმოაჩინა, რომ მსაჯებს ხშირად უდიერად იხსენიებენ. კომიტეტმა სამი კლუბის პრეზიდენტი შერისხა. ვიტორიო ჩეკი გორი „ფიორენტინადან“, მაურიციო სამპარინი „ვენეციადან“ და კალიარელი მასიმო სელინო.

სადისციპლინო კომიტეტმა ყველაზე მძიმედ ფლორენციელის დანაშაული მიიჩნია და მას 30 მილიონი ლირის (15 ათასი დოლარი) გადახდა დააკისრა. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ ჩეკი გორის 45 დღით ლაპარაკის (ცხადია, მხოლოდ საფეხბურთო თემაზე) უფლებაც ჩამოერთვა. ტელეკინო მაგნატს ფული არ უჭირს და ჯარიმასაც როგორმე გადაიხდის, აი, დუმილი კი...

სამპარინი და სელინო მრისხანე სადისციპლინო კომიტეტს შტარებით იოლად გადაურჩნენ. თითოეულს ჯიბის 10 მილიონით (5 ათასი დოლარი) შეთხელება მოუწევს.

რობერტო მანჩინის მასიმო ტაიბისეული დახასიათება კი სადისციპლინო კომიტეტმა სამ მილიონ ლირად შეაფასა. „მანჩესტერიდან“ „რეჯინაში“ განათხოვრებულ მეკარეს ლაციოელი თავდამსხმელისთვის მკვახე სიტყვები ჯერ კიდევ 16 იანვარს უთქვამს.

ცალკეული პიროვნებები რომ მიილია, საფეხბურთო ცენზორები კლუბებსაც მიადგნენ. 9 იანვარს „მილანი“ — „რომას“ შეხვედრის დროს დედაქალაქელთა ქომაგებს ტრიბუნებზე პლაკატი გამოუფენიათ, რომელზეც ფაშისტური სვასტიკა ეხატა, მილანელები კი ფრანჩესკო ტოტის დამპალი ხილით გაუმასპინძლდნენ. ცხადია, გულშემატკივართა უღირს საქციელს კლუბები შეეწირნენ.

გიორგი დარჯანია

## ავსტრია

23-ე ტური. რაპიდი — შტურმი 1:0; გრაცერი — ზალცბურგი 2:0; ლინცერი — ბრეგენცი 0:1; ლუსტენაუ — რიდი 1:1; ტიროლი — შტურმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 23 | 13 | 4 | 6 | 36:19 | 43 |
| ტიროლი | 22 | 13 | 4 | 5 | 33:19 | 43 |
| შტურმი | 23 | 11 | 7 | 5 | 39:19 | 40 |
| რიდი | 23 | 10 | 6 | 7 | 35:23 | 36 |
| გრაცერი | 23 | 10 | 4 | 9 | 29:27 | 34 |
| აუსტრია | 22 | 9 | 5 | 8 | 29:27 | 32 |
| ზალცბურგი | 23 | 8 | 8 | 7 | 23:22 | 32 |
| ლინცერი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:35 | 20 |
| ლუსტენაუ | 22 | 4 | 5 | 13 | 16:39 | 17 |
| ბრეგენცი | 22 | 4 | 4 | 14 | 15:48 | 16 |

## შვეიცარია

### თასის მერვედფინალი

ფრიბურგი (II) — ტუნი (I) 0:3; არაუ — სერვეტი 1:3; ჰორგენი (III) — ლუცერნი 1:2; ეტოლი კარუგი (I) — ციურიხი 0:1; ბელინზონა (I) — ლოზანა 0:4; სიონი (I) — სენტ გალენი 1:3; ქსამაქსი — ლუგანო 1:4; ბაზელი — გრასჰოპერი 1:1 (5:4პენ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიის** ჩემპიონმა „მილანმა" რომის „ლაციოს" არგენტინელი ნახევარმცველის, მატიას ალმეიდას შეძენა მოისურვა. მილანელებმა რომაელებს 21 მილიონი დოლარი შესთავაზეს, „ლაციომ" წინადადება უარყო და განაცხადა, რომ ალმეიდას გაყიდვას არ აპირებს. „მილანი" ძლიერ ნახევარმცველებს ეძებს, გუნდს ლევერკუზენის „ბაიერის" ფეხბურთელ ემერსონის შეძენა სურდა, თუმც იმედი თითქმის გადაეწურა, რადგან იგი მომავალი სეზონიდან ალბათ „რომას" ღირსებას დაიცავს.

**გერმანიის** ნაკრების ყოფილი თავკაცი ბერტი ფოგთსი შესაძლოა შოტლანდიური „სელტიკის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს. გლაზგოური კლუბიდან ჯონ ბარნსის წასვლის შემდეგ „სელტიკს" კენი დალგლიში თავკაცობს და გუნდს ახალი მწვრთნელის პრობლემა თითქოს აღარ აწუხებს, თუმც გავრცელდა ხმები, რომ იგი შეიძლება სწორედ ფოგთსმა შეცვალოს. შეგახსენებთ, რომ ფოგთსი 1996 წლის ევროპის ჩემპიონ გერმანიის ნაკრების თავკაცი გახლდათ. მან თანამდებობა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებელი სტარტის გამო დატოვა, მის ადგილზე კი ერიხ რიბეკი დაინიშნა.

**იტალიისა** და პორტუგალიის ეროვნული ნაკრებები მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადებიან. ამ ორმა გუნდმა 26 აპრილს ამხანაგური მატჩი დაგეგმა. იტალიელთა თავკაცი თავისი გუნდისთვის ახალ ფეხბურთელებს ეძებს. შვედეთის წინააღმდეგ გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მწვრთნელმა რამდენიმე ახალბედა გამოცადა. თითქმის შეთანხმდნენ, რომ იტალია — პორტუგალიის მატჩი იტალიაში, რეჯიო კალაბრიაში ჩატარდება.

**რუმინული** ბუქარესტის „რაპიდის" მეკარე ბოგდან ლობონტი ამსტერდამის „აიაქსში" გადაბარგდა. 22 წლის ფეხბურთელმა ჰოლანდიურ კლუბთან ექვსწლიანი კონტრაქტი ქვეყანაში სატრანსფერო სეზონის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე გააფორმა. „აიაქსმა" „რაპიდს" 2 მილიონი დოლარი გადაუხადა. ლობონტი საკმაოდ პერსპექტიული მეკარეა. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იგი ალბათ რუმინეთის ნაკრების კარს დაიცავს.

**ამერიკის** შეერთებული შტატების ნაკრები შესაძლოა მოსკოვს პირველად ეწვიოს და რუსეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ჩაატაროს. შეხვედრა სავარაუდოდ 26 აპრილს გაიმართება. რუსთა თავკაც ოლეგ რომანცევს ისრაელთან ამხანაგურ მატჩში 1:4 დამარცხების შემდეგ თანამდებობის დაკარგვა დაემუქრა, ამიტომ ამერიკელებთან მატჩი მისთვის სერიოზული გამოცდა იქნება. რუსეთისა და ამერიკის გუნდები 21-წლამდელთა ნაკრებების დონეზე 1992 წელს ქალაქ დეტროიტში შეხვდნენ ერთმანეთს. ბალბოასა და ერიკ ვინალდას გოლების წყალობით ამერიკელებმა მაშინ 2:1 გაიმარჯვეს. იმედოვნებენ, რომ აპრილში მოსკოვს ორივე გოლის ავტორი ეწვევა.

**ბულგარული** სოფიის ცსკას მთავარი მწვრთნელი დიმიტარ პენევი წარუმატებლობის გამო თანამდებობიდან დაითხოვეს. ჩემპიონატის ბოლო ტურში გუნდი მეთხეადგილოსან „ველბაჟდისთან" დამარცხდა 1:3 და ლიდერ „ლევსკის" 9 ქულით ჩამორჩა. ცსკას მწვრთნელობის კანდიდატად გუნდის ყოფილ მცველ გიორგი დიმიტროვს ასახელებენ, რომელიც საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ „კისტენდილს" ავარჯიშებდა. შეგახსენებთ, რომ დიმიტარ პენევი ბულგარეთის ნაკრებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავკაცობდა და გუნდი ნახევარფინალში მოახვედრა.

**კვიპროსის** ჩემპიონატი. მე-19 ტური. აპოპი — ომონია 1:2; ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი (აშნა) 1:0; ნეა სალამინა — აეკ 2:1; ალკი — აპოლონი 0:6; აელი — ანაგენისისი 1:0; ენოსისი — ეთნიკოსი (აშა) 2:0; აპოელი — ანართოსისი 0:0-ზე არეულობის გამო ჩაიშალა. ჩემპიონატს 52 ქულით ფამაგუსტას „ანართოსისი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა ნიქოზიის „ომონია" — 44 ქულა, მესამეზეა ნიქოზიისავე „აპოელი" — 36 ქულა.

**იუგოსლავიის** ჩემპიონატი. 26-ე ტური. ჟელეზნიკი — ბუდუჩნოსტი 1:0; ცრვენა ზვეზდა — რადი 1:0; ბორაცი — ოფკ (ბელგრადი) 0:2; მილიციონარი — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 1:0; სარტიდი — სპარტაკი 2:0; მოგრენი — რადნიჩკი (ნიში) 2:0; სუტიესკა — ობილიჩი 1:2; ჰაიდუკი (კულა) — პარტიზანი 0:5; ვოივოდინო — ჩუკარიჩკი 2:0; პროლეტერი — ჰაიდუკი (ბელგრადი) 2:0. ჩემპიონატს ბელგრადული კლუბები ლიდერობენ, „პარტიზანი" — 25 თამაში, 66 ქულა, „ობილიჩი" — 26 თამაში, 64 ქულა, „ცრვენა ზვეზდა" — 25 თამაში, 60 ქულა.

# ძველი ცოდვებისთვის

**ინგლისურმა** „ნოტინგემ ფორესტმა", ოდინდელმა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა და ახლა პირველ დივიზიონში დაქვეითებულმა გუნდმა, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ნოტინგემელები ბელგიურ „ანდერლეხტს" უჩივიან და კომპენსაციის სახით 6,5 მილიონ გირვანქას სთხოვენ. ძველი ამბავია...

1984 წელს უეფას თასის ნახევარფინალში ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი მატჩი „ნოტინგემმა" შინ 2:0 მოიგო. საპასუხო შეხვედრაში კი „ანდერლეხტმა" 3:0 იმარჯვა და ფინალშიც გავიდა. და აი, 13 წლის შემდეგ ბელგიური კლუბის იმდროინდელმა თავმჯდომარე კონსტანტ ვანდენ სტოკმა აღიარა, რომ მაშინ ესპანელი მსაჯი მოსყიდული ჰყავდათ. მან თანხაც დაასახელა — ერთი მილიონი ბელგიური ფრანკი (24 ათასი დოლარი), რომელიც კლუბმა აწ გარდაცვლილ არბიტრს „ასესხა".

დიდი სკანდალი ატყდა, რის შემდეგაც ინგლისელებმა ბრიუსელის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. იმ 6,5 მილიონი გირვანქიდან, რომელსაც ისინი ითხოვენ, 2,46 მილიონი კლუბმა უნდა მიიღოს, დანარჩენი ავადსახსენებელი ბრიუსელური მატჩის მონაწილე ნოტინგემელებმა.

გარდა მორალური კომპენსაციისა, დაზარალებული მხარე იმ სავარაუდო შემოსავლის ანაზღაურებასაც ითხოვს, რომელსაც ფინალში გასვლისას ტელერეპორტაჟიდან მიიღებდნენ.

„ანდერლეხტს" დღეს უკვე სულ სხვა ხალხი მართავს, მაგრამ კომენტარისგან ისინიც თავს იკავებენ. ან რა აქვთ სათქმელი...

**გიორგი დარჯანია**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | სპარტა-ჰერტა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 502 | პორტუ-ბარსელონა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 503 | ბორდო-მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 504 | ვალენსია-ფიორენტინა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | 8 მარტი | | | |
| 505 | ბაიერნი-რეალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 506 | რუსენბორგი-დინამო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 507 | ფეიენოორდი-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 508 | ჩელსი-მარსელი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | უდინეზე-სლავია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 9 მარტი | | | |
| 510 | გალათასარაი-დორტმუნდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 511 | მონაკო-მალიორკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 512 | ვერდერი-პარ[illegible] | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 513 | ლიდსი-რო[illegible] | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 514 | ლანსი-ატ[illegible]კო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 515 | სელტა-იუვე[illegible]ტუსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 516 | დეპორტივო-არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. პრემიერლიგა

8 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ინგლისი. I დივიზიონი. 35-ე ტური

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 003 | ქრიუ-პორტ ვეილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 004 | კრისტალ პალასი-ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 005 | ფულემი-სტოკპორტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 006 | გრიმსბი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 007 | იფსვიჩი-ბლექბერნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 008 | შეფილდი-ბარნსლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 009 | სუინდონი-ჰადერსფილდი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 010 | უოლსოლი-ჩარლტონი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 011 | ვესტ ბრომვიჩი-ტრანმერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 8 მარტი | | | |
| 012 | მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 013 | ნოტინგემი-ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. II დივიზიონი. 35-ე ტური

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | ბრენტფორდი-რექსჰემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 015 | როვერსი-უიკომბი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 016 | როვერსი-უიკომბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 017 | ბარნლი-ლუტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 018 | კემბრიჯი-ბრისტოლი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 019 | კარდიფი-ბორნმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 020 | ჯილინგემი-ნოტსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 021 | მილუოლი-სკანთორპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 022 | მილუოლი-სკანთორპი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 023 | ოლდემი-ჩესტერფილდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 024 | ოქსფორდი-რედინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 025 | პრესტონი-კოლჩესტერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 026 | პრესტონი-კოლჩესტერი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 027 | უიგანი-ბლექპული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 028 | უიგანი-ბლექპული 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

ინგლისი. III დივიზიონი. 35 ტური

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | დარლინგტონი-ბარნეტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 030 | ჰალიფაქსი-სუონსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 031 | ჰარტლპული-ბრაიტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 032 | ლინკოლნი-მენსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 033 | მაკლსფილდი-იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 034 | ნორთჰემპტონი-ლეიტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 035 | პლიმუთი-ჩესტერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 036 | პლიმუთი-ჩესტერი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 037 | როტერჰემი-ჰალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 038 | როტერჰემი-ჰალი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 039 | შრიუსბერი-პიტერბრო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 040 | საუთენდი-ექსეტერი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

შოტლანდია

8 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 041 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ავსტრია

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | ბრეგენცი-აუსტრია | 2,8 | 2,9 | 2,3 |

კალათბურთი

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ნიუ იორკი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 802 | ინდიანა-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 803 | ჩიკაგო-ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 804 | მინესოტა-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 805 | ჰიუსტონი-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 806 | იუტა-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 807 | გოლდენ სტეიტი-შარლოტი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 808 | სიეტლი-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | 8 მარტი | | | |
| 809 | ბოსტონი-მილუოკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 810 | ნიუ ჯერსი-პორტლენდი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 811 | ფილადელფია-ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 812 | ორლანდო-ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 813 | დეტროიტი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 814 | კლიპერსი-ტორონტო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 815 | საკრამენტო-შარლოტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 9 მარტი | | | |
| 816 | ატლანტა-სან ანტონიო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 817 | ინდიანა-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 818 | დალასი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 819 | იუტა-ჰიუსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 820 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 5,0 | 12,0 | 1,1 |

კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. III მატჩები

9 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 821 | ცსკა-ციბონა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 822 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 823 | პანათინაიკოსი-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 824 | მაკაბი-პაოკ | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 825 | ბარსელონა-ულქერი | | | |

ჰოკეი

7 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ვაშინგტონი-ფლორიდა | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 827 | სენტ ლუისი-ფინიქსი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 828 | ნეშვილი-ჩიკაგო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 829 | კალგარი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 830 | ედმონტონი-ტორონტო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 831 | ლოს ანჯელესი-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| | 8 მარტი | | | |
| 832 | ბუფალო-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 833 | პიტსბურგი-მონრეალი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 834 | კაროლინა-ჩიკაგო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 835 | ტამპა ბეი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 836 | დალასი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 837 | ანაჰაიმი-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 838 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| | 9 მარტი | | | |
| 839 | ოტავა-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 840 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 841 | სენტ ლუისი-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 842 | კალგარი-ტორონტო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 843 | ფინიქსი-აილენდერსი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 844 | ლოს ანჯელესი-რეინჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

701 ვერდერი (2,5)-პარმა (1,35)
702 გალათასარაი (1,05)-დორტმუნდი (7,5)
703 მონაკო (7,5)-მალიორკა (1,05)
704 ვერდერი (2,5)-პარმა (1,35)
705 ლიდსი (1,7)-რომა (1,7)
706 ლანსი (1,3)-ატლეტიკო (2,8)
707 სელტა (3,1)-იუვენტუსი (1,25)
708 დეპორტივო (15,0)-არსენალი (1,01)

გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე (წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)

## სიახლე!!!

**არ გადააყაროთ წაგებული ქვითრები!**

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებათა მატჩების განახლებასთან დაკავშირებით „კროკო" სიურპრიზს გთავაზობთ.
მათ, ვინც ფსონს „კროკოს" მთავარ ოფისში (ფურცელაძის ქუჩა) შეიტანს და ვერ მოიგებს, დამატებითი შანსი ეძლევათ!
ის წაგებული ბილეთები, რომელთა ფსონი მინიმუმ 10 ლარს შეადგენს, მონაწილეობს გათამაშებაში, რომლის შედეგადაც 5 ბილეთის იღბლიან მფლობელს საშუალება ეძლევა წაგებული ფსონის შესაბამისი თანხით ახალი ქვითარი შეავსოს.
(დეტალურ ინფორმაციას ადგილზე გაეცნობით)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# სტუ ტაქტიკურ ტომარაში

# ვინ დაამარცხებს ბასკოს?

**საქართველოს ჩემპიონატი — 20 ტური**

ვერის ბალი, 4 მარტი

**სტუ 81:91 ბასკო**

I ტაიმი 41:49

სტუ: თორთლაძე (13), ჩუბინიძე (9), ორმოცაძე (22), ოთიურიძე, მინაშვილი (17); ტუღუში (6), კორძაძე, დ. მოისწრაფიშვილი, სულაძე, ლოსაბერიძე (9), მიქაძე (5)
ბასკო: მაისურაძე (18), აბრამიძე (16), დავითულიანი (13), ბეჟანიშვილი (19), ვ. კილაძე (25); ბაქრაძე, კეშელავა
მსაჯები: მურმან ქურიძე, ზურაб აბაშიძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

გიორგი ბიკაშვილი

დებიუტანტ ბათუმის „ბასკოს" წაუგებელი სვლა კვლავაც გრძელდება. გულშემატკივრის იმედი, ბოლოს და ბოლოს, სტუ სრულად გამოავლენს თავს და ზღვისპირულ გუნდს პირველ დამარცხებას აგემებსო, ზურაბ ტომარაძის სწორად გათვლილ ტაქტიკას ემსხვერპლა. „ბასკოსა" და ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტომარაძემ ჯეროვნად შეაფასა მეტოქისა და თავისი გუნდის შესაძლებლობები, რითაც თურქეთის გზაზე დამდგარ თავისიანთ (გუშინ „ბასკო" თურქეთს გაემგზავრა ამხანაგური მატჩების გასამართად) გუნება-განწყობილება აუმაღლა და კვლავაც აქტუალური დატოვა უნებლიედ წამოჭრილი კითხვა — ვინ დაამარცხებს ბათუმის „ბასკოს"?

შეიძლებოდა ეს შაბათსვე მომხდარიყო. ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-ს სამისოდ კარგი შანსი მიეცა. თუნდაც იმიტომ, რომ ბათუმელები შეთხელებული შემადგენლობით წარდგნენ მეტოქის წინააღმდეგ. „ბასკოს" ცენტრ-ფორვარდი და ერთ-ერთი ლიდერი ლევან ქარაბაკი მაღალი სიცხის გამო ვერ შეეშველა თავის გუნდს, მუხლმტკივანი ცენტრი ირაკლი ჭეიშვილი კი საერთოდ არ სწვევია თბილისს. საფიქრალი სხვაც ჰქონდა ტომარაძეს, ნახევარი გუნდი ნაავადმყოფარია და ბოლომდე ჯერ არ მოშუშებულანო, დარდობდა.

სტუდენტთაგან უკლებლივ ყველა ჯანზე იყო, რაც ჭეიშვილს დასახულ ამოცანას უიოლებდა. საკითხავი ისღა გახლდათ, როგორ შეიფერებდა მწვრთნელი ამ უპირატესობას.

ყველა ყველაა და ის, რომ „ბასკო" სტუმრად თამაშობდა, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდისთვის ვერაფერი ნუგეში იყო. თბილისში თამაში ბათუმელებს არ უჭირთ, რადგან გუნდის ბირთვი სწორედ დედაქალაქურია და აქედან გამომდინარე, „ბასკოს" მხარდამჭერნი ვერის ბალშიც მრავლად იყრიან თავს. არადა, სულ სხვა სურათია აჭარაში, იქ ჩასულ გუნდს გასამარჯვებლად ორმაგი წინააღმდეგობის დაძლევა უხდება, ჯერ „ბასკოსი" და მერე მისი თავგადაკლული გულშემატკივრისა, რაც დღემდე ვერავის მოუხერხებია.

ქარაბაკის არყოფნამ „ბასკოს" სასტარტო ხუთეულშიც მოახდინა ცვლილებები. ლევანის ადგილი ვლადიმერ ბეჟანიშვილმა დაიკავა, ფრთაზე კი ტომარაძემ ალეკო დავითულიანი გაამწესა. უკანა ხაზში ირაკლი მაისურაძე და მამუკა აბრამიძე შეწყვილნენ, ცენტრად თამაში კი ვალერი კილაძეს დაეკისრა.

შეხვედრის დებიუტში უჩვეულოდ გამოიყურებოდა სტუ-ს ხუთეულიც. მათგან ერთადერთი დავით თორთლაძე გახლდათ ამპლუით უკანახაზელი, რომელსაც ბურთის გათამაშებაში ხან ზურაб ჩუბინიძე ეხმარებოდა, ხანაც ამროსი ორმოცაძე. ფაქტი იყო, რომ ჭეიშვილმა ტანმაღალ კალათბურთელებზე გაამახვილა ყურადღება, რაც იმას გვაფიქრებინებდა, რომ სტუდენტთა მწვრთნელი ყველაზე დიდ ხიფათს მეტოქის მაღლებისგან ელოდა.

საწყისი წუთები, ცოტა არ იყოს, ნერვიულად წარმართეს გუნდებმა. კალათბურთელები მჭიდროდ მეურვეობდნენ ერთმანეთს, შეტევებშიც უმალ ერთვებოდნენ, თუმც მატჩის სანახაობრივი მხარე არცთუ სასურველი იყო. პირველმა სტუდენტმა ზურაб ჩუბინიძემ ივარგა საშუალო მანძილიდან და ანგარიში გახსნა. მას ვალერი კილაძემ უპასუხა. მომდევნო ეპიზოდში მაისურაძემ იმარჯვა დაცვაში, მეტოქის გადაცემა ჩაჭრა, შეტევა თავადვე დააგვირგვინა და პირველად დააწინაურა „ბასკო" — 4:2.

ამის შემდეგ ბათუმელთა უკანა ხაზში შეუთანხმებელმა ქმედებამ იჩინა თავი. ეს თორთლაძის ზუსტმა სამიანმაც დაადასტურა. მოგვიანებით ორმოცაძის პირველი შეტევაც გაეპარა მაისურაძე-აბრამიძის წყვილს, რამაც ტომარაძეს თვალნათლივ დაანახა დაცვაში არსებული ხარვეზები და გადაადგილებები მოახდინა. დავითულიანი, რომელიც მანამდე თორთლაძეს მეურვეობდა, მინაშვილს მიუჩინა მწვრთნელმა, სტუ-ს გამთამაშებლის გაუვნებლება კი ახლა მაისურაძეს მიანდო.

ფუნქციათა ამგვარი განაწილება საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ბასკოს" თამაში დალაგებულიყო. ბათუმელები ერთიორად სწრაფად ამოძრავდნენ, რამაც სტუდენტთა დაცვა დაანაწევრა და მოწინააღმდეგის უკანა ხაზს ხელ-ფეხი გაუხსნა. ყოველივე შეირგეს მაისურაძემ და აბრამიძემ და დროის მცირე მონაკვეთში თითო სამიანით დასაჯეს სტუ.

ნუგზარ ჭეიშვილმა წუთშესვენებაზე იხმო შეგირდები და პასიური ვასილ ოთიურიძე გოდერძი კორძაძით გეცვალა, დაცვაში კი ზონურად თამაში დაავალა სტუდენტებს.

ეს ნამდვილად არ გამოდგა ის გასაღები, რომელიც „ბასკოს" ტაქტიკას მოერგებოდა. დაცვის ამგვარი სისტემით, მართალია, მაისურაძე და აბრამიძე შევიწროვდნენ, მაგრამ ახლა სტუ-ს ფარის მისადგომებთან წარმოიშვა აუთვისებელი სივრცე. კილაძე და ბეჟანიშვილი კი იქვე იყვნენ ჩასაფრებულნი.

ერთი სიტყვით, სტუ-მ ვერც ასე გამოასწორა ვითარება, გუნდმა ოთხი წუთის მანძილზე საერთოდ ვერ ჩააგდო ბურთი, ეს მონაკვეთი 0:13 წააგო და გვარიანადაც ჩამორჩა მეტოქეს — 21:8.

„ბასკოს" კარგი შესაძლებლობა მიეცა, პირველ ტაიმშივე გადაეწყვიტა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ. საამისოდ საჭირო იყო, რომ კიდევ ოდნავ გაემწვავებინა ზეწოლა, ყოველ შემთხვევაში, ტემპი მაინც შეენარჩუნებინა. ამის მაგივრად მოეშვა „ბასკო" და თამაშის აკადემიური სტილი ამჯობინა, რამაც მეტოქის წისქვილზე დაასხა წყალი.

სტუდენტთა შორის უდავოდ გამოირჩეოდა ამროსი ორმოცაძე. სტუ მხოლოდ მისი ჭკვიანური თამაშით თუ მოიწონებდა თავს. ორმოცაძე გუნდის ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა და მთლიანად მისი დამსახურება იყო ის, რომ შეხვედრა კვლავაც ინარჩუნებდა ინტრიგას. მართალია, ბათუმელთა უპირატესობა ამის მერეც გამუდმებით ათთორმეტ ქულას შორის მერყეობდა, მაგრამ რომ არა ორმოცაძე, სადავო აღარაფერი იქნებოდა.

ქებას იმსახურებს ახალგაზრდა ვახტანგ მინაშვილიც. თუკი გაცილებით უფრო გამოცდილ ცენტრებს — ოთიურიძესა და კორძაძეს არაფერი გამოსდიოდათ (ჯამში ორივემ ქულაც ვერ გააზერხა) კილაძე-ბეჟანიშვილის ტანდემის წინააღმდეგ, მინაშვილზე ძნელად თუ იტყვის ვინმე აუგს. ტაიმის დასრულებას ბევრიც არაფერი უკლდა, როცა „ფობიმ" ზედიზედ ორი გარღვევა განავითარა და რვა ქულამდე (35:43) შეამცირა სხვაობა. ამან თორთლაძე შეაგულიანა. დათომ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, საკმაოდ შორი მანძილიდან სცადა მიზნის მიღწევა და გაუმართლა კიდეც — 47:41. ტაიმიც ასე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლო წამს მიქაძე გაუმართლებლად დაჯარიმდა აბრამიძეზე, რომელიც თითქმის წაქცეული ცდილობდა მეტოქის კალათის დალაშქვრას. მამუკამაც შეიფერა ეს საჩუქარი და საჯარიმოს ხაზიდან პირველი ნახევრის ბოლო ქულები მოინადირა — 49:41.

სტუ-ს უკვე ტრადიციად ექცა, მეორე ნახევრის საწყის წუთებს ჭეიშვილის გუნდი ყოველთვის აღმავლობით ატარებს. ამ წესს არც ამჯერად უღალატეს სტუდენტებმა და გაორმაგებული ენერგიით მიეჭრნენ მოწინააღმდეგეს, რომელიც ძირითადად ხუთი კაცით თამაშობდა და გვარიანადაც დაღლილიყო.

ირაკლი მაისურაძემ თავისიანთა უპირატესობა ათქულიანი კი გახადა, მაგრამ ამის მერე კვლავაც ორმოცაძე ამოქმედდა ჩინებულად და სტუ-ს მორიგი რვა ქულაც თავის წილად მოინაგრა. შუალედში კილაძემ იჯახელა თავი, თუმც მალე ზვიად მიქაძემ ეს ორი ქულაც გაქვითა და ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა — 53:53.

ტომარაძეს ოდნავ შეუგვიანდა წუთშესვენება, თუმც სათამაშოდ კიდევ თექვსმეტი წუთი იყო დარჩენილი, რაც შეგირდების დასამშვიდებლად საკმარისი დრო გახლდათ.

ვნებათაღელვამ კულმინაციას მიაღწია, სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შეხვედრის შინაარსზე და მატჩი სანახაობრივად წახდა. მეტოქეთა თამაშში უამრავი ხარვეზი გამოჩნდა, ორივე გუნდი ძალიან ბევრს სცოდავდა, გამომდინარე იქიდან, რომ მოწინააღმდეგენი ზედმეტად ნერვიულობდნენ.

ამ წუთებში ერთადერთი ღირებული ეპიზოდი შეიქმნა. ვაკო ბეჟანიშვილმა კარგად ითამაშა ფრთაზე, ცრუმოძრაობით ერთბაშად რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა და უზუსტესი მალული პასი მიაწოდა ფარქვეშ მყოფ კილაძეს, რომელმაც პარტნიორი არ გააწბილა.

საერთოდაც, კილაძე-ბეჟანიშვილის შეთანხმებულმა თამაშმა ყველა და ყველაფერი დაჩრდილა ამ შეხვედრაში. ბეჟანიშვილი პოზიციურად თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდა. კარგად თამაშობდა დაცვაში, დროულად ერთვებოდა შეტევაში და ალღოიანად ირჯებოდა ფარის მისადგომებთან. ხოლო ის, რომ ქარაბაკის არყოფნაში „ბასკო" არც ფარზე ორთაბრძოლებისას დაიჩაგრა და პირიქით, სჯობნიდა კიდეც სტუ-ც, მთლიანად ვალერი კილაძის დამსახურებაა. ამ ბიჭმა უკლებლივ ყველა მეურვე დაჩაგრა და მნიშვნელოვნად განაპირობა თავისიანთა გამარჯვება.

აღსანიშნავია, რომ ამ წყვილმა გუნდისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოავლინა თავი. ბეჟანიშვილისა და კილაძის ძალისხმევით „ბასკო" კვლავაც წინ გაიჭრა და სტუ-ს ხელმეორედ აღმოჩნდა მდევრის როლში. ჭეიშვილის გუნდმა ისღა მოახერხა, რომ შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ხუთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა, მეტიც შეეძლო, თუმც ტუღუშს სამიანი გაუცუდდა. ბურთი „ბასკომ" იგდო ხელთ, ხანგრძლივად ათამაშა და ტუღუშისგან განსხვავებით, ბეჟანიშვილმა დალაშქრა შორიდან მეტოქის კალათი. გამარჯვებულიც მაშინ გაირკვა...



ორივე თავისას ეცადა: ბასკოელი ალეკო დავითულიანი (№15) და გოდერძი კორძაძე



კარგი პასის ფასი: სტუდენტთაგან საუკეთესომ, ამროსი ორმოცაძემ (მარცხნივ) ამ ეპიზოდში გონივრული პასით ჩამოიშორა ბათუმელთაგან გამორჩეულნი ვალერი კილაძე (№7) და ვლადიმერ ბეჟანიშვილი

**საქართველოს ჩემპიონატი — 20 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 19 | 19 | 0 | 1861:1468 | 38 |
| აზოტი | 20 | 16 | 4 | 1830:1506 | 36 |
| სტუ | 20 | 14 | 6 | 1746:1420 | 34 |
| სდასუ | 20 | 14 | 6 | 1689:1519 | 34 |
| ვითა | 20 | 14 | 6 | 1680:1533 | 34 |
| თსუ | 20 | 12 | 8 | 1757:1693 | 32 |
| მაკაბი | 20 | 11 | 9 | 1698:1526 | 31 |
| შევარდენი | 20 | 7 | 13 | 1458:1656 | 27 |
| დინამო* | 20 | 6 | 14 | 1423:1626 | 25 |
| სსუ | 20 | 2 | 18 | 1424:1845 | 22 |
| ასკ | 20 | 1 | 19 | 1456:1908 | 21 |
| გორი* | 19 | 3 | 16 | 1142:1469 | 19 |

*დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა, გორს — სამი ქულა

## საქართველოს ჩემპიონატი — 20 ტური

ვერის ბაღი. 4 მარტი

**სდასუ 94:62 სსუ**

I ტაიმი 57:34
სდასუ: ხოშტარია (7), ლ. აბულაძე (12), ანდღულაძე (20), გვრიტიშვილი (16), მაჭარაძე (20); ნ. ნოზაძე (2), გ. ჩხეიძე (17)
სსუ: გ. ჟღენტი (6), ბ. ბერიშვილი (7), თოდუა (14), ლაცუზბაია (6), ლ. ვაშაკიძე (16); ტატუნაშვილი (2), ფენდერავა, სორდია (11)
მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ვერის ბაღი. 4 მარტი

**ვითა 86:103 მაკაბი**

I ტაიმი 47:49
ვითა: უსტიაშვილი, ტურაშვილი (33), კოკოლიშვილი (7), ქევხიშვილი, ახალკაცი (14); გ. გაგნიძე (8), ჭირაქაძე (4), შანიძე (20)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (27), ი. ბერიშვილი (18), ტალაბაძე (15), ფერიაშვილი (21), შენგელია (17); ბ. ნოზაძე (5)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

ვერის ბაღი. 5 მარტი

**თსუ 105:84 ასკ**

I ტაიმი 46:33
თსუ: ვეფხვაძე (2), წოწელია (13), გ. მარკოიშვილი (41), არსიაშვილი (7), გ. ბერუაშვილი; მშვილდაძე, ხეცურიანი (10), მგალობლიშვილი (13), სანიკიძე (19
ასკ: მარხვაშვილი (11), მ. მარკოიშვილი (15), ნათობაძე (4), მ. ფიცხელაური (5), ათუაშვილი (13); რუსია, ჯანელიძე (4), ლ. საყვარელიძე (10), ზანგურაშვილი (4), დ. საყვარელიძე (6), ღვინაშვილი (12)
მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, დავით ანდრიაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

ვერის ბაღი. 5 მარტი

**დინამო 75:87 შევარდენი**

I ტაიმი 34:46
დინამო: ნიკოლაძე (31), ჩხაიძე (6), ორდენიძე (6), უჩუმბეგაშვილი (10), ზერეკიძე (3); მეგრელიშვილი (12), ბათხაძე, ახვლედიანი (5), ყველაშვილი (2)
შევარდენი: ორჯონიკიძე (7), შ. გაგნიძე (13), აკოლაშვილი (13), გიგაური (33), თაბუაშვილი (8); ალავიძე (4), ფრანგიშვილი (9)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

ვერის ბაღი. 5 მარტი

**გორი 0:20 აზოტი**

*თამაშზე გამოუცხადებელ „გორს" ჩაეთვალა წაგება 0:20 და დაეწერა 0 ქულა.*

კვირას ვერის ბაღი კალათბურთის გულშემატკივარს ჩაბნელებული შეეგება. თბილი მარტის მზის სხივები ატანდა დარბაზში და ალბათ ამიტომაც იყო, რომ გუნდებმა თამაში არ იუარეს (წესით შეეძლოთ, უარი ეთქვათ).

თსუ-ასკ შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა. ისე რომ მატჩის ბედი ოდნავადაც არ გამხდარა სათუო. თქვენს ყურადღებასაც მხოლოდ იმაზე მივაპყრობთ, რომ ამ თამაშში პირველად წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ ძმები მარკოიშვილები, უნივერსიტეტელი გიორგი და არმიელი მანუჩარი (მანო). არა გვგონია, ეს გიორგის გახელების მიზეზი ყოფილიყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უმცროსი ძმის გუნდის წინააღმდეგ თამაშისას მან კარიერაში ყველაზე მეტი, 41 ქულა გაახერხა.

დღის მეორე შეხვედრაში შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის წარმომადგენლები, „გორი" და „აზოტი" უნდა შებმოდნენ ერთმანეთს. გორელები არ გამოცხადნენ თამაშზე, თუმც ფედერაციის მოხელეთათვის მიზეზი არ უცნობებიათ. ზოგმა ისიც იხუმრა, 5 მარტი იოსებ სტალინის გარდაცვალების დღეა და ძალლის თავიც მანდ მარხიაო, მაგრამ მატჩის კომისრის, როლანდ ხომერიკისთვის არც ეს მიზეზი აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, „აზოტთან" შეხვედრაში „გორს" 0:20 წაგება ჩაუთვალა და 0 ქულა დაუწერა. როცა ყოველივე ოფიციალურ ოქმში გაფორმდა, რუსთაველები იქაურობას გაერიდნენ, „გორის" მწვრთნელი ზურაბ კარტოზიაც მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა დარბაზში და თავისი გუნდის ჩამოუსვლელობა „სარბიელთან" საუბრისას ამგვარად ახსნა: „ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა, რაც უკვე გადარიცხა გუნდმა, დროულად არ „დაჯდა" ფედერაციის ანგარიშზე, ამის შესახებ ჩვენ წამოსვლამდე შევიტყვეთ, ფედერაციის პრინციპულობა საკუთარ თავზე გვაქვს ნაწვნევი და ვიცოდით, რომ ასეთ შემთხვევაში არ დაგვრთავდნენ თამაშის ნებას. ყოველივე ზედმეტ ხარჯებთანაც იქნებოდა დაკავშირებული და გადავწყვიტეთ, გუნდი გორშივე დაგვეტოვებინა. მე კი ჩამოვედი, რათა ეს ფედერაციისთვის მეცნობებინა".

კვირასვე მერვე ადგილოსნობის კანდიდატები, „დინამო" და „შევარდენი" შეხვდნენ ერთმანეთს. შევარდენელთა ახალმა მწვრთნელმა, სერგო იაშნელმა სადებიუტო მარცხს ზედიზედ მეორე გამარჯვება მოაყოლა, რასაც გამთამაშებელ დუდუ ორჯონიკიძის ჭკუადამჯდარ ქმედებას და თავდამსხმელ თამაზ გიგაურის (33 ქულა) კარგ თამაშს უნდა უმადლოდეს.

მოკლედ, ეს დღე გვარიანად მოსაწყენი გამოდგა და სჯობს წინა დღით განვითარებულ მოვლენებზე მოგახსენოთ, როცა ექვსეულში შესაღწევად მებრძოლი და კახა შენგელიათი გაძლიერებული „მაკაბი" შვიდგზის ჩემპიონ „ვითას" დაუპირისპირდა. მაკაბელთათვის ამ მატჩის წაგება, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობისაც ყოფილიყო, რადგან მომავალ უქმეებზე მისი უშუალო კონკურენტის, თსუ-ს რუსთავში გამარჯვების შემთხვევაში უნივერსიტეტელები ორი ქულით ჩამოიტოვებდნენ მდევარს და ბოლო ტურში ამ გუნდების ურთიერთშეხვედრაც ველარაფერს შეცვლიდა.

პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ყველასათვის მოულოდნელად, ტანმაღალი კალათბურთელებით განებივრებულ „მაკაბის" „ვითა" არც ფარქვეშ დაუჩაგვრინა და მამუკა ტურაშვილის კარგი თამაშის წყალობით კარგა ხანს ლიდერობდა კიდეც ჩემპიონი. ტაიმის ბოლოს „მაკაბიმ" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში, რაშიც ლომის წილი ტყუპმა ბერიშვილებმა დაიდეს. დათოც და ირაკლიც შესაშურად ამოქმედდნენ და ამოსუნთქვის საშუალება მოუსპეს „ვითას" გაცილებით უფრო ნაცად უკანახაზელთა დუეტს. უსტიაშვილიცა და ტურაშვილიც ბევრს ეცადნენ, ჩემპიონთა მწვრთნელმა გელა წულაძემაც რა აღარ მოსინჯა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ალექსანდრე ფერიაშვილის სამიანით დაწინაურებულ „მაკაბელთა" შეჩერება მათთვის გადაულახავ ბარიერად იქცა.

მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ „მაკაბიმ" უფრო მეტად ირწმუნა თავის შესაძლებლობებში და მეორე ტაიმში აშკარად დაჩაგრა ჩემპიონი, რითაც დაამტკიცა, რომ მისგან „ვითას" პირველ წრეში დამარცხება სულაც არ ყოფილა შემთხვევითი.

სსუ იქნებ ასე არ შერცხვენილიყო სდასუ-სთან, მის ლიდერ ბუბა ბერიშვილს პირველი ტაიმის შუაგულში ხელის ტრავმა რომ არ მიეღო. ამის მერე სოხუმელებმა სულ მთლად დაკარგეს საკუთარი თავის რწმენა...

რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლი ტყუილად გაგიჟდა



ლეიკერსი — [illegible]ამი. ორ მაიამელს, დენ მარლისა (№9) და ენტონი კარტერს შო[illegible] [illegible]ოქცეული ლოსანჯელესელი დერეკ ფიშერი (№2)

AP ლოს ანჯელესიდან

4 მარტი

**ატლანტა 81:93 სიეტლი**

ატლანტა: ტერი (9), ჯექსონი (11), კროუფორდი (2), ჰენდერსონი (11), მუტომბო (3 ქულა, 12 მოხსნა); კოულზი (11), რაიდერი (9), ბოუდლერი (9), ელისი (5), გლოვერი (5), მაკლეოდი (4), რაიდერი (2)
სიეტლი: პეიტონი (28), ბერი (10), პატერსონი, ბეიკერი (18), გრანტი (8), ლუისი (10), ფოსტერი (10), დევისი (8), ვილიამსი (2), მაკოი (1), სტეფანია (2 მოხსნა)

5 მარტი

**მინესოტა 105:100 სიეტლი**

(ძირითადი დრო 94:94)

მინესოტა: ბრენდონი (20 ქულა, 11 პასი), სოლი (18), შჩერბიაკი (11), გარნეტი (21 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), გარეტი (6); სმიტი (14), აივერი (9), პილერი (4), ნესტეროვიჩი (2), ჯექსონი
სიეტლი: პეიტონი (34 ქულა, 13 პასი), ბერი (11), პატერსონი (8), ბეიკერი (20), გრანტი (10); დევისი (7), ფოსტერი (6), ლუისი (4), მაკოი

როგორც იქნა, მოედანზე გამოჩნდა „სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. „ატლანტასთან" შეხვედრა სწორედ ისეთი გახლავთ, რომელშიც საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრეა ცნობილი გამარჯვებულის ვინაობა. ასეთ დროს „სიეტლის" სათადარიგოებს დიდხანს უწევთ თამაში და ლამის მუდმივად სკამზე გადაბარგებული სტეფანიაც მოუთმენლად ელის ამგვარ მატჩებს.

„სიეტლმა" პირველი სამი მეოთხედი 15 ქულის სხვაობით მოუგო „ატლანტას" და ბოლო, არაფრისმომცემ პერიოდში ვესტფოლმა სათადარიგოები შეუშვა მოედანზე, მათ შორის ვოვა სტეფანიაც. თუმც ვერ ვიტყვით, რომ ეს მატჩი მისთვის საუკეთესო იყო. ჩვენებურმა ერთხელ ისროლა და ააცილა, ერთხელ მეტოქეზეც დაჯარიმდა და ორჯერაც ბურთი დაკარგა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მწვრთნელს ქართველი ლეგიონერი უკან გაეხმო. საბოლოოდ სტეფანიას ორი მოხსნის მეტი ხეირიანი არაფერი გაუკეთებია.

ის დრო კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა, როცა ვესტფოლი ვოვას სასტარტო ხუთეულში დაყენებას უპირებდა. ახლა მას გაცილებით დიდი საფიქრალი აწუხებს და სულაც არ ნაღვლობს იმაზე, სტეფანიამ რამდენი წუთი გაატარა მოედანზე.

ამ უქმეებზე „სიეტლმა" ორი განსხვავებული თამაში ჩაატარა და მეტოქეებს თითო-თითო მოგება-წაგებას გამორჩა. „ატლანტასთან" ვესტფოლის შეგირდებს ურიგოდ არ უთამაშიათ, დაცვაში მეტი ყურადღება გამოიჩინეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება და იოლადაც იმარჯვეს. ყოველივემ ის მოიტანა, რომ „ატლანტას" ლიდერები — აიზია რაიდერი და დიკემბე მუტომბო საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ შერცხვნენ. სწორედ ამ ორი მოთამაშის გაცვლას აპირებდა კლუბი, მაგრამ ისინი მაინც „ჰოქსში" დარჩნენ. ამ შეხვედრაში რაიდერმა სულ ორი ქულა გააკეთა, მაშინ, როცა მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 21,2-ია. დიკემბე მუტომბომ კი პერსონალური ჯარიმებით „გამოიჩინა" თავი (5), ამდენი ქულაც არ დაუგროვებია.

ამ შეხვედრაში ვესტფოლს თავის ბიჭებისადმი აუგი არ ეთქმის. აი, „მინესოტასთან" კი... „სიეტლი" მეორე მეოთხედშივე 19 ქულის სხვაობით აგებდა. ეს შეხვედრა სტეფანიას გუნდისთვის კოშმარულად დაიწყო. რაღა დროს დაცვაში საქმის დალაგება იყო, როცა ვესტფოლის ბიჭებს შეტევაშიც არ გამოსდიოდათ არაფერი. ექვსი წუთის შემდეგ ანგარიში 13:0 (!) გახლდათ. სტუმრები გაოგნებულნი იყვნენ, მათ მიერ ნასროლი ბურთებიდან ერთიც არ ჩადიოდა მასპინძელთა კალათში, მეტოქე კი ქულას ქულაზე აკეთებდა.

მასპინძლები თავს ისე გავიდნენ, ლაზღანდარობას მიჰყვეს ხელი და ერთმანეთს ჩატენვებში ეჯიბრებოდნენ, თითქოს „ოლ სტარის" კონკურსში ყოფილიყვნენ და არა „სიეტლის" პირისპირ. სტეფანიას გუნდი კი თანდათან გამოფხიზლდა და ლამის ძვირად დაუსვა მეტოქეს აბუჩად აგდება. ბეიკერი თავის მე-500 თამაშს ატარებდა. სწორედ იგი ცდილობდა ყველაზე მეტად, „სუპერსონიქსი" შოკიდან გამოეყვანა, ხოლო როცა მას ფეხმარდი გერი პეიტონიც შეეშველა, „ტიმბერვულვზი" სერიოზულად ჩაფიქრდა. „სიეტლი" ბოლო მეოთხედში გაგიჟდა. ამ დროს იგი 16 ქულის სხვაობით ჩამორჩებოდა „მინესოტას", მაგრამ პეიტონის მცირე სასწაულების შემდეგ ამ სხვაობისგან აღარაფერი დარჩა. მან ამ თორმეტწუთეულში 17 ქულა მიითვალა, ამასთან ძირითადი დროის დამთავრებამდე 7 წამით ადრე სამიანიც ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. აქ კი „მინ[illegible]ოტამ" უფრო იძალა და კარგად დაწყებული თამაში კარგადაც დაამთავრა.

„იდეალური გუნდი არ ვართ, ბოლო წლებში ჩვენს თამაშში ყოველთვის შეიმჩნევა ხარვეზები — ამბობდა ამაოდ დამშვრალი გერი პეიტონი მატჩის შემდეგ — პირველი ნახევარი საზიზღრად ჩავატარეთ, მერე კი დრო აღარ გვეყო. დაცვაში თამაში სიამოვნება არაა, მაგრამ თუ საქმე მოითხოვს, ესეც უნდა შეგვეძლოს. დღეს ჩვენ აშკარად ჩავაფლავეთ დაცვაში საქმე."

საშინლად ჩატარებულმა პირველმა ნახევარმა, ცხადია, ვესტფოლიც დაამწუხრა. საერთოდ, ადრე „სიეტლი" ამ მხრივ ლიგაში ყველას სჯობდა. ვესტფოლის წინამორბედი ჯორჯ კარლი დაცვაში თამაშით ხოცავდა ბიჭებს. მისი წასვლის შემდეგ კი იმდენად აშკარა იყო უკუსვლა, რომ სიეტლმა ბოლო წლებში პირველად გამოტოვა პლეი ოფი.

3 მარტი

**ლეიკერსი 107:92 ინდიანა**

ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (22)
ინდიანა: მილერი (22)

**პორტლენდი 101:91 ვანკუვერი**

პორტლენდი: სმიტი (19)
ვანკუვერი: ბიბი (25 ქულა, 14 პასი), აბდურრაჰიმი (21)

**დენვერი 122:88 გოლდენ სტეიტი**

დენვერი: კლარკი (29 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება), ლაფრენცი (18 ქულა, 12 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ვ. კამინგსი (19)

**შარლოტი 87:89 იუტა**

შარლოტი: ჯონსი (31)
იუტა: სტოქტონი (22), მელოუნი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**ატლანტა 83:70 ნიუ იორკი**

ატლანტა: ტერი (17)
ნიუ იორკი: სპრიუელი (17)

**ტორონტო 114:104 ბოსტონი**

ტორონტო: კარტერი (30), მაკგრეიდი (24), ბოგსი (24)
ბოსტონი: ვილიამსი (22)

თავის დროზე „ინდიანამ" „ლეიკერსს" ზედიზედ მოგებების 16 მატჩიანი სერია შეაწყვეტინა და ამიტომაც აღმოსავლეთის და დასავლეთის ლიდერებს შორის ყველა დაძაბულ ბრძოლას მოელოდა, მაგრამ ბრძოლა არ შედგა. „ლეიკერსმა" იოლად იყარა ჯავრი ლარი ბერდის „ინდიანაზე".

4 მარტი

**ჰიუსტონი 99:92 ნიუ ჯერსი**

(ძირითადი დრო 86:86)

ჰიუსტონი: ფრენსისი (15)
ნიუ ჯერსი: მარბერი (35), ვან ჰორნი (24 ქულა, 12 მოხსნა)

**სან ანტონიო 103:108 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 92:92)

სან ანტონიო: რობინსონი (23 ქულა, 12 მოხსნა), დანკანი (22 ქულა, 15 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (31)

**კლიპერსი 99:109 კლივლენდი**

კლიპერსი: ოდომი (17)
კლივლენდი: კემპი (22), მიურეი (18), პერსონი (18)

**ჩიკაგო 84:95 ფილადელფია**

ჩიკაგო: არტესტი (18)
ფილადელფია: აივერსონი (29), რეთლიფი (21 ქულა, 13 მოხსნა)

**ვაშინგტონი 100:94 დეტროიტი**

ვაშინგტონი: ვილიამსი (27)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (26), ჰილი (24)

**მილუოკი 84:91 მინესოტა**

მილუოკი: ალენი (28), რობინსონი (21 ქულა, 10 მოხსნა)
მინესოტა: ბრენდონი (22), გარნეტი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 110:96 დალასი**

ფინიქსი: როჯერსი (29 ქულა, 10 მოხსნა), რობინსონი (19), გულიოტა (18 ქულა, 14 მოხსნა)
დალასი: ფინლი (20)

5 მარტი

**გოლდენ სტეიტი 95:114 ინდიანა**

გოლდენ სტეიტი: მარშალი (27), კეფი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ინდიანა: მილერი (15), მულინი (15), დევისი (15)

**დენვერი 92:100 კლივლენდი**

დენვერი: ვან ექსელი (20 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა)
კლივლენდი: მიურეი (20)

**ნიუ იორ[illegible]ი 79:88 იუტა**

ნიუ იორკი: სპრიუელი (22), ჰიუსტონი (20), იუინგი (18)
იუტა: მელოუნი (30), რასელი (19)

**ბოსტონი 97:91 ორლანდო**

ბოსტონი: პირსი (19), უოლკერი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ორლანდო: არმსტრონგი (19)

**შარლოტი 100:94 ჩიკაგო**

შარლოტი: კოულმენი (26), ჯონსი (23)
ჩიკაგო: ბრენდი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჰოიბერგი (20)

**ლეიკერსი 93:80 მაიამი**

ლეიკერსი: რაისი (23 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (17 ქულა, 11 მოხსნა)
მაიამი: მურნინგი (21)

**ვანკუვერი 92:94 ტორონტო**

ვანკუვერი: რაჰიმი (22 ქულა, 14 მოხსნა), ჰარინგტონი (22 ქულა, 10 მოხსნა), დიკერსონი (20)
ტორონტო: კარტერი (28)

მიუხედავად იმისა, რომ პირად ორთაბრძოლაში მაიამელმა ალონზო მურნინგმა აჯობა ლეიკერსელ შაკილ ონილს, გამარჯვება მაინც ამ უკანასკნელის გუნდს დარჩა. ონილს თანაგუნდელები მიეხმარნენ და „ლეიკერსმა" „ინდიანას" მეორე აღმოსავლელი ბობოლა, „მაიამიც" მიაყოლა.

მეტად საინტერესოდ გაიმართა შეხვედრა ორ კანადურ გუნდს „ვანკუვერსა" და „ტორონტოს" შორის. „ტორონტოს" თავისმა ლიდერმა ვინს კარტერმა მოაგებინა, რომელმაც გუნდის ბოლო ათი ქულიდან რვა თავის ანგარიშზე ჩაიწერა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მინდორზეა ერთი კაცი

### ინგლისი 46:12 უელსი

ლონდონი, „თვიქნემი“, მსაჯი: ფლემინგი (შოტლანდია)

**ინგლისი** 5 ლ — გრინინგი (31), ბეკი (53), ჰილი (63), დალალიო (70), კოენი (78); 3 გ — უილკინსონი (31, 63, 70); 5 ს — უილკინსონი (3, 16, 21, 40, 47)

15 პერი
14 ჰილეი, 13 ტინდელი, 12 კეტი, 11 კოენი
10 უილკინსონი, 9 დოუსონი (კაპ.)
7 ბეკი, 8 დალალიო, 6 ჰილი
5 შოუ (კორი, 70), 4 არჩერი
3 ვიკერი, 2 გრინინგი, 1 ლეონარდი

1 როჯერსი, 2 გ. ჯენკინსი (ბ. უილიამსი, 72), 3 იანგი (კაპ.) (ჯონი, 25)
4 კ. ქვინელი (გოუგი, 64), 5 ვიატი
6 ჩარვისი, 8 ს. ქვინელი (მ. უილიამსი, 80), 7 სინკინსონი
10 ნ. ჯენკინსი, 9 ჰოული
11 შ. უილიამსი, 12 ბეიტმენი, 13 ტეილორი, 14 ტომასი
15 ჰოვარტი

3 ს — ნ. ჯენკინსი (11, 14, 38); 1 ა — ნ. ჯენკინსი (18) **უელსი**

## თვითკრიტიკული ინგლისელები

Six Nations Championship

„ინგლისელებმა ძალიან, ძალიან კარგად ითამაშეს“ — თქვა მატჩის შემდეგ უელსელთა მთავარმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ. მართლაც, მასპინძლები საუცხოოდ გამოიყურებოდნენ და „თვიქნემზე“ შეკრებილი ქომაგები ლაღი, ლამაზი ბურთაობით გაახარეს.

უელსელებმა ძალიან კი მოინდომეს, მაგრამ იმ დღეს ინგლისელთა დამარცხება მათ ძალას აღემატებოდა. მასპინძლებმა 41:12 მოიგეს, თუმცა ასეთი დიდი ანგარიშით სტუმრებს მაინც არ უნდა წაეგოთ. ისინი თამაშის დიდი ნაწილის განმავლობაში საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ. ასეთი სასტიკი მარცხი კი გარინ ჯენკინსისა (47-ე წთ) და სკოტ ქვინელის (69-ე წთ) ათწუთიანმა გაძევებებმა განაპირობა. თანაც, მატჩის ბოლოს სტუმრებს დაღლაც დაეტყოთ, თორემ მათი მონაგარი ნილ ჯენკინსის 12 ქულაზე მეტი უნდა ყოფილიყო.

შეხვედრა ინგლისელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე უილკინსონმა ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტი საჯარიმო დარტყმით დააწინაურა თავისიანები. თუმცა მერე უელსელთა შერკინებამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მოწინააღმდეგეს და დროდადრო სჯობდა კიდეც. განსაკუთრებით აუტებიდან მოწოდებული ბურთების დაუფლება უჭირდათ მასპინძლებს. შედეგად ისინი რამდენჯერმე დაჯარიმდნენ და ნილ ჯენკინსმა ორი საჯარიმო გაიტანა. უილკინსონმა საჯარიმოთივე მალევე გაათანაბრა, მაგრამ იმავე ჯენკინსმა არეკნით ისევ უელსი გაიყვანა წინ. 21-ე წუთზე კი კვლავ უილკინსონმა იმარჯვა საჯარიმოს დარტყმისას — 9:9.

ნელ-ნელა ინგლისი გამოერკვა და მატჩის სადავეებიც ხელთ იგდო. მისი შერკინება უკვე ჩაგრავდა მოწინააღმდეგისას, უკანახაზელებმაც გაილაღეს და სახიფათო იერიშებიც მომრავლდა. შესვენებამდე მასპინძელთა გამარჯვება მართლაც საეჭვო იყო — 19:12. 47-ე წუთზე კი გარინ ჯენკინსი გააძევეს და უელსელთა რბევაც დაიწყო. უილკინსონის საჯარიმოსა და ბეკის ლელოს შემდეგ ინგლისელები 27:12 დაწინაურდნენ და მათი მეტოქეც საბოლოოდ გატყდა. მეორე გაძევებას კი კიდევ ორი ლელო მოჰყვა. ჯერ დალალიომ ივაჟკაცა, შემდეგ კი კოენმა შეძლო მეტოქის დაცვის გარღვევა.

„სამ მატჩში სამი გამარჯვება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. თითქოს ყველა მოთამაშით უზომოდ კმაყოფილი უნდა ვიყო, მაგრამ არა. დღესაც, ისევე როგორ წინა შეხვედრებში, საკმაოდ დავუშვით შეცდომები. გაცილებით მეტი ლელო უნდა გაგვეტანა და თუ ამის გამო დღეს არ დავისაჯეთ, სხვა დროს შეიძლება ველარ გადავრჩეთ“ — ცოტა უადგილო კია ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, კლაივ ვუდვორდის სიტყვები, მაგრამ თვითკრიტიკას არასდროს არავისთვის უვნია.

AP ლონდონიდან



ინგლისელი ფილ გრინინგი უელსელ კრის ვიატის გაექცა და სახეც მიუქექა

არა, რა თქმა უნდა, მინდორზე გაცილებით მეტი ხალხი იყო, მაგრამ გამორჩეულად ერთი კაცი ჩანდა. დერიკ ბივენი უელსელია და რაგბის მსაჯობა ჰობად აურჩევია. ოღონდ ეს დიდი ხნის წინ მოხდა და შაბათს ბატონი ბივენი თავის ბოლო საერთაშორისო მატჩს სჯიდა. ჰოდა, ისიც ყველანაირად ეცადა, შეხვედრის მთავარი ფიგურა ყოფილიყო. მან ბევრი შეცდომა დაუშვა! და უმრავლესობა იტალიის საზიანოდ. რა თქმა უნდა, უადგილოა იმაზე ლაპარაკი, რომ ირლანდია მსაჯის გარეშე ვერ მოიგებდა, მაგრამ ასე ნამდვილად ვერ შეძლებდა აპენინელთა განადგურებას.

„ლენსდაუნ როუდი“ გადაჭედილი იყო. ქროდა ქარი, ცა მოწმენდილი, მინდორი კი მშვენიერი იყო. და დაიწყო. „მწვანეებმა“ თავიდან დიდი ძალებით შეუტიეს და მათმა ახალგაზრდა დამრტყმელმა რონან ოგარამ მე-3 წუთზე გახსნა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ოგარა იმ დღეს ბრწყინვალედ ურტყამდა, თავისიანების მიერ გატანილი ექვსივე ლელო გარდასახა, ზედ ექვსი საჯარიმოც დაურთო და პირველ ტურში იტალიელი დიეგო დომინგესის მიერ დამყარებული შედეგიანობის რეკორდიც დაამხო.

მასპინძელთა პირველი ლელოც მალე გავიდა. თავი მათმა კაპიტანმა კეიტ ვუდმა გამოიჩინა. იტალიელებმაც სცადეს ხელის გამოღება და ფრანგულ „ბეგლ ბორდოში“ მოთამაშე ლუკა მარტინმა კინაღამ უწია კიდეც მეტოქის სალელოე მოედანს, მაგრამ უკანასკნელ წამს ვუდმა მოახერხა მისი შებოჭვა. ამის მერე კარგა ხანს თამაში ირლანდიის კარნახით წარიმართა. იტალიელები ბევრ ბურთს ჰკარგავდნენ, ირლანდიელები კი ძალიან სახიფათოდ უტევდნენ და მე-18 წუთზე ჰორგანმა მეორე ლელო გაიტანა, რომელშიც კლოჰესიმ დიდი წვლილი შეიტანა.

### ირლანდია 60:13 იტალია

დუბლინი, „ლენსდოუ როადი“, მსაჯი: ბივენი (უელსი)

**ირლანდია** 6 ლ — ვუდი (7), ჰორგენი (18, 80), დოუსონი (35), ოდრისკოლი (60), დემპსი (79); 6 გ. და 6 ს — ოგარა (3, 12, 24, 40, 42, 55)

15 დემპსი
14 ჰორგანი, 13 ოდრისკოლი, 12 მალინსი (ჰენდერსონი, 60), 11 ჰიკი
10 ოგარა, 9 სტრინგერი
7 დოუსონი, 8 ფოლი, 6 ს. ისტერბი
5 ოკელი, 4 გალვი
3 ჰეიესი, 2 ვუდი (კაპ.), 1 კლოჰესი (ფითსპატრიკი, 65)

1 კუტიტა, 2 მოსკარდი, 3 პაოლეტი (პერუჯინი, 40)
4 ჩეკინატი, 5 გრიტი (ლანძი, 65)
6 დე როსი, 8 ვისერი, 7 ბერგამასკო (ტრავინი, 40)
10 დომინგესი, 9 ტრონკონი (კაპ.)
11 ფრანცეზიო, 12 სტოიკა (რივერო, 65), 13 მარტინი, 14 დალანი
15 პინი (პრეო, 30)

1 ლ — დე როსი (72); 1 გ. და 2 ს — დომინგესი (46, 49) **იტალია**

ტაიმის შუაწელში იტალიამ მძლავრი შეტევა წამოიწყო და ორიოდ წუთის განმავლობაში საკუთარ სალელოე მოედანსაც მიაჯაჭვა მეტოქე. ბატონ ბივენს რამდენჯერმე თითქოს საჯარიმო ლელო უნდა ჩაეთვალა, მაგრამ დუმდა მისი სასტვენი. შემდეგ კი ბურთიც დაიკარგა. ამის მერეც ხშირად ცდებოდა მსაჯი მასპინძელთა სასარგებლოდ, სტუმრებს ერთი ნაღდი ლელოც არ ჩაუთვალა. თუმცა შემდეგ, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და 72-ე წუთზე დე როსის ლელო დააფიქსირა, რომლის არჩათვლაც ნამდვილად უპრიანი იქნებოდა.

„მწვანეები“ ხომ ისედაც გაცილებით ძლიერად თამაშობდნენ და ბივენის დახმარებით სულ მთლად გააცამტვერეს საცოდავი „ლურჯები“. ირლანდიამ ტურნირში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო, რაც აგერ უკვე ხუთი წელია, ვერ მოეხერხებინა. იგი ნამდვილად სულ უკეთ და უკეთ თამაშობს და ვინძლო მისმა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა უორენ გეტლენდმა თანამდებობაც შეინარჩუნოს.

# ჯერ ლელო, სულელო!

შოტლანდიელები ხელით თამაშსა და ხშირ-ხშირად მარაოების გაშლას ფრანგთა დარად დიდ პატივს სცემენ. ამიტომაც ამ ორი გუნდის ორთაბრძოლები ყოველთვის კარგი საყურებელი და ამჯერადაც ასე იყო. თუმცა სანახაობრივად მაინც ფრანგების თამაში სჯობდა.

შეხვედრა საკმაოდ ჰგავდა პირველ ტურში ჩატარებულ უელსი-საფრანგეთის მატჩს. მაშინ, პირველ ტაიმში მძიმეწონოსანმა ფრანგებმა მეტოქეს ქანცი გააცალეს, მეორეში კი მათი „მსუბუქი კავალერია“ ჩაერთო საქმეში და ტურნირში მეორე გამარჯვებაც გამოიჭედა. ბერნარ ლაპორტის ასეთი ტაქტიკა უელსთან და შოტლანდიასთან ჭრის, თორემ ინგლისისნაირ ძლიერ გუნდთან არა. შედეგი სამი ლელოა, რომელთაგან ორი სწორედ დაღლილმა შოტლანდიელებმა გაუშვეს.

ანგარიში მე-15 ნომრად გადაყვანილმა ტომა კასტენიედმა გახსნა მე-11 წუთზე. ლელო მერსერონმა გარდასახა და პირველ ტაიმში კიდევ ერთი საჯარიმოც გაიტანა. სკოტებმა ამას ლოგანისა და პატერსონის საჯარიმოებით უპასუხეს. ტაიმის მიწურულს კი მსაჯმა ფრაგებს ერთმანეთის მიყოლებით ჯერ ნტამაკი, მერე კი დოდე გაუძევა ათათი წუთით და „მამლებმა“ მეორე ტაიმი ცამეტი კაცით დაიწყეს. აქ კი ფრანგებმა ველარ ივარგეს და 43-ე წუთზე ნიკოლისგან პირველი ლელო გაუშვეს ექვსი ერის პირველობაზე.

ამის მერე შოტლანდიელებმა ველარაფრით მოახერხეს შეთხელებული სტუმრების დაცვითი ჯებირების გარღვევა, ხოლო როცა გუნდები რიცხობრივად გათანაბრდნენ, მანმა ორჯერ დადო ბურთი მეტოქის სალელოე მოედანზე.

„გავაფრთხილე, რომ სულელებივით არ მოქცეულიყვნენ და ყვითელი ბარათები არ მიეღოთ. შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს. ძალიან გაგვიჭირდა ცამეტი კაცით დარჩენილებს, მაგრამ მაინც მოვახერხეთ გამარჯვება. მთლიანობაში შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილი ვარ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ფრანგთა დამრიგებელმა ბერნარ ლაპორტმა.

„ლელოს გატანის შემდეგ ვიფიქრე, სიტუაციას ვაკონტროლებთ და მოგებასაც შევძლებთ-მეთქი, მაგრამ შევცდი. ყველაზე მეტად ნტამაკმა და მანმა გაგვიჭირვევს საქმე და ჩვენი წაგებაც ყველაზე მეტად მათი დამსახურებაა“ — თქვა შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა იან მაკგიჩენმა.

გაიოზ თალაქვაძე

### შოტლანდია 16:28 საფრანგეთი

ედინბურგი, „მიურეფილდი“, მსაჯი: ლენდერი (ინგლისი)

**შოტლანდია** 1 ლ — ნიკოლი (43); 1 გ — პატერსონი; 3 ს — ლოგანი (16), პატერსონი (39,72)

15 პატერსონი
14 მეტკელფი, 13 მაკლარენი (ჰოდჯი, 73), 12 ჯ. ლესლი (კაპ.), 11 ლოგანი
10 თოუნსენდი, 9 ნიკოლი
7 პოუნტნი, 8 რიდი, 6 მ. ლესლი
5 ვეირი (გრიმსი, 69), 4 მიურეი
3 სტიუარტი (ჰილტონი, 69), 2 ბრათერსტოუნი, 1 სმიტი

1 კალიფანო, 2 დალ მაზო (იბანესი, 54), 3 ტურნერი (დე ვილიე, 54)
4 ბრუზე, 5 დოდე (ლიევრემონი, 50)
6 შაბალი (კოსტი, 52), 8 პელუ (კაპ.), 7 მანი
10 მერსერონი (ელისალდი, 80), 9 ლოსიუკი
11 დომინისი, 12 ლომბარი, 13 ვანდიტი, 14 ნტამაკი
15 კასტენიედი

3 ლ — კასტენიედი (11), მანი (69, 73); 2 გ — მერსერონი (11, 73); 3 ს — მერსერონი (20, 47, 77) **საფრანგეთი**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 111:39 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 73:34 | 4 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 123:85 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 62:98 | 2 |
| იტალია | 3 | 1 | 0 | 2 | 63:127 | 2 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 58:106 | 0 |

### ზე-12 მეორე ტური

RUGBY SUPER 12

| | |
|---|---|
| 3 მარტი | |
| დანიდინი (ახ. ზელანდია) | 27 |
| დურბანი (სამხ. აფრიკა) | 20 |
| 4 მარტი | |
| ველინგტონი (ახ. ზელანდია) | 43 |
| ბრისბენი (ავსტრალია) | 25 |
| იოჰანესბურგი (სამხ. აფრიკა) | 13 |
| სიდნეი (ავსტრალია) | 33 |
| 5 მარტი | |
| ოკლენდი (ახ. ზელანდია) | 25 |
| ჰამილტონი (ახ. ზელანდია) | 32 |

**ესპანეთი — საქართველო 36:32 (10:20)**

ესპანეთი: სალასარი, დე ლა კალე (სარსოსა 53), საპატერო, ბენიტო (ისკუერდო 64), სოუტო, ასტარლოა, მასარიეგოსი (კრისტენსენი 48, ორტეგა 66), მატა, ალონსო-ლაშერასი, მარტინესი, ან. სოსიასი, ალ. სოსიასი, ენკისო (კაპიტანი), ინჩაუსტი (მარტინი 79), ფრეჩილა (ველასკო 78)
ლ — ფრეჩილა (2), ასტარლოა, ბენიტო, სოუტო
1ს და 4გ — მარტინესი
საქართველო: ესაკია, შველიძე, ცაბაძე, ნადირაძე, მჭედლიშვილი (კაპიტანი), კაცაძე, ლაბაძე (ნიკოლაენკო 75), ზედგენიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, ურჯუკაშვილი (ბუგიანიშვილი 57), ანდღულაძე (იურინი 69), ზიბზიბაძე (ხეხელაშვილი 9, ვართანიანი 77), ხამაშურიძე, აბაშიძე
ლ — ცაბაძე (2), აბაშიძე, ლაბაძე, მჭედლიშვილი
1ს და 1გ — ურჯუკაშვილი, გ — იურინი
მსაჯი: კლაუდიო ჯაკომელი (იტალია)

# მარცხი შეურცხვენელი

საქართველოს ნაკრებს ესპანეთში რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძეც ახლდა, რომელიც თავაზიანად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

— მატჩის დასაწყისი ცუდს არაფერს გვიქადდა, პირიქით, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ წარიმართა. უკვე მე-4 წუთზე ლევან ცაბაძემ ლელო გაიტანა, რომელიც ურჯუკაშვილმა გარდასახა და 7:0 დავწინაურდით. თუმცა მე-9 წუთზე მნიშვნელოვანი დანაკლისი განვიცადეთ, დაგვემტვრა თედო ზიბზიბაძე, რომელსაც მეტოქის შებოჭვისას წვივის ძვალი გაუტყდა. ეს ძალიან მძიმე ტრავმაა და ვფიქრობ, ზიბზიბაძე კარგა ხანს ვერ ითამაშებს. ესპანელების პირველი ლელო თედოს ტრავმას მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგ საჯარიმოები გავცვალეთ, შემდეგ კი კვლავ ცაბაძემ და შემდეგ აბაშიძემ იყოჩაღეს, ლელოები გაიტანეს და პირველი ტაიმი 20:10 მოვიგეთ. გამოვარჩევ აბაშიძის ლელოს. ასეთი ლამაზი გათამაშება დიდი ხანია, არ მინახავს. კომბინაცია ცენტრში დაიწყო შერკინებიდან. მშვენივრად ითამაშა ჯიმშელაძემ, რომელმაც გარღვევაზე ურჯუკაშვილი გაიყვანა, მან კი იდეალური პასი მისცა აბაშიძეს და მანაც ივარგა. ეს იყო კლასიკური ლელო. პირველი ტაიმი მთლიანად ჩვენი გახლდათ, თუ არ ჩავთვლით ორ შემთხვევას, როცა მსაჯი, იტალიელი ჯაკომელი „უნებლიედ შეცდა“ ჩვენი მეტოქის სასარგებლოდ. ეს ყველაფერი პირველ ნახევარში მოხდა, ჯაკომელიმ მეორე ტაიმშიც „გამოიჩინა თავი“, ეს იყო ყოველნაირად ზღვარს გადასული, უსინდისო მსაჯობა. რომ იტყვიან, ესპანელებს მეთექვსმეტე მოთამაშე დაემატათ. არადა, ჩვენი ბიჭები ისეთი ალმაფრენით ირჯებოდნენ, დამარცხებას ვერაფრით ვიფიქრებდი. დაახლოებით მე-60 წუთზე, ყოვლად უწყინარ სიტუაციაში, არბიტრმა ლევან ცაბაძე გაგვიძევა მინდვრიდან. ჩვენს მორაგბეს არანაირი წესი არ დაურღვევია. ამის შემდეგ უკვე თავი აიშვა მსაჯმა და მარტო ჩვენს საზიანოდ ირჯებოდა, ჩვენ გვაჯარიმებდა, ესპანელებს — არა. თავს ამიტომაც მის ქმედებებს ესპანელების მიერ გატანილი სამი ლელო მოჰყვა. ამ დროს ანგარიში უკვე 36:25 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ. ჩვენ უკვე დამტვრეული გვყავდა ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, ანდღულაძემ ტვინის შერყევა მიიღო, მაგრამ მაინც შევუტიეთ და მჭედლიშვილმა ლელოც გაიტანა. იურინმა გარდასახა და ანგარიში 36:32 გახდა. შემდეგ იყო ჯარიმა ჩვენს სასარგებლოდ, აბაშიძემ შეტევა წამოიწყო, მაგრამ მსაჯმაც თამაში დაამთავრა.

**— ესე იგი, ჩვენი ბიჭები უკეთ თამაშობდნენ?**

— ესპანელები შერკინებაში დავჩაგრეთ. რომ იტყვიან, პირდაპირ ვჭმუჭნიდით. ყველაზე სასიხარულო, დამარცხების მიუხედავად, ის იყო, რომ ჩვენმა ნაკრებმა ის თამაში აჩვენა, რასაც დიდი ხანი ველოდით. განსაკუთრებით ხაზის მოთამაშეებმა გაგვახარეს, რადგან შერკინება ტრადიციულად ძლიერი გვყავს. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც. მაგალითად, ბევრი საჯარიმო ვერ გავიტანეთ, მაგრამ საერთო ჯამში გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა.

**— ესპანელებმა რა თქვეს მსაჯობაზე?**

— საჩუქრები გადასცეს და მადლობა მოუხადეს. ესპანეთს მოგება ჰაერივით სჭირდებოდა და ეს იგრძნობოდა კიდეც. მასპინძლობაც ვერაფერიშვილი იყო. აეროპორტში არავინ დაგვხვედრია. ავტობუსის ფასიც თქვენ უნდა გადაიხადოთო და ასეთი კიდევ ბევრი იყო, რომელი ერთი ვთქვა. ამას შემდეგ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, ბოდიშიც მოგვიხადეს, მაგრამ ეს რა ნუგეში იყო ჩვენთვის. არადა, ესპანეთში, როგორც წესი, ასეთი ექსცესები არ ხდება, მასპინძლობაზე პრობლემა არასდროს არ ჰქონიათ.

**— თქვენ არაფერი გითქვამთ?**

— მე მსაჯობაზე არაფერი. ესპანელებს მივულოცე და ჩვენი ნაკრების წევრებს და ხელმძღვანელობას გადავუხადე მადლობა. ყველა პროფესიულად უდგება საქმეს და ეს ძალიან კარგია. ჩემს შემდეგ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი გამოვიდა, გადასცა არბიტრს პატარა სუვენირი და ასე უთხრა, გისურვებ, მალე მსაჯი გამხდარიყოო. კლოდ სორელი კი ძალიან აღელვებული იყო და საკმაოდ ხმამაღლა ელაპარაკებოდა ესპანეთის ფედერაციის პრეზიდენტ ეპალზას.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ? წინ კიდევ ორი თამაშია...**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონობა გვაქვს განზრახული. ჰოლანდიასთან მძიმე თამაში გველის, მაგრამ უნდა მოვიგოთ. ვფიქრობ რუმინეთსაც დავამარცხებთ და ჩემპიონები გავხდებით.

**ზაზა ბენიძე**
**ბაჩო სვანიძე**



# ფელიქსი ოსკარს ელის

ველთერის წონის საბჭოსა (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) ჩემპიონის ქამრების მპყრობელმა, პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა შაბათს, ლას ვეგასის „სიზორზ პალასში“ ოთხი ნოკდაუნი აგემა ქვესაშუალო წონის ასოციაციის (ვბა) ფილადელფიელ დევიდ რიდს და ახლა ამ წონის ჩემპიონი შეიქნა.

საგანგებოდ ამ ბრძოლისთვის ტრინიდადმა შვიდი გირვანქა მოიმატა (ველთერი — 147, ქვესაშუალო — 154) და რიდს მშვენივრად გაუმკლავდა. ორთაბრძოლის მომწყობმა, კვაჭმა დონ კინგმა ატეხა ლაპარაკი ტრინიდადის ოსკარ დე ლა ჰოიასთან შეხვედრის თაობაზე. სექტემბერში ტრინიდადმა მსაჯთა სადავო გადაწყვეტილებით დაამარცხა მანამდე წაუგებელი ოსკარი და ასოციაციის ქამარი აართვა.

„ოსკარი უნდა დაეჯახოს ფელიქსს“ — თქვა კინგმა, სხვა გზა არა აქვს. უარს იტყვის და უფსკრულში გადაიჩეხება.

ოღონდ ტრინიდადის ბანაკი აცხადებს, რომ ფელიქსი აღარ ეცდება წონის დაკლებას და ქვესაშუალო დივიზიონში დაელოდება დე ლა ჰოიას. დე ლა ჰოიას ბანაკი თავის მხრივ ცდილობს შეხვედრის თავისთვის მომგებიან წონაში წარმართვას. თუმცა კინგსა და ოსკარის პრომოუტერს ბობ არუმს წინასწარი მოლაპარაკება ჰქონიათ, თუ ამ ბიჭებს ერთმანეთს შევახვედრებთ, ორივეს წონამ 150 და 152 გირვანქას შორის უნდა ითამაშოსო.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონი შვედური პიცერიიდან

**კოპენჰაგენის ღია პირველობა. დანია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მარატ საფინი** (1, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (8, შვედეთი) 6:4, 6:4; **მაგნუს ლარსონი** (3, შვედეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 5:7, 6:4; **როჯერ ფედერერი** (7, შვეიცარია) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 4:6, 6:1, 6:3; **ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:3, 6:1.
ნახევარფინალი: **ვინსიგერა** — საფინი 6:3, 6:0; **ლარსონი** — ფედერერი 6:3, 7:6 (8:6).
ფინალი: **ვინსიგერა** — ლარსონი 6:3, 7:6 (7:5).

19 წლის ანდრეას ვინსიგერამ კოპენჰაგენში კარიერის პირველ ტიტული მოიგო, თუმცა ფინალში მის მიერვე ძლეული მაგნუს ლარსონის აზრით, ეს მხოლოდ დასაწყისია: „დღეს მე ჩემზე უკეთეს მოთამაშესთან დავმარცხდი. ვინსი საოცრად ნიჭიერია და შორს წავა. მას ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია გამარჯვება და შვედური ჩოგბურთის მეფლაგმანეც გახდება, ოღონდ მოწოდებასა და ბადესთან თამაშში ცოტა უნდა მოუმატოს“.

ვინსიგერას ახალი თაობის ამომავალ ვარსკვლავთა შორის შედარებით ნაკლებად მოიხსენიებენ, არადა, შარშან 650-ე ადგილიდან კლასიფიკაციაში 97-ეზე აინაცვლა.

ორიოდ კვირის წინ ახალგაზრდა შვედმა გრიპი გადაიტანა და ტურნირის დასაწყისშიც ცოტა სისუსტეს გრძნობდა. მეორე წრეში [illegible] გერმანელ რაინერ შუტლერთან წაგებას სულ ცო[illegible] აკლდა, მაგრამ მშობლიურ ქალაქ მალმიოდან ჩამოსული ნათესავ-მეგობრები არ დაალალატა და დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა.

იქედან მოყოლებული ვინსიგერას შეჩერება შეუძლებელი გახდა. საოცრად სწრაფმა, მძლავრი, ზუსტი ფორჰენდით შეიარაღებულმა და სულისშემხუთველი ტემპით მოთამაშე შვედმა ჯერ მარტინ დამსა და მარატ საფინს გადაუარა (ამ უკანასკნელს სულ 42 (!) წუთში), ფინალში კი თანამემამულე, გამოცდილ ლარსონსაც აჯობა.

„მატჩის ბოლოს მკლავები მომიჩვარდა. მეორე სეტის 3:0-მდე კარგად ვთამაშობდი, მაგრამ მერე ძალიან გავნერვიულდი და მხოლოდ დიდი გაჭირვებით შევინარჩუნე სიმშვიდე“ — აღნიშნა მოგვიანებით გამარჯვებულმა.

მართლაც, ტაი-ბრეიკზე ლარსონმა 1:5-დან გაათანაბრა ანგარიში და სანამ უმცროსი კოლეგა გონს მოვიდოდა, ლამის მესამე, გადამწყვეტი ხელშიც გადაიყვანა თამაში.

მიუხედავად სწრაფ საფარზე მიღწეული წარმატებისა, ვინსიგერას ყველაზე მეტად თიხნარზე თამაში უყვარს: „ჩემი ოცნება როლან გაროსის მოგებაა, კერპი კი — მარსელო რიოსი. ის შესანიშნავად თამაშობს, მისი ცქერა ერთ რამედ ღირს“.

ჩოგბურთის გარდა ანდრეას კიდევ ერთი გატაცება ფეხბურთია და ფინალის შემდეგაც პირდაპირ შინ გაემართა, რათა საყვარელი გუნდის — ტურინის „იუვენტუსის“ მატჩისთვის მიესწრო. ფეხბურთის სიყვარული მას მამის, სიცილიელი მზარეულისგან მოსდგამს, რომელიც ადგილობრივ რესტორანში ვიწრო სპეციალობით — პიცის მზადებითაა დაკავებული.

კოპენჰაგენში მოგებული 46 ათასით კი ჩოგბურთელი პატარა მანქანის ყიდვას აპირებს, რათა ბოლოს და ბოლოს მართვის მოწმობის ასალები გამოცდები ჩააბაროს და მეგობრებთან ერთად თავისუფლად ისეირნოს.



ანდრეას ვინსიგერა



გუსტავო კუერტენი

**დელრეი ბიჩი. აშშ. „სიტრიქსის ჩემპიონატი“. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **პოლ გოლდსტაინი** (აშშ) — პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) 4:6, 6:1, 6:2; **ალექს კალატრავა** (ესპანეთი) — კრის ვუდრაფი (5, აშშ) 6:7 (7:9), 6:3, 6:2; **შტეფან კუბეკი** (6, ავსტრია) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:1, 1:6, 6:1; **რიჩარდ ფრომბერგი** (ავსტრალია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 4:6, 7:6 (7:3), 6:2.
ნახევარფინალი: **კუბეკი** — ფრომბერგი 6:7 (6:8), 6:3, 6:2; **კალატრავა** — გოლდსტაინი 6:0, 5:7, 7:6 (7:3).
ფინალი: **კუბეკი** — კალატრავა 6:1, 4:6, 6:4.

პატრიკ რაფტერის პირველი ტურნირი ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ, მონიკა სელეშისგან განსხვავებით, მორიგი ტიტულით არ დასრულებულა, თუმცა ავსტრალიელი იმედგაცრუებული არც მეოთხედფინალში გალწევით დარჩა: „ჩოგბურთის თამაში უსაშველოდ მომენატრა და ბედნიერი ვარ, რომ ტურზე დავბრუნდი. ამხელა ინტერვალს უკვალოდ არ ჩაუვლია, მალე ვიღლები, თავს დამძიმებულად ვგრძნობ და ცოტა ნელაც ვმოძრაობ, მაგრამ არსად მეჩქარება, თანდათან დავიბრუნებ ფორმას“.

ტურნირი კი 23 წლის კოლორიტული ავსტრიელის, შტეფან კუბეკის გამარჯვებით დასრულდა. ქერა, ცაცია და კიკინიანმა კუბეკმა შარშან მთელ სეზონში ჰარდზე სულ 2 მატჩი მოიგო, მაგრამ ფლორიდული ნელი საფარი და მძიმე ბურთები თიხნარისგან ბევრით არ განსხვავდებოდნენ და მანაც კარგად ისარგებლა ამით.

**სანტიაგო. ჩილე. „შევროლეს თასი“. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4, 6:1; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — ფერნანდო ვისენტე (4, ესპანეთი) 6:1, 7:5; **გასტონ გაუდიო** (8, არგენტინა) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 6:2; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — მარიანო ჰუდი (არგენტინა) 6:4, 6:4.
ნახევარფინალი: **კუერტენი** — პორტასი 6:4, 7:6 (8:6); **პუერტა** — გაუდიო 3:6, 6:4, 6:2.
ფინალი: **კუერტენი** — პუერტა 7:6 (7:3), 6:3.

სეზონის კატასტროფულად დაწყების შემდეგ ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა, როგორც იქნა, ხასიათი გამოუკეთა თავის ქომაგებს. „გუგას“ აქამდე 2000-ში ზედიზედ ორი მატჩიც არ მოეგო, მაგრამ მშობლიურ კონტინენტზე ასპარეზობით ძალმიცემულმა სანტიაგოში ისე იმარჯვა, სეტიც არ წაუგია.

**სკოტსდეილი. აშშ. „სთეით ფარმის პირველობა“. ჰარდი. საპრიზო 535 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — სანდრინ ტესტიუ (7, საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — მონიკა სელეში (აშშ) 6:4, 6:4; **მარი პირსი** (3, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ანა კურნიკოვა** (6, რუსეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:4, 6:2.

აბა, რომელი ტურნირის ორგანიზატორი არ დადგებოდა კარგ გუნებაზე ფინალში მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნების შეხვედრის წინ. სკოტსდეილის ცენტრალური კორტიც კვირას პირთამდე აივსო, მაგრამ საოცნებო მატჩი არ შედგა.

მიზეზი მარტივია — უამინდობა. არიზონის შტატში მდებარე ქალაქში შარშან 101 დღის მანძილზე არ გაწვიმებულა და ხშირად უბრალო ღრუბელსაც კი ნატრულობენ, მაგრამ ამჯერად დილით დაწყებული კოკისპირული წვიმა შუადღისას მხოლოდ რამდენიმე წუთით შეჩერდა და ფინალიც ორშაბათისთვის გადაიდო.

„მარტინამაც და ლინდსიმაც მითხრეს, რომ მაყურებლების გარეშე თამაში არ სურდათ. ჩვენც მათ სურვილს გავუწიეთ ანგარიში და იმედია, ტიტანთა ბრძოლას ხვალ მაინც ვიხილავთ“ — ეს ტურნირის თავკაცის, პიტერ ტატუმის სიტყვებია.

**ავთანდილ სვანიძე**

# კაცია თუ ქალია, ყველა ავსტრიელია

გასულ შაბათს შვეიცარიულ ლენზერჰეიდში ავსტრიელმა რენატე გოეტჩლმა, სამთომოთხილამურე ქალთა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ლიდერმა, ბუნებისგან საჩუქრად სქელი ნისლი, ზუზუნა ქარი და გრუხუნა ზვავები მიიღო, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ რენატეს სუპერგიგანტის წლევანდელი თასი რგებოდა. ლენზერჰეიდში შაბათს ბუნება მართლაც ისე გამძვინვარდა, თასის მორიგი ეტაპის ორგანიზატორებმა სუპერგიგანტის გამართვა ვერაფრით გარისკეს და რადგან მისი ჩართვა 15 მარტს იტალიური ბორმიოს ეტაპებს შორისაც ვერ მოხერხდა, აღგნენ და საერთოდ გააუქმეს. ბორმიოში ერთი სუპერგიგანტი გაიმართება, მაგრამ იქ გამარჯვებულიც კი 100 ქულაზე მეტს ვერ მიიღებს, ხოლო გოეტჩლი უახლოეს მდევარს 137 ქულით უსწრებს.

მოკლედ, ავსტრიელმა ერთი საზრუნავი უკვე მოიშორა და ამან, ცხადია, გაახარა, თუმცა ცოტა სხვა კუთხით. „რა კარგია, რომ სუპერგიგანტზე ნერვიულობა აღარ მომიხდება — აღნიშნა რენატემ — ამიერიდან ძირითადად სწრაფდაშვებაზე ვიფიქრებ. გამარჯვების ურიგო შანსები არც იქ მაქვს“.

ავსტრიელი მართალია, კვირის სწრაფდაშვების შემდეგ, სადაც მან მესამე ადგილი დაიკავა, სხვაობა გოეტჩლისა და გერმანელი რეგინა ჰეუსლის სასწრაფდამშვებო ქულებს შორის 36-მდე ჩამოვიდა, ჰეუსლი კი ამ დისციპლინაში საერთო ჩათვლას ლიდერობს. შვეიცარიაში იგი მხოლოდ მე-9 იყო და გამარჯვებულს გვარიანად ჩამორჩა. მასპინძელი კორინე იმლიგი გახდა ის პიროვნება, ვინც ლენზერჰეიდში ბარაქიანი სენსაცია გამოაცხო. ამ 20 წლის გოგონას აქამდე თასის სულ ექვსიოდე ეტაპზე ესრიალა და მეოცე ადგილს არასდროს ასცდენოდა, ახლა კი ფავორიტებს თვალები დააჭყეტინა, ხოლო როცა აღმოაჩინა, რომ ყველანი მას შეჰყურებდნენ, დაბნეულად აიჩეჩა მხრები. „მომხდარს ვერ ავხსნი“ — ასაკის შესაფერისი გულწრფელობით განაცხადა იმლიგმა — „ვარჯიშებზე თითქოს არა მიშავდა, მაგრამ ნაღდი ტრასა ვარჯიში ხომ არ არის...“

ცხადია, ეს გამარჯვება ნორჩ შვეიცარიელს საერთო ჩათვლის ლიდერებში ვერ ჩარიცხავს, მაგრამ პირველი ხანებისთვის ცოტაც არ არის... ერთიან ცხრილში კი ორი ავსტრიელი ქიშპობს და დროის გასვლასთან ერთად მიქაელა დორფმაისტერის ამბიციები სულ უფრო კარგავენ ფერს და ძალას. გოეტჩლი სრიალის მშვენიერ მადაზეა მოსული და ბორმიოში კიდევ უფრო დაწინაურებით იმუქრება, თუმცა, თუ ღმერთმა გადმოხედა, მიქაელასაც არა აქვს ჯერჯერობით მთლად წყალი გადაწურული, რასაც ვერაფრით ვიტყვით კაცთა მსოფლიოს თასის მოქმედ მეორეადგილოსანზე. ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტის შანსები, დაეწიოს და გაუსწროს ავსტრიელ ჰერმან მაიერს, უკვე იმ კატეგორიისაა, მეცნიერებაში გაწაფულნი თეორიულს რომ უწოდებენ. კორეული ვოიაჟის გამოტოვებას მაიერმა საბაბად ნორვეგიაში სასრიალოდ მზადება რომ დაუდო, მკითხველმა იცის. ჰოდა, როგორც აღმოჩნდა, მაიერი კვიტფელის სუპერგიგანტისთვის სანაქებოდ მომზადებულა, თუმცა ერთი არასასიამოვნო ამბავი მაინ შეემთხვა: პირველ ადგილზე ვერ გავიდა, რადგან 30 წლის იტალიელმა კრისტიან გედინამ წამის ოცდათვრამეტი მეასედით გაუსწრო. გაიხარა პირველმაც და მეორემაც, იტალიელმა იმიტომ, რომ ცხოვრების პირველი სუპერგიგანტი სიბერეში მაინც მოიგო, ხოლო ავსტრიელმა ამავე სახეობაში წლევანდელი თასი საბოლოოდ დაისაკუთრა და საერთო ჩათვლაშიც საბოლოო პირველობამდე ერთ ნაბიჯი დარჩა. ამოდტი უკვე აღარ აკეთებს ვაჟკაცურ განცხადებებს (მაგალითად: „შანსები მაქვს და ნემსის ყუნწში გავძვრები“), პირიქით, „ჰერმინატორის“ ქება-დიდებითაა დაკავებული და ლამისაა, გამარჯვება მიულოცოს. მაიერის ტრიუმფს რომ ბევრი არაფერი უკლია, ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან დარწმუნდებით.

დავით გულუა



კორინე იმლიგი

### ქალები

სწრაფდაშვება

1 რეგინა ჰეუსლი (გერმანია) — 500
2. რენატე გოეტჩლი (ავსტრია) — 464
3. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 458
4. კორინე რეი ბალეტი (შვეიცარია) — 355
5. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 317

საერთო ჩათვლა

1. გოეტჩლი — 1393
2. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1124
3. კავანიუ — 880
4. კოსტნერი — 832
5. ტანია შნაიდერი (ავსტრია) — 634

გუნდური ჩათვლა

1. ავსტრია — 6466
2. იტალია — 3077
3. საფრანგეთი — 3036
4. გერმანია — 2125
5. სლოვენია — 1846

### კაცები

საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1760
2. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1321
3. კრისტიან გედინა (იტალია) — 918
4. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 916
5. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 855


## რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

- გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალ „სარბიელს“ კი მკითხველი ამ დღეებში გაეცნობა.
- გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.
- გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.
- და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

ორივე სარბიელია





### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXI ტური
კარლსრუე 1:1 ვალდჰოფი

### იტალია

სერია B
პისტოიეზე 0:1 ბრეშა

## ჰოკეი

NHL

3 მარტი

**ფინიქსი — დალასი 1:4**
0:0 1:0 0:4
1:0 ალატალო 24'11 (7); 1:1 მარშალი 41'25 (1); 1:2 ლანგენბრუნერი 46'36 (10); 1:3 გეივი 49'27 (5); 1:4 მოროუ 51'07 (12)

**რეინჯერსი — ფლორიდა 4:2**
3:1 0:1 1:0
1:0 გრეივსი 11'19 (20); 2:0 დეიგლი 17'26 (8); 3:0 მაკლინი 19'36 (17); 3:1 უიტნი 19'50 (24); 3:2 პერიში 23'01 (22); 4:2 იორკი 46'21 (21)

**ვაშინგტონი — დეტროიტი 2:2**
2:0 0:1 0:1 0:0
1:0 ნიკოლიშინი 0'16 (9); 2:0 ჰალპერნი 8'12 (10); 2:1 კოზლოვი 32'15 (18); 2:2 აიზერმანი 54'58 (28)

**კალგარი — ანაჰაიმი 4:1**
1:0 2:0 1:1
1:0 იგინლა 6'04 (22); 2:0 ვ. ბურე 28'31 (34); 3:0 კოუენი 33'17 (1); 4:0 იგინლა 40'42 (23); 4:1 მილერი 47'17 (8)

**ჩიკაგო — ტამპა 5:1**
2:0 1:1 2:0
1:0 ლერუ 8'55 (2); 2:0 მაკეიბი 10'37 (5); 3:0 სალივანი 21'54 (14); 3:1 უორინერი 36'16 (7); 4:1 ამონტე 46'47 (31); 5:1 ამონტე 55'13 (32)

4 მარტი

**აილენდერსი — ბუფალო 4:2**
1:1 3:1 0:0
0:1 ციპლაკოვი 12'15 (9); 1:1 სკაჩარდი 13'40 (9); 2:1 ჰაგერტი 21'44 (1); 3:1 იოკინენი 23'09 (7); 4:1 სკაჩარდი 34'24 (10); 4:2 ციპლაკოვი 34'43 (10)

**ბოსტონი — ფილადელფია 0:3**
0:1 0:2 0:0
0:1 განი 14'42 (14); 0:2 ლინდროსი 23'39 (25); 0:3 ჯონსი 36'08 (6)

**ოტავა — ატლანტა 3:2**
0:1 3:0 0:1
0:1 დომენიჩელი 18'12 (7); 1:1 ზამუნერი 22'15 (7); 2:1 ალფრედსონი 23'14 (13); 3:1 ჟიუნო 37'51 (10); 3:2 გუოლა 44'26 (7)

**ტორონტო — მონრეალი 4:3**
2:1 2:1 0:1
0:1 უეინრიჩი 5'19 (3); 1:1 კოროლიოვი 7'39 (17); 2:1 ჰოგლუნდი 13'09 (26); 3:1 ანტროპოვი 29'42 (9); 4:1 ტომასი 30'26 (17); 4:2 ბრიუნე 31'15 (11); 4:3 ბრიუნე 53'53 (12)

**ფლორიდა — სენტ ლუისი 1:1**
0:0 1:0 0:1 0:0
1:0 უორელი 26'40 (2); 1:1 პანდზუსი 57'44 (21)

**ედმონტონი — პიტსბურგი 2:3**
1:1 0:2 1:0
0:1 მოროზოვი 5'25 (10); 1:1 ლარაქი 19'39 (7); 1:2 ტიტოვი 26'21 (16); 1:3 შლეგრი 33'54 (7); 2:3 სელივანოვი 52'32 (21)

**კოლორადო — ტამპა 4:1**
0:1 2:0 2:0
0:1 კუბინა 6'32 (7); 1:1 საკიკი 26'37 (15); 2:1 ფუტი 37'03 (5); 3:1 ჰინოტი 49'31 (1); 4:1 საკიკი 53'12 (16)

**ვანკუვერი — ნიუ ჯერსი 4:2**
3:0 1:1 0:1
1:0 მეი 4'24 (7); 2:0 კესელსი 10'41 (12); 3:0 მეი 19'08 (8); 3:1 მორისონი 34'40 (5); 4:1 მოგილნი 38'56 (17); 4:2 ელიაში 51'07 (27)

**ლოს ანჯელესი — ნეშვილი 3:2**
2:1 0:1 0:0 1:0
1:0 ბილსმა 9'19 (3); 1:1 უოლკერი 10'16 (6); 2:1 გელი 16'22 (9); 2:2 პოულდერი 33'19 (3); 3:2 შტუმპელი 60'28 (12)

**სან ხოსე — კაროლინა 2:5**
0:1 2:1 0:3
0:1 ონეილი 14'32 (20); 1:1 სტიუარტი 31'51 (9); 2:1 დამფუსი 37'55 (15); 2:2 კრონი 38'15 (10); 2:3 კოვალენკო 43'27 (13); 2:4 ფრენსისი 53'47 (20); 2:5 ფრენსისი 56'06 (21)

**ვაშინგტონი — ბუფალო 2:1**
1:0 0:0 1:1
1:0 ჰალპერნი 13'19 (11); 2:0 კ. იუჰანსონი 58'09 (7); 2:1 ბარნსი 59'50 (17)

**ჩიკაგო — ფინიქსი 7:3**
4:2 2:0 1:1
1:0 ბ. მირონოვი 6'09 (5); 2:0 ნიულანდერი 6'53 (18); 3:0 ამონტე 7'59 (33); 4:0 მარშა 13'00 (6); 4:1 დოუნი 13'50 (21); 4:2 ჰოგი 17'16 (2); 5:2 ამონტე 27'35 (34); 6:2 ჟამნოვი 30'09 (17); 6:3 ალატალო 50'25 (8); 7:3 პლანტი 57'36 (2)

### სატურნირო ვითარება

ალმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 67 | 38 | 8 | 5 | 21 | 202:162 | 89 |
| ტორონტო | 65 | 35 | 7 | 3 | 23 | 195:171 | 80 |
| ფლორიდა | 66 | 35 | 5 | 5 | 26 | 196:162 | 80 |
| ფილადელფია | 65 | 34 | 11 | 2 | 20 | 190:149 | 81 |
| ვაშინგტონი | 66 | 34 | 11 | 1 | 21 | 176:156 | 80 |
| ოტავა | 65 | 32 | 11 | 2 | 22 | 188:167 | 77 |
| პიტსბურგი | 65 | 27 | 8 | 6 | 30 | 192:189 | 68 |
| რეინჯერსი | 66 | 27 | 10 | 3 | 29 | 187:185 | 67 |
| კაროლინა | 66 | 28 | 9 | 6 | 29 | 173:183 | 65 |
| მონრეალი | 65 | 27 | 7 | 3 | 31 | 152:153 | 64 |
| ბუფალო | 67 | 26 | 10 | 2 | 31 | 166:173 | 64 |
| ბოსტონი | 65 | 19 | 17 | 4 | 29 | 163:191 | 59 |
| აილენდერსი | 66 | 19 | 8 | 1 | 39 | 155:216 | 47 |
| ტამპა | 64 | 15 | 7 | 6 | 42 | 161:242 | 43 |
| ატლანტა | 64 | 12 | 4 | 4 | 46 | 138:239 | 34 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 65 | 42 | 7 | 0 | 16 | 201:133 | 91 |
| დალასი | 66 | 36 | 6 | 3 | 24 | 163:144 | 81 |
| ედმონტონი | 66 | 25 | 15 | 8 | 26 | 185:173 | 73 |
| დეტროიტი | 66 | 39 | 7 | 1 | 20 | 222:173 | 86 |
| ფინიქსი | 65 | 33 | 7 | 1 | 25 | 192:180 | 74 |
| ლოს ანჯელესი | 65 | 31 | 8 | 3 | 26 | 207:191 | 73 |
| კოლორადო | 67 | 30 | 10 | 1 | 27 | 183:171 | 71 |
| კალგარი | 66 | 28 | 8 | 5 | 30 | 176:197 | 69 |
| სან ხოსე | 67 | 27 | 8 | 7 | 32 | 184:177 | 69 |
| ანაჰაიმი | 67 | 28 | 10 | 1 | 29 | 177:185 | 67 |
| ვანკუვერი | 65 | 23 | 12 | 6 | 30 | 169:187 | 64 |
| ჩიკაგო | 65 | 24 | 7 | 2 | 34 | 193:207 | 57 |
| ნეშვილი | 66 | 22 | 6 | 6 | 38 | 167:197 | 56 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli